CMYK

# საერთო გაზეთი

№43 (310) • 10 დეკემბერი, 2014 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## როგორ და რატომ ჩააბარა 2012 წლის არჩევნებზე სამეგრელო ირაკლი ალასანიამ ახალაიებს?



„ალასანიას თბილისელები ჰყავდა ჩამოყვანილი, შტაბში მუშაობდნენ ვითომ, მატრაბაზები, ყავის დალევის მეტს არაფერს აკეთებდნენ. მითხარით, თბილისელმა რა იცის რა ხდება სოფელ კოკში?“

* * *

„შტაბიდან ფული როგორ უნდა დაიკარგოს? ვის ეკიდა ფულზე ხელი? ეს ფაქტი გააჟღერა ჩიქოვანმა, მას შემდეგ, რაც იქ აჯანყდა ხალხი, ფული არ არისო.“

## ხომ გითხარით, ბატონო ბიძინა, ესენი გიღალატებენ-მეთქი!

## რუსეთი და თურქეთი დაძმობილდნენ... გაუდგნენ გზასა...

## „ედუარდ შევარდნაძეც კი დაუპირისპირდა სოროსს, თქვენ რას უყურებთ...“

## ათენგენიდან ყვავთ ალვსებამდე

## ვინ და რატომ ითხოვს ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას?



## თეიმურაზ ქაჩრავა:



„ანაკლია პორტის“ და „მტკვარი ენერგიის“ პროექტების განხორციელება საქართველოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩააყენებს!

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან



დენიზა სუმბაძე

## „ესთერიზმი“ ანუ როცა „ანქესი“ ბირთვულ იარაღზე ძლიერია

### ებრაელთა მსოფლიო ბატონობის ბიბლიური სანყისებისა, მსოფლიო დევნისა და ებრაელთა მიერ მსოფლიოზე შურისძიების შესახებ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42

„თავის დროზე, ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნეში, დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ებრაელთა დევნის მიზეზი პლანეტის ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში, აღმოჩნდა არა მათი ფანატიკური რწმენა და წარმოდგენა თავიანთ რჩეულობაზე, არა მათი რელიგიური ფანატიზმი, არამედ მათი უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდებისაკენ და ამ გზით პოლიტიკური გავლენის მოპოვებისაკენ ყველა ქვეყანაში.“

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში

# როგორ და რატომ ჩააბარა 2012 წლის არჩევნებზე სამეგრელო ირაკლი ალასანიამ ახალაიებს?

***„ბატონმა ბიძინამ, ხელი დაადო ალასანიას და თქვა: ეს იქნება პირველი კაცი საქართველოში, ამიტომ მან უნდა გაიმარჯვოს სამეგრელოშიო“.***

***„საერთო გაზეთს“ ქართული ოცნების აქტიური მხარდამჭერი დაუკავშირდა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა. მან ალასანიას მიერ 2012 წელს სამეგრელოში ჩატარებულ წინასაარჩევნო პერიოდზე სკანდალური ინფორმაციები მოგვაწოდა.***

— თავიდანვე გეტყვით, ირაკლი ალასანიას სამეგრელოში არჩევნების მოგება არ უნდოდა, ვიმეორებ, არ უნდოდა! 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ბიძინა ივანიშვილს შეხვდით მე და რამდენიმე ადამიანი. ამ შეხვედრას ჩვენს გარდა კიდევ რამდენიმე კაცი, მათ შორის, ირაკლი ალასანია და მისი მარჯვენა ხელი ირაკლი მამფორია ესწრებოდნენ. ბატონმა ბიძინამ, ხელი დაადო ალასანიას და თქვა: ეს იქნება პირველი კაცი საქართველოში, ამიტომ მან უნდა გაიმარჯვოს სამეგრელოშიო. დიახ, ეს კაცი უნდა გავხადოთ ლიდერი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვისო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: აი, ეს უნდა გააკეთოთ, უნდა ამოუდგეთ ამ კაცს გვერდითო. ასეთი კეთილგანწყობა ჰქონდა ივანიშვილს ალასანიას მიმართ. ივანიშვილმა ისიც გვითხრა, შეეხმიანეთ ჩემი სახელით გურამ აბსანძეს და სთხოვეთ დახმარება, ჩემი მხარდაჭერა იქნება ირაკლის მხარდაჭერაო. ყველაფერი გააკეთოს თავის ხალხთან ერთად, ზვიადისტებთან, ამასთან იმასთან, ვისთანაც გავლენა და კავშირები აქვს, რათა ამ კაცმა გაიმარჯვოს სამეგრელოშიო. ყველაზე მეტად სამეგრელოში გვიჭირსო, იმეორებდა ბიძინა. შეხვედრის შემდეგ ლაშა გვასალიამ და სხვებმა დაურეკეს გურამ აბსანძეს, ესაუბრენ მის ვაჟს ვალიკოს, რომელმაც ყველაფერი დატოვა (დიდი ბიზნესები ჰქონდა მოსკოვში), ჩამოვიდა საქართველოში და დადგა ამ ხალხის გვერდით. გურამს უთქვამს, უნდა დავუდგეთ ბიძინას გვერდითო და მისი შვილიც სასწრაფოდ ჩამოვიდა საქართველოში. ამ ადამაინებმა, მათ შორის, მეც, შევკრიბეთ ხალხი, ჩავატარეთ დიდი შეკრება, დავიწყეთ მუშაობა.

შევქმენით შტაბი და ჩავებით თავიდან ბოლომდე საარჩევნო სიტუაციაში, მაგრამ რა მოხდა, იცით? ალასანიას გუნდიდან არავინ დაგვკავშირებია. ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ჩვენი იგნორირების ფონზე იქმნებოდა სამეგრელოში კომისიები, მოიყვანეს კოორდინატორები, ნაც კოორდინატორები ძირითადად, და ჩვენ, ფაქტობრივად, თამაშგარე მდგომარეობაში დავრჩით. სიტუაციის გასარკვევად ალასანიას ოფისში მივედით. იქ პირველივე კართან დაგვხვდა ირაკლი ჩიქოვანის მამა, რომელიც მთლიანად ხელმძღვანელობადა ყველაფერს. მან გვკითხა რა გნებავთო, პრაქტიკულად დაკითხვა მოგვიწყო, რის შემდეგაც, როგორც იქნა, დაგვრთო ნება, რომ მისი შვილი, ირაკლი ჩიქოვანი, გვენახა. მეორე ოთახში შევედით თუ არა, მისი ვაჟი, ირაკლი ჩიქოვანის ძმა (ლოჯისტიკის ხელმძღვანელი იყო, თავად ირაკლი კი შტაბის უფროსი), შემოგვხვდა, მანაც



დაკითხვის შემდეგ დაგვრთო ირაკლის ნახვის უფლება, მესამე ოთახში შესვლისთანავე შეგვხვდა ვიღაც გოგონა, რომელიც ირაკლი ჩიქოვანის მეუღლე აღმოჩნდა, ახლა მან მოგვიწყო დაკითხვა და ასე, როგორც იქნა მივაღწიეთ ირაკლი ჩიქოვანამდე. ისეთი ცივი და ყრუ კედელი დაგვხვდა, რომ ისიც კი ვთქვით, დასახმარებლად მოვედით, თქვენი არაფერი გვინდა და რა ხდება-თქო. ჩიქოვანმა აუცილებლად დაგიკავშირდებითო, თუმცა გაიარა ერთმა, ორმა, სამმა ოთხმა, ხუთმა დღემ და არავინ შეგვხმიანებია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვმუშაობდით, ყველგან დავდიოდით, მთელ სამეგრელოში. ვმუშაობდით, მაგრამ, მთავარი რა არის, იცით საწვავიც კი არ მოგვცეს, მათ, სამუშაო პირობები, პრაქტიკულად, არ შეგვიქმნეს. გურამის ბიჭი, ვალიკო ფულით იყო ჩამოსული, საკუთარი სახსრებით მოაგვარა საწვავის საკითხი, დიახ, თავისი ჯიბიდან დადო თანხა. გიკვირთ? უკან დახევა არ შეიძლებოდა, ქვეყანა ინგრეოდა, თანაც ბიძინას დავალებას ვასრულებდით.

**— კი მაგრამ, თანხები არ იყო გამოყოფილი?**

— თანხები, რა თქმა უნდა, იქნებოდა გამოყოფილი, მაგრამ ჩვენთვის არაფერი მოუციათ. დაბალ ზონაში, სადაც ჩვენ ვიყავით მე პირადად არც ერთი შტაბი არ მინახავს, რომ საკმარისი საწვავი ჰქონოდა. იქ უსაქმურად იყო ალასანიას ხალხი, აგიტატორების 60 % ისეთი ხალხი იყო, რომელიც საერთოდ არ იყო საქართველოში, ზოგი თურქეთში იყო სამუშაოდ წასული, ზოგი რუსეთში, ზოგი სუფთა ნაციონალი იყო, 30 % კი ჩანერგილი იყო. სია მიაწოდეს ვალიკოს ვინ იყო ჩანერგილი და ვინ არა, და რომ მივიდა ხელმძღვანელობასთან ამ ინფორმაციის მისაწოდებლად, შეატყო, რომ მათ არ მოეწონათ ეს სიტუაცია. ხვდებით, ალბათ რატომაც. ვიმეორებ, საწვავი ხომ არ იყო და არ იყო, და ფულსაც საერთოდ არ აძლევდნენ ხალხს.

**— საწვავი და ფინანსები, რომ არ იყო რით ხსნიდნენ ამას?**

— ველოდებით, ახლა არ გვაქვსო, ეს იყო მათი პასუხი. არჩევნებამდე 28 დღეა დარჩენილი და თათბირზე ალასანიას ვუთხარით, საწვავი თუ არ იქნა, ვერ გავიმარჯვებთ-თქო, მაგრამ ყურად არ იღო. შემდეგ ლაშა ჟვანია ჩამოვიდა ზუგდიდში და როგორც ვიცი, ლაშა გვასალიას შეხვდა, რომელმაც უამბო რა სიტუაციაც იყო. ლაშამ უთხრა მას, რომ იღუპებოდა ყველაფერი და ვაგებდით არჩევნებს. უთხრა, კომისიებში „ნაცები“ რომ ჰყავდათ ჩასმული, ხალხთან შეხვედრები, რომ არ ტარდებოდა. ჟვანიას უთქვამს, შევხვდები, დაველაპარაკები ალასანიასო. მხოლოდ ამის შემდეგ მოისურვა ალასანიამ ლაშა გვასალიასთან შეხვედრა და როგორც ვიცი, შეხვდა კიდეც. გვასალიამ ალასანიას ყველაფერი, რაც ხდებოდა უთხრა, ისიც უთხრა, ნაცები სად და როგორ აყალბებდნენ არჩევნებს და მათ რა უნდა გაეკეთებინათ, რა საპირისპირო ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ, ალასანიამ მოუსმინა მას, თავი დაუქნია, თუმცა არაფერი გაკეთებულა შემდეგ ამის საწინააღმდეგოდ. ჩემი ინფორმაციით, მათი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ალასანიამ უთხრა გვასალიას პრობლემები გვაქვს და კარგი იქნება, ბატონი გურამ აბსანძე, რომ ჩამოვიდესო. ბევრი ადამიანი გადასულია მოწინააღმდეგის მხარეს და ბატონი გურამი თუ მოაგვარებს ამ საკითხს, ჩაფრინდით, დაარწმუნეთ, რომ ჩამოვიდესო, უთქვამს ალასანიას. გვასალია ჩაფრინდა გურამთან, დაელაპარაკა, ალასანიაც დაალაპარაკა გურამს და შეთანხმდნენ. გურამმა დარეკა თბილისში, მოაგვარა ტრანსპორტის საკითხი, დაურეკა თავის



ხალხს, უზენაეს საბჭოს წევრებს, ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს, არ დაუტოვებია არავინ, მოკლედ, დიდი შეკრება დაიგეგმა. ჰოდა, მოდიოდა ბატონი გურამი საქართველოში, თუმცა წამოსვლის წინა საღამოს დაურეკა ალასანიამ გვასალიას და უთხრა, ბატონი გურამი, არ წამოვიდეს, სიტუაცია შეიცვალა, შემდეგ აგიხსნითო, თუმცა მას არაფერი აუხსნია, დატოვა ეს საკითხი ღია. დღემდე არ ვიცით იქ რა მოხდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ უთხრა ალასანიას, რომ გურამის ჩამოსვლა ცუდად წაადგებოდა ნაცებს და კარგად წაადგებოდა მას, რა გამოდის? საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ წავიდა ალასანია, რატომ, ალბათ ნათელია.

არადა, გურამი იქ, რომ ყოფილიყო ფეხს ვერ შემოდგამდა ახალაია ზუგდიდში, დამთავრებული იყო ყველაფერი. 19 დღე იყო დარჩენილი არჩევნებამდე და ალასანიამ უთხრა გვასალიას, ლაშა, წადი შტაბის ხელმძღვანელადო. ლაშამ უთხრა ეს თავიდან უნდა გაგვეკეთებინა, ახლა 19 დღეა დარჩენილი არჩევნებამდე, კომისია, კოორდინატორები არჩეულია, ყველა თანამდებობა დაკავებულია, მე ახლა უნდა დავხსნა ესენი, რომ შევიდე შტაბში და არ გამოვაო. ალბათ ხვდებით რომ ეს შეთავაზება სერიოზული არ იყო. ალასანიას თბილისელები ჰყავდა ჩამოყვანილი, შტაბში მუშაობდნენ ვითომ, მატრაბაზები, ყავის დალევის მეტს არაფერს აკეთებდნენ. მითხარით, თბილისელმა რა იცის რა ხდება სოფელ კოკში? კოკში თბილისელი მიგყავს კოორდინატორად, რომელიც აზრზე არ არის რა ხდება იქ, მითხარით, ეს სად წერია? და იცით რა მოხდა? არჩევნების დღეს ვალიკოს დაურეკა ერთმა გორელმა კაცმა, ჩქარა ჩამოდი, თარჯიმანი მომიყვანე, მეგრულად საუბრობენ და ვერაფერი გავიგე, მგონი გვატყუებენ რაღაცასო. აი, ასეთი ბითურობები ხდებოდა. მთავარი კიდევ რა არის იცით, ტელევიზიით, რომ აჩვენეს ციხის კადრები, მაშინ ვიფიქრე ავშენდით, ეს თუ გვიშველიდა-მეთქი. გვასალიამ და აბსნაძემ იმ საღამოს სასწრაფოდ ნახეს ალასანია და უთხრეს, 10 მანქანა მოგვეცი თავის საწვავით და ჩვენ არ შემოვუშვებთ ზუგდიდში ახალაიებსო. ახალაიები პანიკაში იყვნენ, სახლი დაკეტეს, გაქცეულები იყვნენ. და რა თქვა ალასანიამ, იცით? გამორიცხეთ, ასეთი მოგება არ მინდაო. რას ნიშნავს ასეთი მოგება არ გინდა, აბა, როგორი მოგება გინდა? ეს არ გინდა, ის არ გინდა, აბა, რა გინდა, ჩვენ თუ ახლა დავკარგეთ ეს შანსი ხალხი ჩვენს უნიათობას დაინახავსო, ვუთხარით ალასანიას, მაგრამ არა, არ მინდა, ასეთი მოგებაო, გვიპასუხა. აი, ეს იყო. გამარჯვება არ უნდოდა მას, და რა ექნა, რა გაეკეთებინა სხვა იმ ხალხს. მიდიოდა ამათი უაზრო ქეიფები, კუნტრუში, დაუს-

4 gv.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ხელისუფლება თუ „ნაციონალების“ მოღვაწეობას არ ამთავრებს, ჩვენ დავამთავროთ, ცოცხზე გადავსვათ და იფრინონ სადაც უნდათ, ოღონდ საქართველოს საზღვრებს გარეთ...



# ხომ გითხარით, ბატონო ბიძინა, ესენი გიღალატებენ-მეთქი!

გვესაუბრება მწერალი **ელიზბარ ჯაველიძე:**

**— ბატონო ელიზბარ, თქვენ არაერთხელ გამოგითქვამთ მოსაზრება, რომ ბიძინა ივანიშვილს ზოგიერთი მისი თანამებრძოლი უყალატებს.**

**„თავისუფალმა დემოკრატებმა“ უკვე განახორციელეს ღალატის აქტი. კიდევ ვის მიიჩნევდით მოღალატედ და რა შეიძლება გამოიწვიოს ყოველივემ პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მოღალატეების ამოცნობას დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი ნამდვილად არ სჭირდება. „რესპუბლიკელების“ ისტორია, ჩემთვის, იმთავითვე ცნობილი იყო. ვიცი როგორ დაფუძნდა ეს პარტია. მისმა დამფუძნებელმა, როდესაც ქეჩოში ხელი სტაცეს და კაგებეში წაიყვანეს, ქაღალდი და კალამი მოითხოვა, დაწყებული ძმიდან საცოლით დამთავრებული ყველა ჩამოწერა და დააპატიმრებინა. დღეს კი ლევან ბერძენიშვილი ზნეობის, ცოდნისა და განათლების ეტალონად მიაჩნიათ. თავად აცხადებს, კურდღელივით კაცი ვარ და თავი დამანებეთ, ნება მომეცით სამშობლოს ვემსახუროო. **ქართველ ხალხს არაფერი დავიწყებია. მშვენივრად ვიცი, როგორ გამოუშვეს ძმები ბერძენიშვილები ციხიდან. კოლონიიდან მოსკოვის კაგებეს უფროსის ჩარევით გაათავისუფლეს.** მახსოვს, როგორ იღწვოდა გურამ ენუქიძე, რათა ლევან ბერძენიშვილი სამსახურში მოეწყო. მაშინ, როცა მერაბ კოსტავას მუსიკალური სკოლის მასწავლებლად არ უშვებდნენ. როდესაც გურამს ვკითხე, რა ხდება, დისიდენტებს ასე კარგად რატომ ექცევით-მეთქი, დავალებააო, მიპასუხა. ასევე, კარგად მახსოვს „რესპუბლიკელების“ განცხადებები — აფხაზეთი დამოუკიდებელი უნდა იყოს, ტერიტორიებზე პრეტენზიები არ უნდა გვქონდესო. ეს ნიშნავს, რომ სამშობლო კი არ გაინტერესებს, არამედ რაღაც სხვა. ბატონ ბიძინას ორჯერ მივწერე საჯაროდ წერილი, ვამბობდი, ამ ხალხის პარლამენტში შეყვანა არ შეიძლება-მეთქი. ისინი დამოუკიდებლად პარლამენტში ვერასოდეს მოხვდებოდნენ. ივანიშვილის დიდი ავტორიტეტითა და ხათრით მეც კი მივეცი ხმა. მამაჩემი რომ ამდგარიყო საფლავიდან და ეთხოვა, მათ ხმას არ მივცემდი, მაგრამ ბატონი ბიძინასი მჯეროდა და ამიტომაც მივეცი „რესპუბლიკელებს“ ხმა. იგივე აზრის ვიყავი ალასანიაზეც. **ალასანია და სააკაშვილი ერთი ხის ნაყოფია. ჩემთვის მისი ცხოვრების გზაც ცნობილია, რა გააკეთა როცა კაგებეს რიგითი ოფიცერი იყო, ვინ მოიტაცა, როგორ დამალა სარდაფში და ა.შ. რა უფლება ჰქონდა ვინმეს სარდაფში ჩაკეტვის? ამისთვის უნდა დაეჭირათ. ისიც მახსოვს, მანამდე, როგორ გამოიყვანა ორი ყმაწვილი ოჯახიდან, რომლებიც დღესაც დაკარგულები არიან. ეს თემა მიჩუმათებულია. ფაქტები არსებობს. ამაზე ხმას არავინ იღებს, მაგრამ აღარ უნდა გავჩუმდეთ, რადგან დღეს იგი ისეთ განცხადებებს აკეთებს, რაც ქვეყნის მტრობაა.** გავყვეთ მოვლენებს. როდესაც თავდაცვის ახალი მინისტრი დანიშნეს, სოსო ცისკარიშვილმა, რომელსაც თავი ობიექტურ შემფასებლად მოაქვს, თქვა, ამ ყმაწვილის ცხოვრებას კაგებეს ხაზი მიჰყვებაო. შე დალოცვილის შვილო, მას რომ ამოუჩხრიკე უშიშროების ხაზი, ალასანია ვინ იყო? მამამისი, თავდაპირველად, ორჯონიკიძის კაგებეს უფროსი იყო. თავადაც კაგებეს ოფიცერი იყო. როცა სააკაშვილი „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარე იყო, სამჯერ-ოთხჯერ მიუხტა შევარდნაძეს, ალასანია უშიშროების მინისტრის ხაბურძანიას მოადგილედ დანიშნეო. დაინიშნა კიდეც. ამ დროს ხდება „ვარდების რევოლუცია“, ხაბურძანია ჩემს თვალწინ ახტა და სააქტო დარბაზის კარი გახსნა, სადაც შეიჭრნენ. მიუხედავად ამ დამსახურებისა, ხაბურძანია მოხსნეს. და იწყება ალასანიას დაწინაურება, ჯერ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, მერე ელჩი გაეროში. ეს შემთხვევით არ მომხდარა. სააკაშვილთან სულიერი ნათესაობა აკავშირებდა. შემდეგ გარკვეული ძალების კარნახით თანამდებობიდან გადადგა და ოპოზიციონერი გახდა. ყველას გვახსოვს კარვების ქალაქი. ვინ აშალა კარვები პირველად? — ალასანიამ. რატომ? — ვიღაცამ უთხრა. არადა,



ქართველმა ხალხმა სთხოვა კარვები არ აშალოო, ისიც დათანხმდა, მაგრამ მეორე დღეს კარვები აშალა. ეს ჩემს მეხსიერებაშია დალექილი. იმაზე აღარაფერს ვამბობ „კულინარიის“ წევრი რომ იყო. ის ბავშვები სწორედ მაშინ დაიკარგნენ. ქალაქის მერის არჩევნებზე მეორე ადგილი აიღო და უგულავას გამარჯვება მიულოცა. არადა, ეს არჩევნები მთლიანად გაყალბებული იყო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ — როგორ ჩატარდა სამეგრელოში არჩევნები. მან სამეგრელოს ვერცერთ კუთხეში ვერ მოიგო მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი დაფინანსება ჰქონდა. იმასაც ამბობენ, რომ ალასანიასა და როლანდ ახალაიას შორის მოლაპარაკება შედგა. ფაქტი ერთია, ალასანია დამარცხდა. ამიტომ, „რესპუბლიკელების“ და ალასანიას ისტორიის გათვალისწინებით ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან „ქართულ ოცნებას“ უღალატებდნენ. ფაქტი სახეზეა. ბატონ ბიძინაზე საყვედურს ვერასდროს ვიტყვი, მისი მადლიერი ვარ. უმადური ხალხი არ მიყვარს. მან დიდი საქმე გაუკეთა ქართველ ხალხს იმ ჭირის მოშორებით, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია. მაგრამ მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, დამოუკიდებლად, ბიძინა ივანიშვილი ამას ვერ მოახერხებდა. ამერიკა მიხვდა, რომ ქართველი ხალხი სააკაშვილს ვეღარ აიტანდა. **გახსოვთ, ალბათ, ხაშურში სპეც. რაზმი ტომრებს რომ დაარბენინებდა, იყო ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური განადგურების მცდელობაც. დასავლეთის და ამერიკის გარკვეული ძალები რომ არ ჩარეულიყვნენ, ალბათ, მას ფიზიკურად გაანადგურებდნენ.**

როგორ ფიქრობთ, რა უნდა ამერიკას? — მას მაინცდამაინც სააკაშვილი და „ნაციონალები“ კი არ აინტერესებს, არამედ ხელისუფლებაში იმ ძალების მოსვლა, ვინც მათ პოლიტიკურ კურსს გააგრძელებს. მათ სურთ ქართველობა, ზნეობა, ტრადიცია, ყველაფერი ეროვნული, ქართული ოჯახი მოისპოს, დავივიწყოთ ისტორიული წარსული. ისტორია იმ დღიდან უნდა დაიწყოს, როცა ეს ძალები მოვიდნენ. სააკაშვილი ამბობს, ისტორია ჩვენი მოსვლიდან იწყებაო. მაგალითად, ჭიაბერაშვილი, ეს ბაყაყიჭამია ნაძირალა, პირდაპირ ასე დაწერეთ, ქართვლის დედას შეურაცხყოფას აყენებდა, რასაც ჩვენი ფსიქოლოგი სოციოლოგები დიდ წარმატებად მიიჩნევდნენ. როცა ქალაქის მერი იყო, პროექტი შეადგინა, რაშიც 33 ათასი დოლარი მიიღო. იგი ამბობდა, ყველაზე საშიშნი ისტორიის და ქართული ლიტერატურისა და ენის მასწავლებლები არიან იმიტომ, რომ ისინი ბავშვებს ეროვნულ სიყვარულს უნერგავენო. მეორე საშიშროება ოჯახიდან მოდის, სადაც ბავშვი იზრდება და ყალიბდებაო.ამ პოლიტიკის გამტარებელი ხალხი ქართულ სახელმწიფოს რომ არ შექმნიდა, გასაგები იყო. ამიტომაც ვიყავი მათ წინააღმდეგ.

**— თქვენ, მარგველაშვილის გაპრეზიდენტების წინააღმდეგიც იყავით. რა იყო ამის მიზეზი?**

— მარგველაშვილმა ჟურნალ „დრო მშვიდობისაში“ რამდენიმე წლის წინ წერილი „ნიჩურტა მე ქართველი ვარ“ გამოაქვეყნა, სადაც ამბობს, რომ ქართველი ერი ავადმყოფია, ვერ გაიზარდა, ბავშვის დონეზე დარჩა და მისი განკურნება შეუძლებელია. ბატონ ბიძინას წერილით მივმართე, რომ არ შეიძლებოდა ამის მთქმელი კაცი, რომელიც „სოროსისა“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ საზოგადოებაში იშვა, საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. ივანიშვილი, ეტყობა, მისით პიროვნულად მოიხიბლა. **მარგველაშვილი თავისი ქცევით აფერისტია, პლასტელინივით ყველაფერს ეკრობა. ივანიშვილმა ისიც კი თქვა, თუ გიორგის არ აირჩევთ საქართველოდან წავალო. საქართველოს არ აქვს იმის უფლება, რომ ასეთი ადამიანი დაკარგოს. ქვეყანას ასეთი მეცენატი და ქველმოქმედი არ ჰყოლია. დღეს თუ არ მიჭირს და შემიძლია წამალი ვიყიდო, მისი წყალობითაა. მან ხელოვნება, თეატრი, მუსიკა, ბოლოს და ბოლოს საქართველო გადაარჩინა.** თუმცა, მან მოგვიანებით თქვა, ასე ადამიანში არ შევმცდარვარო. როცა მარგველაშვილი რეზიდენციაში შევიდა, ეს „ნაციონალებისკენ“ მიმავალი გზა იყო. თუ გახსოვთ, საარჩევნო კამპანიის დროს, იგი ამბობდა, როგორც კი ამირჩევენ კოაბიტაცია დასრულდებაო. კოაბიტაცია მართლაც დაამთავრა, ოღონდ იმ აქტით, რომ „ნაციონალებს“ შეერწყა. დღეს რა ხდება? მან მინისტრადმთავისი ბუღალტერი მოიყვანა, რომელსაც ლიტერატურაზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე წარმოდგენა არ აქვს. იგივე გზა გრძელდება, რაც შემთხვევითი არაა. სწორედ ესაა საშიში. კულტურის სამინისტროშიც იგივე ხაზი გრძელდება, ქართული პროექტები არავის აინტერესებს, არამედ ფინანსდებიან ბურჭულაძე, დეისაძე და სხვები. ეს უგემოვნობა კი არაა, არამედ დაწყებული პოლიტიკის გაგრძელება — მწერლობამ უნდა გარყვნას საზოგადოება.

**— ვისი იმედი შეიძლება გვქონდეს „ქართულ ოცნებაში“, ვინ არის საყრდენი ძალა?**

— საბედნიეროდ, „ქართულ ოცნებაში“ არიან ეროვნული ხალხიც — გოგი თოფაძე, ზურა ტყემალაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ზაზა პაპუაშვილი და სხვანი, რომლებიც ნამდვილი ქართველები არიან და მათ ბუნებას ვერავინ შეუცვლს. გოგი თოფაძე როდიდან ამბობს, დაგვღუპავს მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდიო, მაგრამ არავინ უსმენს.

4 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# როგორ და რატომ ჩააბარა 2012 წლის არჩევნებზე სამეგრელო ირაკლი ალასანიამ ახალაიებს?

2 gv.

რულებელი ლაყბობა, 6 საათზე შტაბი დაკეტილი იყო ხოლმე, ალასანიას ცოლი და მისი დაქალები ყველას ზევიდან უყურებდნენ. ხალხი აჯანყდა, მომხრეები აღარ დადიოდნენ შტაბში, ესენი ვინ არიანო, იძახდნენ. წავიდა ხალხი, მიატოვა შტაბი და დამთავრდა ყველაფერი. კოორდინატორებმა შუა არჩევნების დროს მიატოვეს ყველაფერი. კომისიის წევრები არ მივიდნენ არჩევნების დღეს. ბოლო



დღეს რა მოხდა იცით, ეგზიტპოლები აცხადებენ, რომ გამარჯვებულები ვართ, არადა ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ასე არ იყო. გვასალია ამბობდა, ჩვენი წევრები არსად არ არიან, ვიცი, სადაც აყალბებენ არჩევნებს და იქ ჩავშალოთ, თუ როგორ, ეს მე ვიციო. ირაკლი მოგება არ გინდაო, კითხა გვასალიამ, არა, მე ასეთი მოგება არ მინდაო, იმეორებდა ალასანია. ხალხი მოდიოდა, ტიროდა, ამბობდა, გაგვიყალბეს, გაგვყარეს გარეთ, ჩაყარეს ბიულეტენებიო, ხედავო, უთხრა გვასალიამ, ამის დამტკიცება უნდაო. როგორ დაამტკიცონ, გეუბნებიან, ტელეფონით გადაღებულ სურათს გაჩვენებს ქალი და მეტი რა გინდაო, კითხა გვასალიამ, კამერით გადაეღოო, სად ჰქონდა გადასაღები, მიეცი რამეო ? მოკლედ, მაშინ ალასანიამ საბოლოოდ თქვა უარი გამარჯვებაზე. ყველა უბანზე, სოფელზე, ადგილზე ვაფიქსირებდით დარღვევას და არც ერთ კამერას ფაქტი არ მოქონდა. რატომ ? დააკავეს კამერები, ფაქტი არ მოუტანიათ, თუ მოიტანეს და დამალეს არ ვიცი. კომისიის შემადგენლობას ვინ ადგენდა ? ჩიქოვანის მამა, ყოფილი პარტმუშაკი, კაცი, რომელიც არაფერს წარმოადგენდა. ზუგდიდში ვერავინ ვნახე, რომ მასზე კარგი თქვას, აქებდეს, მაგრამ, რადგან ირაკლის მამა ხელმძღვანელობდა ყველაფერს. ფული მაგათ ხელში გადიოდა. ვიმეორებ, ეს კაცი გონზე არ იყო არჩევნების. საარჩევნო გეგმა არ გააჩნდათ, არ იცოდნენ რა ეკეთებინათ, საზოგადოება დარჩა შტაბის გარეთ.

**— სხვებს თუ აძლევდნენ ფულს? შტაბიდან ფული დაიკარგაო რატომ ითქვა?**

— ყველა წუწუნებდა, ყველას საწვავის და ტელეფონების პრობლემა ჰქონდა. ამბობდნენ, მთელი დღე დავდივართ და „ბულკის" ფული არ გვაქვსო. შტაბიდან ფული როგორ უნდა დაიკარგოს? ვის ეკიდა ფულზე ხელი? ეს ფაქტი გააჟღერა ჩიქოვანმა, მას შემდეგ, რაც იქ აჯანყდა ხალხი ფული არ არისო. მაშინ ბიგვავა ჩამოვიდა თბილისიდან ვიღაც კაცთან ერთად, ის კაცი გაგიჟდა, ფული როგორ არ არის, 600 ათასი გამოაგზავნესო, სად წავიდა ეს ფულიო. მეორე დღეს გავარდა ხმა, ფული დაიკარგაო. ბოლოს თვითონ მიაჩუმათეს ეს ფაქტი, რადგან იქ, ოფისში იყო ერთი გოგონა, გარეთ იჯდა, რომელმაც თქვა, წყნარად იყავით, ყველაფერი არ მათქმევინოთო. ამის მერე მიჩუმათდა ეს, მაგრამ თბილისში როგორი გაგრძელება ჰქონდა ამას, მე ეს არ ვიცი. ხობს და წალენჯიხას არ მისცეს ფული, აბაშა სულ წუწუნებდა და ჯუჯღუნებდა, მარტვილი სულ ტიროდა. 10 დღე იყო დარჩენილი არჩევნებამდე და მაშინაც არ ჰქონდათ ფული. ერთი კვირაა დარჩენილი და მოდის ზონის უფროსი გეგეჭკორი, ტირის, ერთი ლიტრა საწვავი არ მაქვსო. აი, ასეთი სიტუაცია იყო, აი, ასე ჩაფლავდა ყველაფერი. ვინც ბიძინამ გაგზავნა თბილისიდან, არც ერთისთვის ხელფასი არ მიუციათ. სახელფასო ფონდი უკვე ათვისებული იყო. თბილისელებს უხდიდნენ მხოლოდ. აი, ასე დამარცხდნენ, ასე სამარცხვინოდ.

**—ისიც გვითხარით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს „თავისუფალი დემოკრატები" როგორ იქცეოდნენ?**

— უარესად, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებზე. იქ მაშინ „თავისუფალი დემოკრატების" ხელმძღვანელი იყო გია ალასანია, ირაკლი ალასანაის ბიძაშვილი. ეს არის ნაძირალა, ვიმეორებ ნაძირალა, ვირთხა, არამზადა, რომელიც დღე და ღამე აგინებს ივანიშვილს. ერთ კაცს არ უყვარს ის. ის არის მასწავლებელი, იქაურია, რომ დაინახა ირაკლიმ ასეთი ცუდი სახელი ჰქონდა გადააყენა და სხვა დანიშნა. დავალება არ ჰქონდა ხალხს, რომ ემუშავა, შენში უნდა ხედავდნენ მოგების ჟინს და მაშინ იმუშავებს კაცი. მართალია, მოვიგეთ არჩევნები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ზუგდიდი იყო მიცემული ნაციონალებისთვის, კაციშვილი არ ელოდა მოგებას, მოვიგეთ 3 %-ით.

რაც შეეხება ბოლო არჩევნებს, ადგილობრივს, ყველაზე რთული იყო, რადგან შიდა არჩევნებია. აქაც გვასალიასა და მის ხალხს სთხოვეს დახმარება. ჩავიდნენ, დაიწყეს მუშაობა, შტაბი გახადეს არა სალაყბო, არამედ მუშა ორგანოდ. იქ ერთ ადამიანსაც ვერ დაინახავდით, რომელსაც საქმე არ ჰქონდა. მაშინაც აბსოლუტურად უფულოდ იმუშავა ამ ხალხმა და მოიგო არჩევნები. და კიდევ ერთი, საპარლამენტო არჩევნებისას მანქანები უყიდეს თბილისიდან ჩამოყვანილ ხალხს თავისუფალმა დემოკრატებმა. ბიძინა ივანიშვილის ხალხს კი არაფერი მისცეს. თუ გაინტერესებთ დეტალების სიზუსტე ამ ადამიანებს დაელაპარაკეთ. ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ მათგან.

პოლიციაში ისეთი ხალხია დასაქმებული, გადაირეკი კაცი, ისევ ის ზონდერები, ისევ ის ყოფილი „კუდელები"... რა, მარტო ახალაია და მერაბიშვილი იყო პრობლემა? დანარჩენი არავინ შეცვლილა აბა სამეგრელოში.

დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილს, არც ადრე და არც ახლა, სწორ ინფორმაციებს არ აწვდიან.

თუმცა ვინ უნდა უთხრას მას სიმართლე, როცა თითქმის ყველა საკვანძო პოსტებზე (პოლიციას ვგულისხმობ) ყოფილი „ნაციონალები" მუშაობენ.

ამოიღონ პოლიციის თანამშრომლების პირადი საქმეები და ნახონ, რა წერია - რეკომენდატორი — მეგის ქარდავა, რეკომენდატორი — ბაჩო ახალაია. ესენი მიზანმიმართულად დასდევენ ჩვენს აქტივისტებს, აშწარებენ და აჯარიმებენ, თავიანთები კი, ნასვამები თუ არიან, აჩერებენ და სახლამდე აცილებენ. პარტია „ქართული ოცნებას" და იმ ადამიანებს, რომლებიც „ქართული ოცნების" გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, ყოველმხრივ ავიწროებენ. ეს ის საქართველო არ არის, რომელიც ქართველ ხალხს და ბიძინა ივანიშვილს უნდა.

**P.S. ჩვენ შევეცდებით ამ ინფორმაციების გადასამოწმებლად იმ ადამიანებს დავუკავშირდეთ, რომელზეც ჩვენი რესპოდენტი საუბრობდა და „საერთო გაზეთი"ს მომდევნო ნომერში მათი ინტერვიუები შემოგთავაზოთ.**

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# ხელისუფლება თუ „ნაციონალების" მოღვაწეობას არ ამთავრებს, ჩვენ დავამთავროთ, ცოცხზე გადავსვათ და იფრინონ სადაც უნდათ, ოღონდ საქართველოს საზღვრებს გარეთ...

3 gv.

იმიტომ, რომ მთელი ტელევიზიები ფულითაა გაყიდული — რასაც ისინი აკეთებენ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა — ქართველ კაცს ცნობიერებას უმღვრევენ, ტვინს ურეცხავენ. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე სპექტაკლის საზოგადოებად იქცა, რომელიც ტელევიზორს მისჩერებია და ყველაფერი რასაც „რუსთავი-2" ამბობს მართალი ჰგონია, თითქოს, მიშასდროინდელი საქართველოსთანა ბედნიერი და ეროვნული სახელმწიფო არასდროს ყოფილა. მაშინ როდესაც ყველაზე დიდი მტერი სწორედ სააკაშვილია, რომელმაც დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა და გაანადგურა ქართული ცნობიერება.

**— ქართული ცნობიერების დანგრევაში, დღეს, უკვე, საგრძნობლად მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთნენ.**

— დიახ, უამრავი არასამთავრობო შეიქმნა. ვინც კი ხელისუფლებაში იყო და თანამდებობა დაკარგა, ყველამ არასამთავრობო შექმნა. მათ, რა თქმა უნდა, დაფინანსება სააკაშვილისგან აქვთ. მათ ჩვენი ნაქურდალი ფული — მილიარდები, რომელიც გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე ივანიშვილს დაესიზმრება, სხვადასხვა გზებით უცხოეთიდან შემოაქვთ და ამ ფულით თავიანთ არასამთავრობოებს აფინანსებენ. არსებობს კიდევ დასავლეთის არასამთავრობოებიც. მაგალითად, „საია" „სოროსის" დაფუძნებულია. დააკვირდით, რა ხდება. ორჯერ, ლამის, ცემით მოკლეს ზაზა დავითაია, ვინმემ ხმა




ამოიღო? არცერთმა არასამთავრობომ ხმა არ ამოიღო. ამ დროს ლგბტ-ს წარმომადგენელს ხელით რომ შეეხო, მთელი ამბავი ტყდება და გადაცემებს აწყობენ, რომ თურმე ტრანსსექსუალები ჩაგვრას განიცდიან.ააი, ესაა მთელი უბედურება. ეს არასამთავრობოები შემთხვევით როდი წამოტივტივდნენ. მათ, სინამდვილეში, ადამიანის უფლებების დაცვა საერთოდ არ აინტერესებთ. ეკა გიგაურს, კახა კოჟორიძეს, ნინო ლომჯარიას ერთი წიგნი არ აქვთ წაკითხული, კომპიუტერს მისჩერებიან. ერთ ლექსს გეტყვით: „მალე გნახავ შენ ლიახვო გესეოდნენ კოლოები, შიგ ბიჭები ბანაობდნენ და უნიფხვო გოგონები". აი, ეს ბიჭები და უნიფხვო გოგოები განაგებენ დღეს საქართველოს პოლიტიკას, ასევე, კულტურას, ხელოვნებასა და მეცნიერებასაც. ასე, საქართველოს არაფერი ეშველება. საზოგადოებამ ხმა უნდა ამოვიღოთ. დღეს, ეროვნული ცნობიერება ისპობა. ამიტომ უნდათ მსოფლიო მოქალაქეობა. ლიბერალები მსოფლიო მოქალაქეები არიან. ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნეში „ლიბერალებს" ასე აფასებდნენ: ისინი არიან ხალხი, რომლებიც ყველაფერზე ლაქლაქებენ, წამოაყენებენ თეზისებს და ყველაფერს თვითონ ანგრევენ და აფუჭებენ. მათ არც სამშობლო უყვართ და არც მსოფლიო. არ შეიძლება საკუთარი შვილი არ გიყვარდეს და ზოგადად, შვილის სიყვარულზე ლაპარაკობდე. არ შეიძლება შენი ორღობე არ გიყვარდეს და მამულის სიყვარულზე ლაპარაკობდე. „ნაციონალებმა" მკვლელების სისტემა შექმნეს, ეს თუ არ დაინგრა, არაფერი გვეშველება. განა დაგვავიწყდა რას უშვებოდნენ ხალხს? — ციხეში, შვილისა და დედის წინაშე მამას აუპატიურებდნენ და ამას კამერით იღებდნენ. ვინც გაუპატიურება ვერ შეძლო, მისთვის აფთიაქებში „ვიაგრას" საყიდლად დარბოდნენ.ეეს არცერთ ფაშისტს, გიტლერსაც არ გაუკეთებია. **„ნაციონალები" ცხოველები არიან, მათი გამოსწორება და მათთან კოაბიტაცია დაუშვებელია. მათი ცხოველური ინსტიქტები უნდა ჩავკლათ — ან უნდა განიდევნონ როგორც საშიში ცხოველები, ან აქვე უნდა დაიმარხნონ ყოველგვარი სასამართლოს გარეშე**. ახლა, ირაკლი ღარიბაშვილს ებრძვიან იმიტომ, რომ მან განაცხადა, ერთსქესიანი ქორწინება ქართველი კაცის საქმე არ არისო, ასევე, „ნაციონალებთან" საუბარი არ შეიძლებაო. მაშინვე დისკრიმინაციული კანონი მოუმზადეს. ახლა „ნაციონალები" და ალასანია ერთად არიან. „თავისუფალი დემოკრატებიც" მოსასპობები არიან. მარტო ერთ კაცზე მწყდება გული, რომელიც იბრძოდა და ნამდვილი ოჯახიშვილია — გია ცაგარეიშვილზე. დანარჩენი შემთხვევით გაჩენილები არიან, ივანიშვილმა მიიყვანა და პარლამენტში ჩადო. ალასანიამ თავის წარსულს მიხედოს. სოლოლაკელმა პეტრიაშვილმა ცხვირი რომ აქვს გალუნული, ჯერ ეგ ცხვირი გაისწოროს და მერე თუ შეუძლია კაცურად გაიაროს უბანში. მაგრამ ვერ გაივლის კაცურად. კაცი შენს უბანში რომ ვერ დადიხარ კაცურად, როგორ შეიძლება ქვეყნის ინტერესები გაიტანო საზღვარგარეთ. ესაა უბედურება. ხალხი უნდა გამოვიდეს და რადგან ხელისუფლება **„ნაციონალების" მოღვაწეობას არ ამთავრებს, ჩვენ დავამთავროთ, ცოცხზე გადავსვათ და იფრინონ სადაც უნდათ, ოღონდ საქართველოს საზღვრებს გარეთ**.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# `erTi bartyi gadmomigde~

# ვინ და რატომ ითხოვს ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას?

როგორც მოსალოდნელი იყო, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებსა და კონკრეტულ პირებს ყელში ცუდად გაეჩხირათ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და ე.წ წერტილოვანი დარტყმების მცდელობების შემდეგ როგორც იქნა ამოთქვეს გულისნადები. მართალია, თითოეული მათგანი სხვადასხვა მიზეზს ასახელებს, მაგრამ გამაერთიანებელი მოთხოვნა ერთია – „გადადგეს ღარიბაშვილი!“

ვნახოთ, ვინ ითხოვს პრემიერის გაგადგომას და რატომ?

ერთ-ერთი მათგანი პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძეა, რომელმაც ღარიბაშვილის გადადგომის მოთხოვნით კამპანია წამოიწყო და ამ ბრძოლაში რამდენიმე პოლიტიკურ ძალასაც მოიაზრებს თანამებრძოლად. თავდაპირველად ის ვთქვათ, რატომ გაუჩნდა ეს მოთხოვნა, შემდეგ კი მივყვეთ.

საბჭოთა კავშირის დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული შალამბერიძე როდის და როგორ გახდა „დიდი პოლიტიკოსი“, იქით იყოს, მაგრამ ფრიად უცნაური კაცი კი ნამდვილად არის – 1990 წლიდან „ქართველ ტრადიციონლისტთა“ კავშირიდან დაიწყო, მაგრამ შემდეგ რაღაც „იგუმანა“ და 2004


ალექსანდრე შალამბერიძე

წლიდან 2009 წლამდე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო; შემდეგ კვლავ რაღაც „იგუმანა“ და „ხალხის პარტიაში“ ამოყო თავი; შემდეგ, „რვიანში“ „ქრისტიან-დემოკრატებს“ ვერ შეეწყო მიზეზთა გამო და „ხალხის პარტიიდანაც“ აიკრა გუდა-ნაბადი.

და საერთოდ, ბატონი შალამბერიძე პრემიერის გადადგომას რომ ითხოვს და არა მის გატყავებას, მაინც დადებითი მომენტია. სახუმარო ნათქვამი არ არის, სულ სამიოდე წლის წინ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შეიქმნა გვერდი „**Anti-Fur Coalition**“ – დავამზადოთ ლალი მოროშკინასგან ქურქი“, რაც მის მიერ ბეწვეულის „ბუტიკის“ გახსნა მოჰყვა და მასში ჩართული იყო პოლიტიკოსი შალამბერიძე. პასუხი, კი, მიიღო მოროშკინასგან, რაც მე მომწერეთ, ეგ შეგიძლიათ საკუთარი ცოლისგან დაამზადოთ, თუ რა თქმა უნდა, ძალიან არ გაგეწელებათ ხარშვის პროცესიო, მაგრამ მაინც...




ვინ არიან ის „რამდენიმე პოლიტიკური ძალა“, რომლებსაც ღარიბაშვილის გადადგომის კამპანიაში თანამებროლებად მოიაზრებს ბატონი შალამბერიძე?

**„ნაციონალები“** – უკლებლივ ყველა, თუმცა მათშიც არიან გამოკვეთილად მომთხოვნები, რომელთა „მთავარსარდლად“ უპირობოდ დანიშნულია გივი თარგამაძე, რომელიც იმდენ ღია წერილს სწერს პრემიერს, შეყვარებულებს შეშურდებათ.

აქვე მოიაზრებს, ალბათ, ბატონი შალამბერიძე „თავისუფლ დემოკრატებს“ – ასევე, უკლებლივ ყველას, ვინც საბაბით „კაბელების საქმე“ პოლიტიკური დემარშის შემდეგ დარჩა პარტიაში. ბუნებრივია, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს არც დაუმალავს საყვედური, ჩვენ კი არა, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს უნდა დაეტოვებინა თანამდებობაო, თუმცა – რატომ? – გაუგებარი დარჩა.

ცალკე სუბიექტადაა წარმოდგენილი „მე თვითონ!“ – პაატა დავითაია. რა თქმა უნდა, გასაგებია, ბატონი დავითაია რა ნესტრითაა ნაჩხვლეთი, მაგრამ ბატონი დავითაიასა და მისი თანამოაზრე, მიხეილ სააკაშვილის „სამხედრო ხედვები“ რადგან ანეკდოტად იქცა, კიდევ ერთხელ გავიღიმოთ.

**პაატა დავითაია:** – „თუკი სოხუმი-ერევნის რკინიგზა გაიხსნება, მაშინ რუსეთს გაუადვილდება ჩვენი დაპყრობა.“

პაატა დავითაიას სამხედრო მოძღვარი მიხეილ სააკაშვილი, პოლონეთის მტავრობისთვის რაინდი, ქართველებისთვის – გორში მხოხავი წვინტლიანი: – „ჩვენ ავაშენეთ მცხეთიდან ქუთაისამდე ავტომაგისტრალის გაყოლებით, მთებში, ბეტონის სიმაგრეები და ამიტომ, რუსეთს ძალიან გაუჭირდებათ ამ გზის გამოვლა და თბილისში შემოსვლა. ამ სიმაგრეებიდან არტილერიის ცეცხლით ჩვენ შეგვიძლია დიდიხნით შევაჩეროთ მოწინააღმდეგე.“

ერთ-ერთი „პოლიტიკური ძალა“ (თუ შეიარაღებული არა), უეჭველად ნიკა რურუას „სასტავია“, საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია-ბიზი“ თავისი „პრო ბონო პუბლიცოთი („საზოგადოების საკეთილდღეოდ“) და კიდევ რამდენი ასეთი კინკილ-კინკილა განაყარია ერთიანი ნაციონალური ხიდან...

ცალკე აღსანიშნია №1 ლეიბორისტი, ხალხის მიერ „დაუნ ვიქდეიტედ“ გადანათლული შალვა ნათელაშვილი, რომელსაც ისეთი პიროვნული ალერგია აქვს ბიძინა ივანიშვილზე, მისი ხელისფლების პრემიერს კი არა, ალბათ, ყველა იმ ადამიანს ვერ იტანს, ვის გვარსახელშიც გამორეულია თანხმოვანი „ბანი“... ერთ-ერთ ინტერვიუში მისი პარტიის წევრმა ბატონმა გუგავამ სწორედ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ბრძანა, „ელიტა“ კი არა, „ბნელიტაა“ ვინც გაჰყვიროდა, მესია ევლინება საქართველოს, მიშას დაუჭირეთ მხარიო“, მაგრამ ახლა მისი პარტია უჭერს მხარს „მიშასა და კამპანიის“ ოცნებას...

„რესპუბლიკელები“ ისეთივე მოთმინებით ელიან მის მოშორებას, როგორც ელოდნენ „საკუთარი დროის დადგომას“ – ბიბლიურ იობს შეშურდებოდა მოთმინების ამგვარი უნარი. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ერთი შეხედვით მშვიდი დავით უსუფაშვილი რომ არ იყოს ყველა მათგანზე (ერთად აღებული) გონიერი, „თავისუფალ დემოკრატებს“ თუ არ გაასწრებდნენ დემარშში, არც ჩამორჩებოდნენ...



ეს, მეტ-ნაკლებად პარტიებად წოდებული გაერთიანებები, თორემ მათ იმდენი წარმონაქმნი აქვთ მეტასტაზებივით გამრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციების, რაღაც საზოგადოებების, ინსტიტუტებისა და მასმედიის სახით, სპეციალური შტატი უნდა შეიქმნას მათ დასათვლელ-გამოსააშკარავებლად, ვთქვათ, სიმბოლური სახელით „ბუღალტერ-გამომძიებელი“...


პაატა დავითაია

ყველა მათგანის სანუკვარ ოცნებას კი დიდი ნათელმხილველი ლელა კაკულია აგვირგვინებს ტკბილი ენითა და მოცინარი სახით ყველა სახის მედიასაშუალებიდან – ცხონებულ ზვიადს (გამსახურდიას) ვურჩიე და არ დამიჯერაო; ცხონებულ გურამს (შარაძე) ვურჩიე და არ დამიჯერაო; ცხონებულ ზურაბს (ჟვანია) ვურჩიე და არ დამიჯერაო... ჯვარი წერია ირაკლი ალასანიას და მისთვისაც ურჩევია, წამოდი მაქედანო (თავდაცვის სამინისტრო) მაგრამ არც მას დაუჯერებია; ახლა ირაკლი ღარიბაშვილს ურჩევს, გადადექიო...

ღარიბაშვილს, როგორც ვატყობთ, დიდად არ სჯერა ქალბატონი ნათელმხილველის პოლიტიკური ხილვებისა (მითუმეტეს, რომ ახლახანს გარდაცვლილი კახაბერ ბენდუქიძისთვის არ ურჩევია ლონდონში არ წახვიდეო) და არ აპირებს პრემიერის პოსტის დატოვებას მის შეძახილზე, მაგრამ როცა ამდენი მტრიდან, ზოგი უბეში უზის და ზოგი ზურგში ჰყავს ჩასაფრებული, ნეტავ, რა ძალა გაატანინებს თავს, მხოლოდ ხალხის ძალა?

უყვარდა ხალხს ზვიად გამსახურდია, მაგრამ მაშინ გარე ძალა და ელიტა, ე.წ „წითელი ინტელიგენცია“ შეიკრა საქართველოს წინააღმდეგ და დააქციეს კიდეც...

**ახლა – გარე ძალასთან ერთად „ჩვეულებრივი ბნელიტა“, „მწვანე ბნელიტა“ (დოლარის სიყვარულით დოლარისფრად გამხდარი სამშობლოს ინტერესების მოღალატე) „ფაშისტური ბნელიტა“ და „ანტიქართულ-ანტიმართლმადიდებლური ბნელიტაა“ შეკრული ერთმანეთთან და ბევრად რთულადაა საქმე, ვიდრე გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო.**

**გიორგი ჩხეიძე**

ME

MTKVARI ENERGIA

# „ანაკლია პორტის“ და „მტკვარი ენერგიის“ პროექტების განხორციელება საქართველოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩააყენებს!

როგორც გასულ კვირას გახდა ცნობილი **„ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM“**-მა უკვე დაიწყო ინვესტიციების ჩადება ენერგეტიკის სფეროში!

დიდი ხანია ცნობილია, რომ ქართველ ენერგეტიკოსთა ჯგუფი, მდინარე მტკვრის ჰიდრორესურსების გამოყენებაზე მუშაობს. ხანგრძლივ თავდადებას და საქმისადმი ერთგულებას შედეგიც მოჰყვა, — შპს **„მტკვარი–ენერგია“**-ს გენერალური დირექტორის, ბაკურ გულუას განცხადებით, — „საქართველოში უპრეცედენტო პროექტი იწყება, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას და, რაც მთავარია, პროექტის განხორციელების დროს, ათასობით ადამიანი დასაქმდება.

—ჩვენ შევძელით საქართველოში ჩამოგვეყვანა მსოფლიოში უმსხვილესი ენერგეტიკული კომპანია **„POWERCHINA-HYPEC“**-ის წარმომადგენლობითი დელეგაცია, კომპანიის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.... უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ინვესტიცია **620 მილიონ დოლარს** გაცდება. დამეთანხმებით, რომ საქართველოს ისტორიაში მსგავსი ინვესტიციის განხორციელების პრეცენდენტი არ ყოფილა.“

მივესალმებით და წარმატებებს ვუსურვებთ შპს **„მტკვარი ენერგიას“**, **„POWERCHINA-HYPEC“**-ს და შპს **„ანაკლია ინდუსტრიული ეკოპარკი & პორტს“**, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებაში. მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს, ის ჩინური კომპანიაა, რომელიც **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკ კონსორციუმ“**-ის შემადგენლობაში გავაცანით **„საერთო გაზეთი“**-ს მკითხველს, 15 ოქტომბერს **„ანაკლია პორტი“**-ის მშენებლობის კონკურსში დოკუმენტაციის შეტანისას.

ნოემბრის ბოლოს, ბატონ თეიმურაზ ქარჩავას ჩინური კომპანიის ხელმძღვანელობა სტუმრობდა, სომხეთში მიმდინარე გაზტურბინების თბოელექტროსადგურის მშენებლობის საბოლოო დაგეგმარებასა და **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ შუალედში მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, — **„მტკვარი ენერგიას“**, **„POWERCHINA-HYPEC“**-სა და შპს **„ანაკლია ინდუსტრიული ეკოპარკი & პორტს“** შორის, მდინარე მტკვარზე კასკადური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

ამ საკითხს ქვემოთ მივუბრუნდებით.






ამ ზაფხულს, აგვისტოს ბოლოს, ქართულ მედიაში, მეხივით გავარდა სკანდალური ინფორმაცია, სომხეთში გაზტურბინების თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ:

***„ვის ეკუთვნის Anaklia IEP – 600 მილიონიანი ქართული ინვესტიცია სომხეთში? (2014-08-26)***

***„—გაურკვეველი რჩება ვინ არის Anaklia IEP Holding-ის მფლობელი და რატომ გადაწყდა თითქმის უცნობი კომპანიის ამ მასშტაბისა და მოცულობის ენერგოპროექტის განხორციელებაში მონაწილეობა“***

***„...ვის ეკუთვნის Anaklia IEP და რატომ იდება თითქმის მილიარდიანი ინვესტიცია სომხეთში. პრემიერ ღარიბაშვილის სომხეთში ვიზიტის ფარგლებში ცნობილი ხდება ახალი პროექტის შესახებ. სომხური გამოცემა გარიგების დეტალებზე წერს. თუმცა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: გამოიწვევს თუ არა აღნიშნული პროექტი ურთიერთობების დაძაბვას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის? გაუგებარია ისიც, თუ რატომ უნდა ჩაიდოს სომხეთში ამ მასშტაბის მშენებლობაში ქართული ფული, თუკი ჩვენ მოგვიწევს გამომუშავებულ ელექტროენერგიის შეძენა?!. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა საქართველოში უმუშევრობა კვლავ ნომერ პირველ პრობლემად რჩება. მსგავსი პროექტის საქართველოში განხორციელება, როგორც მინიმუმ ბიუჯეტს გადასახადებით 200 მილიონს მოუტანდა.“***

—ცხადია, საქართველოს კეთილმოსურნეებს არ აუტეხავთ რიარია ამ ამბის გარშემო, არც საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო შეუძრავთ ქვეყანა! მათ ნაკლებად აწუხებდათ სომხების რისკი, როცა კითხულობდნენ, — „ვინ არის **Anaklia IEP Holding**-ის მფლობელი და რატომ გადაწყდა თითქმის უცნობი კომპანიის ამ მასშტაბისა და მოცულობის ენერგოპროექტის განხორციელებაში მონაწილეობა?“

**„საერთო გაზეთი“** მაშინვე გამოეხმაურა, ავისმოსურნეთა მიერ გავრცელებულ **„შავ პიარს“** (**„საერთო გაზეთი“** №29(296), 03.09.2014) და ვიდრე იგი, მოსახლეობას გადაედებოდა, როგორც იტყვიან, — ლოკალიზებულ იქნა საინფორმაციო ხანძარი!

—დღეს, არავისთვის არ არის უცხო, რომ საქართველოში მედიასაშუალებების დიდი უმრავლესობა არა აღმშენებლობას, არამედ ქვეყნის ნგრევას, მის დაღმასვლას უკეთებს **„პიარს“**. თუ სადმე კარგი საქმე გაკეთდა, იგი დაცინვის საგანი ხდება, ყოფილი ხელსუფლების არ გაკეთებული საქმეები კი დღევანდელს ბრალდება! ამ საქმის **„ნათელ“** მაგალითს **„რუსთავი 2“** წარმოადგენს, რომელიც ცოტაც და ქვეყნის მმართველი მთავრობის იარაღით დამხობისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას!

—დიდი „ფილოსოფოსობა“ არც იმის მიხვედრას სჭირდება, რომ ქვეყნის და მისი მოსახლეობისთვის ავისმოსურნე ნაც-ოპოზიციონერებსა და მათ გუშინდელ კოლეგა-მეგობრებს, რომლებიც მრავლად არიან მთავრობასა და პარლამენტში, არაფრად ეპიტნავებათ საქართველოში ისეთი მეგაპროექტის განხორციელება, როგორიც **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკია“**, რადგან ისინი ნათლად ხედავენ, ამ პროექტს შეუძლია არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასიის რეგიონი გამოიყვანოს ჩიხიდან!

თუ ეს მოხდა, ბუნებრივია, იგი საქართველოს დღევანდელი მთავრობის დიდი წარმატება იქნება, რაც ქვეყნის დამაქცევართ ხელს უშლით მათი ვერაგული გეგმის განხორციელებაში, რომელიც ასე ჟღერს, — ***ქვეყანაში არაფერი უნდა გაკეთდეს, მოსახლეობა უკიდურეს მდგომარეობამდე უნდა მივიდეს, რომ მათი ხელით დაემხოს დღევანდელი მთავრობა!..***

ამ და სხვა მიზეზების გამო, ანაკლია პორტის მშენებლობის დაფინანსების მოძიება გაცილებით დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე იგი, ნორმალურ პირობებში შეიძლებოდა მოგვარებულიყო.

ძნელად, მაგრამ ეს წინააღმდეგობები დაძლეულ იქნა და საქმეც წინასწარ დაგეგმილ კალაპოტში დგება, რაც **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობისათვის შექმნილმა **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკ კონსორციუმ“**-მა შეიმუშავა. სწორედ ამის შედეგია სომხეთში გაზტურბინების თბოელექტროსადგურის მშენებლობა და თითქმის პარალელურად, საქართველოში, მდინარე მტკვარზე, კასკადური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსება.

中国电建

POWERCHINA

*მოვუსმინოთ ბატონ*
***თეიმურაზ ქარჩავას:***

**„ანაკლია პორტ ინდუსტრიული ეკო პარკი“**-ს პროექტი არა მარტო შინაარსით, იგი სიდიდითაც უნიკალურია. მარტო პორტის მშენებლობა 5,5 მილიარდი დოლარი ჯდება, მთლიანი პროექტის ღირებულება კი 12 მილიარდს აღწევს!

მე არაერთგზის მითქვამს, რომ ცალკე აღებული ანაკლიაში პორტის მშენებლობა, შეიძლებოდა საერთოდ არ განხილულიყო. გამომდინარე აქედან, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის კონკურსში ჩვენს მიერ შეტანილ მეგაპროექტში, – **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკი“**



ვრცლად წარმოვაჩინეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნისთვის სასიცოცხლო, ენერგო და სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების საკითხებიც.

საქართველო რომ ერთ-ერთი, უმდიდრესი ჰიდრო რესურსების მქონე ქვეყანაა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რაც, ბუნებრივია, არც ჩვენი პარტნიორებისთვისაა უცხო. თუ ჩვენი ადრინდელი შეხვედრებისას, რომელიც 10 წელზე მეტია გრძელდება, ძირითადი ყურადღება **„ანაკლია პორტის“** მშენებლობასა და მისი დაფინანსების წყაროების მოძიებას ეთმობოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, იგი სხვა მიმართულების ბიზნეს-პროექტებით შეივსო. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და მეორე პრიორიტეტად ქვეყნის ჰიდრო და სასოფლო სამეურნეო პოტენციალი იქნა მიჩნეული,.

ბუნებრივია, როცა ასეთი მასშტაბის პროექტებზე მიდის საუბარი, რისკიც შესაბამისად დიდია და ინვესტორთა ჯგუფს კაპიტალის მხოლოდ ერთი მიმართულებით დაბანდება დიდ სირთულეებს უქმნის. ამიტომაც, მათთვის, პარალელურად, ახალი საინვესტიციო სფეროების შეთავაზება საინტერესო და მიმზიდველია.

მეგაპროექტი **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკი“** არ გახლავთ ლოკალური ქართული პროექტი. გამომდინარე აქედან, – სომხეთში მშენებარე 540 მეგავატიანი გაზტურბინების თბოელექტროსადგურიც ანაკლიაში პორტის მშენებლობის ელექტროენერგიით მომარაგების შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ასევე ჩვენი **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკ კონსორციუმი“** აფინანსებს და აშენებს. ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება მთავარია მშენებლობის პერიოდში, თორემ აშენებულ და მოქმედ პორტს ელექტროენერგიის



მომწოდებელთა რიგი დაუდგება.

ანაკლიაში აშენდება ალუმინის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც სომხურ ნედლეულზე იმუშავებს და ასევე სოლიდური ტვირთებით მოამარაგებს მომავალში **„ანაკლია პორტს“**. ესეც პორტის შემადგენელი ნაწილი იქნება და საერთო საინვესტიციო თანხიდან დაფინანსდება.

–ანაკლიაში პორტის მშენებლობა, **„ახალი აბრეშუმის გზის“** პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც საქართველოს საზღვრებს ცდება.

***–საბოლოოდ, რა მოცულობის ინვესტიციებზეა საუბარი? მათ შორის, რა ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საქართველოში?***

–როგორც ზემოთ ვახსენე, **„ახალი აბრეშუმის გზის“** დიდი პროექტის ერთი ნაწილია **„ანაკლია პორტი“**. პროექტის მთლიანი ღირებულება ოცდაათ მილიარდ დოლარს აჭარბებს. აქედან საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა 10-12 მილიარდი დოლარი იქნება. ეს არის დიდი პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს ანაკლიაში პორტის მშენებლობას და მასში შემავალ ინფრასტრუქტურას, – ახალ დასახლებას 20-25 ათას მაცხოვრებლით, საერთაშორისო სტანდარტის სატვირთო აეროპორტით, მეტალის გადამამუშავებელი და გემთსაშენი ქარხნით, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის პროექტებით დამთავრებული.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, **„POWERCHINA-HYPEC“** ჩვენი **„ანაკლია პორტ & ინდუსტრიული ეკო პარკ კონსორციუმ“**-ის წევრია და, ასევე, ჩვენი პროექტის ძირითადი დამფინანსებელი ინგლისურ **„ბრიტიშ ეკოპაუერთან“** ერთად.

ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შემდეგ ჩვენმა კონსორციუმ-



მა, როგორც იტყვიან, – მწვანე შუქი აუნთო მდინარე მტკვარზე კასკადური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსებას!“

–ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული, (უფრო მართებული იქნებოდა **„ნაცმოური“**), მედიასაშუალებების მხრიდან ქვეყნის მმართველი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შავი პიარისა და მოსახლეობის დაშინება-დატერორების ფონზე, სიზმარს უფრო ჰგავს ზემოთ მონათხრობი!

ამბობენ, – როცა, ცხადში ნაკეთები სიკეთე ძილში ჩაგყვება, ის სიზმარი აუცილებლად აცხადდებაო!

–ათ წელზე მეტია, რაც ზემოთნახსენები პროექტები მზადდება. ათ წელზე მეტია მხოლოდ სიკეთე უთესიათ მათ შემოქმედებს!

–ასაცხადებელს ჰგავს ზემოთმონათხრობი!

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, – წარმატება და მწვანე გზა ვუსურვოთ მათ!

**დავით ქობალია**
**593 510171**



## კახი კალაძე: „ხუდონჰესის“ პროექტის განხორციელება შესაძლოა, სახელმწიფომ დააფინანსოს

ენერგეტიკის მინსიტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ „ხუდონჰესის“ პროექტის განხორციელება შესაძლოა, სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს.

როგორც მინისტრმა სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობა მსჯელობს.

მისი განმარტებით, ამ ეტაზე მოლაპარაკებები ინდურ კომპანია “ტრანს-ელექტრიკასთან” მიმდინარეობს.

“მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანიასთან. ჩვენ მოვთხოვეთ, რომ სრულიად გამჭვირვალედ წარიმართოს ყველანაირი პროცესი. ეს კომპანია დარეგისტრირებული იყო ოფშორში და მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ ყველაფერი იყოს გახსნილი. ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზეც, რომ ხომ არ დავიბრუნოთ სახელმწიფომ ეს პროექტი და თვითონ სახელმწიფომ განახორციელოს, სტრატეგიიდან გამომდინარე, რაც არის ძლიან მნიშვნელოვანი და მთავრობაში მიმდინარეობს ამაზე მსჯელობა”, - განაცხადა კახა კალაძემ.

დავით ლორთქიფანიძე: ის ვინც გაემიჯნება კოალიციას, მგონია, რომ მოგებული არ დარჩება.

„დიახ, რატომ არ შეიძლება, რომ ივანიშვილს მოვუსმინოთ? ვინ წაართვა მას ეს უფლება ჩემამდე არ დადის".

# დავით ლორთქიფანიძე: უცხოელები გვარიგებენ ჭკუას და ვინ წაართვა უფლება ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელმაც ფაშისტური რეჟიმი მოაშორა ქვეყანას, თავისი მოსაზრებები გამოთქვას?

**„საერთო გაზეთი" „ქართული ოცნების" დეპუტატს დავით ლორთქიფანიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო დათო, ცვლილებებია სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებსა და პარტია „ქართულ ოცნებაში"- ზვიად ჯანყარაშვილი პოსტს ჩამოშორდა, რა ხდება? ჩვენთან ბოლო საუბრისას თქვენ აღნიშნეთ, რომ ჯანყარაშვილი პარტიის რიგების გასუფთავებასა და გაძლიერებას აპირებდა, ნაცვლად ამისა კი დაიხურა ქუდი და წავიდა?**

— მე ნამდვილად, არ მოველოდი ამას და სიმართლე გითხრათ, დღემდე ახსნა ვერ მომიძებნია თუ რატომ მოხდა ეს. ამბობენ, რომ მან პირადად მიიღო ეს გადაწყვეტილება და მჯერა რომ ეს ასეა, იმიტომ, რომ მე დავინახე რა მისი ადამიანური თვისებები, რომლებიც მასში ტოვებს იმის რესურს, რომ მას ასეთი გადაწყვეტილება მიეღო პირადად. თუმცა საკითხავია, რა იყო მოტივი, აი, ეს არის მთავარი. მოტივი რა იყო, ნამდვილად არ ვიცი, თორემ არ მოვერიდები ამის თქმას. იმედს ვიტოვებ, რომ მოკლე ხანში კონტაქტებით, და ურთიერთობებით, შიდა სამზარეულოში ეს თემა გაირკვევა, იმიტომ, რომ ეს, როდესაც მოხდა დიდი შეხვედრა ფრაქციისა ან უმრავლესობის არ შემდგარა. ჯანყარაშვილის წასვლა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ჩვენ რეალურად გვერდიდან მაყურებლის როლში ვართ. გულწრფელად გეტყვით, მე პირადად არ მომეწონა, რომ ზვიადიმ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ჩემი აზრით, მისი წასვლა დიდი დანაკლისია პარტიისთვის. ვფიქრობ, ჯანყარაშვილის წასვლა არ იყო ამ შემთხვევაში რესპექტაბელური. ვინ ჩაანაცვლებს მას, არ ვიცი, ალბათ იმ კვირაში გავიგებთ. თუმცა ერთი რა ვიცი, ჯანყარაშვილი იმ საქმიანობის ფორმის ცვალებადობას თავისი ინიციატივით მარტო არ გააკეთებდა, დარწმუნებული ვარ, ეს იყო პარტიის თავჯდომარესთან, ანუ პრემიერთან შეთანხმებული სტრატეგია, აქედან გამომდინარე, ცუდია, ზვიადი რომ წავიდა, მაგრამ ვინც არ უნდა მოვიდეს, ვფიქრობ, კურსი, რომელიც დაისახა პრემიერმა, უნდა გაგრძელდეს და დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება კიდეც.

**— გავრცელებული ინფორმაციით, გარედან ჩარევით მოხდა მისი პოსტიდან ჩამოცილება...**

— მე მესმის ჟურნალისტების, თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებსაც გინდათ, რომ რაღაც ახალი შესთავაზოთ საზოგადოებას, თქვენ იყოთ პირველები, მაგრამ მოდით, ნუ დავიწყებთ ნეგატივიდან ათვლას, იქნებ ეს კაცი რაღაც უფრო საინტერესოსთვის ემზადება? დიახ, გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მოდით, გულწრფელად ვიტყვი, ჩემთვის გაუგებარია, დავუშვათ, ბიძინა ივანიშვილის აზრის გაზიარება რატომ არ უნდა მოხდეს „ქართულ ოცნებაში", ვიმეორებ, გაუგებარია, იმიტომ, რომ ბოდიშს ვიხდი და თუ არაერთი გადამდგარი ევროპელი ჩინოვნიკის აზრი ჩვენი წინა ხელისუფლებისთვის იყო მთავარი ამოსავალი წერტილი და ეს ადამიანები დღესაც აგრძელებენ იმას, რომ თავისი პოზიციები დააფიქსირონ საქართველოსთან მიმართებაში და ამას ჩვენი ოპონენტები და რიგ შემთხვევაში ჩვენც ვიზიარებთ ნუ, რაც არის გასაზიარებელი იმას, ანუ თუ უცხოელებს აქვთ იმისი უფლება, რომ თავის მოსაზრება გამოთქვან და ჩვენ ეს ყურად ვილოთ, რატომ არ შეიძლება ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს ამის უფლება? დიახ, რატომ არ შეიძლება, რომ ივანიშვილს მოვუსმინოთ? ვინ წაართვა მას ეს უფლება, ჩემამდე არ დადის?! პირდაპირ ვამბობ, კაცს, რომელმაც 9 წლიანი რეჟიმი მოგვაცილა თავიდან, ვფიქრობ, აქვს უფლება თავის პოზიცია ჰქონდეს და დააფიქსიროს, მაგრამ როგორც ასეთი, ერეოდეს, მე ეს ნათქვამი არ მგონია სწორი იყოს, მქონია მასთან ურთიერთობა და მას ასეთი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ვფიქრობ, სანამ იარსებებს მინიმუმ პარტია „ქართული ოცნება და მაქსიმუმ კოალიცია, ჩვენ ბატონი ბიძინას მოსაზრებას ანგარიში უნდა გავუწიოთ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.





**— თანამდებობა კიდევ რამდენიმე ჩინოვნიკმა დატოვა, ეს რაზე მიანიშნებს და ელით თუ არა მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს?**

— იცით, პარტიის მუშაობით ყველა უკმაყოფილო ვიყავით და რატომ იქნება გამონაკლისი ბატონი ბიძინა, რომელმაც შექმნა პარტია, რა თქმა უნდა, ისიც უკმაყოფილო იქნებოდა. მე ამაში ახალს ვერაფერს ვხედავ. არ ვიცი დეპუტატების მუშაობით უკმაყოფილოა თუ არა ბატონი ბიძინა, მე ვფიქრობ, რომ მაშინ, როდესაც კოალიცია შეიქმნა და დეპუტატები სიაში მოხვდნენ, ზოგი მაჟორიტარად, ზოგი პარტიული სიით, მას გარკვეულ დეპუტაციაზე ალბათ ჰქონდა თავისი შეხედულება, გაუჭირდება ვინმეს გადაადგილება ან თანამდებობიდან გაშვება თუ უნდა, რომ უთხრას შენ უნდა გაიწიო გვერდზე და ახალი კადრი უნდა მოვიყვანოო. ბუნებრივია, განახლების პროცესი არ არის ცუდი, მაგრამ, როცა მოიყვან ადამიანს, ის მინიმუმ წინაზე უარესი არ უნდა იყოს, თუ უკეთესი არ იქნება. თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერი, ჩავთვლი, რომ ჩვეულებრივი მუშა პროცესია და სხვა არაფერი, მინისტრებიც გაგებით მოეკიდებიან ამას.

**— პარლამენტში რაც ხდება ისიც ჩვეულებრივი მუშა პროცესია? არ ელით ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების ერთ პოზიციაზე ყოფნას მომავალში? რესპუბლიკელები კოალიციას მალე დატოვებენო...**

— ქეთი, ერთი რამ უნდა ვთქვა, პოლიტიკური ვანგა, ნამდვილად, არ ვარ, ამისთვის არ გამოვდგები, დიახ, ვერ ვიწინასწარმეტყველებ. რესპუბლიკელები არიან კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, ვფიქრობ, კოალიციის პლუსი იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი პარტია არ არის შეზღუდული თავის პოზიცია დააფიქსიროს, მაგრამ მე იმაში ნამდვილად დაგეთანხმებით თქვენ და საზოგადოებას, რომ ვეტოსთან მიმართებაში რაღაც გარკვეული უხერხულობა შეიქმნა იმ გაგებით, რომ დავუშვათ შეიძლება იცოდა თუ რა რესურსის გამოვლენა შეეძლო ამა თუ იმ ადამიანს. პრინციპში არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც იყოს უკმაყოფილო ზოგიერთი დეპუტატის საქმიანობით. მე მაგალითად რიგ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ის აქტივობა, რომელსაც უნდა იჩენდეს დეპუტატი არ არის გამაღიზიანებელი. ზოგს აღიზიანებს ეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დეპუტატის ვალდებულებაა პრობლემებზე ხმამაღლა ილაპარაკოს. რაც შეეხება გადაადგილებებს, არ ვიცი რას მოჰყვა და რატომ მოხდა, ეს გამოჩნდება ძალიან მალე. მე არ ველოდები სამთავრობო ცვლილებებს. ჩვენი ხელისუფლების პლუსი იმაშია, რომ პრემიერ-მინისტრი და მინისტრები არ არიან რაღაც ბუნდოვანი ჯაჭვებით ერთმანეთთან გადაბმულნი, არის ღია ურთიერთობა, ღარიბაშვილი არის ღია, გახსნილი კაცი და მას ვფიქრობ, არ ვეტო ვერ დაძლეულიყო, იმიტომ, რომ რესპუბლიკელებმა მისცეს წინააღმდეგ ხმა, მაგრამ თუ დავინახავთ ამას დემოკრატიის განვითარების მხრიდან, მაშინ ესეც ცოცხალი პროცესია, ანუ რესპუბლიკელებმა თავის პოზიცია დააფიქსირეს და დარჩნენ თავის პოზიციაზე, უბრალოდ მათი ხმები აღარ გახდა საჭირო ვეტოს დასაძლევად, ჩვენ მივიღეთ 82 ხმა. ისე კარგად თუ განვეწყობით, რომ ერთმანეთს შარი ავუტეხოთ, მაშინ საშარო არის ეს ამბავი, მაგრამ თუ იმ გადმოსახედიდან დავინახავთ, რომ მათმა გვერდზე გაწევამ მათი შეხედულებით დემოკრატიას ხელი შეუწყო, ასეა, მაგრამ თუ სხვისი შეხედულებით ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ ამან რესპუბლიკური პარტია დააზიანა, ვფიქრობ, ის ვინც გაემიჯნება ამ პოლიტიკურ კოალიციას, მგონია, რომ მოგებული არ დარჩება.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება №43, დეკემბერი, 2014 წ.

# ათენგენიდან ყვაავთ ალვსებამდე

## ფხოვის საკრალური დრო



კობა არაბული

## წერილი XIV

### შესავლისთვის

*მითი მოიცავს კაცობრიული დროისა და სივრცის ერთიან ხედვას: დროს, რომელიც იყო და არის, და რომელიც ჯერ არ დამდგარა...*

*ანდრეზული ხედვა საყოველთაოა — მითი აწმყოში აყენებს წარსულს და მომავალს ერთდროულად: იმას, რაც დავიწყებულია, და იმას, რაც მომავალი ასტრალური სივრციდან უნდა შემოვიდეს...*

*როდესაც დავუბრუნდი ჩემს ერთ ქარიზმათულ ტექსტს, რომლის შეცვლასაც ვცდილობდი, იმდენად "სახიფათო" აღმოჩნდა იგი, რომ ვერც რაიმე მოვაკელი და ვერც მივუმატე...მაშინ ისეთი მეტაფიზიკური გარდასახვა მქონდა, რომ იმ დროს და განცდას ვერ „დავუბრუნდი“... მითმა ჩაიარა და სხვა მითი დადგა...*

* * *

ერთ მომენტში სამყაროში დგება ადამიანთა მითოსური "გარინდების" და "გაუცხოვების" წამი: ისე ჩაგივლის დრო, როგორც მდინარე — არაფერი დაგრჩება, არც დაგამახსოვრდება...

ბუნებაში ხდება ისეთი რამ, რომ აცდები მეტად მნიშვნელოვან მოვლენას, ვერც შენ შეამჩნევ "მას" და, ვერც "ის შეამჩნევს" შენს არსებობას...უყურებ და— ვერ ხედავ! გიყურებენ და— ვერ გხედავენ „ლოგოსური არსებანი“...

ასეთი რამ მოხდა ფხოვის ანდრეზთა (მითთა) სივრცეში: მკვლევარნი აცდენ მითთა სიცხადეს: მათი დანახვა და გაცნობიერება ვერ მოასწრეს!.. მითი მირაჟივით ჩნდება და ქრება, გეცხადება და გეკარგება: ფორმას იცვლის და სხვადასხვა დროს განსხვავებული სახით დგება დროში, როგორც ვირტუალური ჰოლოგრამა, ან ასტრალური სივრციდან შემოსული სხეული\ ...ამ თემაზე მე ვწერდი წინა ესეებში\ .

ჩვენ ვერ შევამჩნიეთ „ქაჯავეთს“ მეომარი „უხორცო გახუას“ შემოხედვა, ისე ჩავუარეთ მის "ასტრალურ სხეულს" — თაგვის გახვრეტილ ნიღაბს „შავი ხვრელით" — ქაჯავეთზე საომრად წასული სულის ანაბეჭდს!... ვერც წიგნი დავწერეთ მასზე და ვერც ფილმი გადავიღეთ...

ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მითიდან ჩვენს დროში ჩამომდგარი „გაბურთ ეშმაკის“ ლანდი, — მაგრამ, სამწუხაროდ, მან შეგვამჩნია ჩვენ და "მწარედ გაგვიღიმა" — შეგვაფურთხა და წავიდა... თუმცა წყევლასთან ერთად სიბრძნეც დაგვიტოვა, რაც ცალკე ასახსნელია.

თუ რამდენად ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია დროიდან ამოვარდნილი, "პარასკევ დაკარგული" თემის ფილოსოფია ჩვენს "დიფუზიურ" დროში, ანდაც "ცალთვალა გუგულის" პარადიგმული პორტრეტი, რომელსაც თვალი "ხოგაის მინდიამ გამოსთხარა" — ჯერ კიდევ ჩვენი ცნობიერების გარეთ რჩება!

თუმცა ჩვენთვის ისიც სრულიად უცნობია, თუ როდის და როგორ ჩამოდგა ქრისტეს დრო ფხოვის ხეობაში...

* * *

ჩემი ესეების წინა ნაწილში მე ვთქვი, რომ ქრისტეს დრის ცალკე კარს მივუძღვნიდი: ეს სრულიად საკრალური, ეზოთერული დროა —როდესაც მოულოდნელად გამოცხადდა სრულიად უცნობი არსება — მამა ღმერთის მოვლენილი და დედამიწაზე შეცვალა ადამიანთა ცნობიერება...

ფხოვის თემში და მის ანდრეზულ დროში ის ჩადგა, როგორც „კვირაე“ „ღვთის კარზე მოკარვე“, ანუ ვითარცა „დღე — დღესინდელი“ — „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა, დღესა დღესინდელსა!..“

* * *

მაინც, როგორია ქრისტეს დრი ფხოვის ხეობაში, როგორ და როდის შემოდის იგი ჩაკეტილ ისტორიულ სივრცეში?

მისი გზა გოლგოთიდან მცხეთამდე (ძველ ქალდელთა სამშობლომდე) და მცხეთიდან გერგეტის ბეთლემამდე — გრძელი და მოკლეა ერთდროულად...

იბერიას სვიმონ კანაანელმა და ანდრია პირველწოდებულმა შემოუარეს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან—კოლხეთის, სვანეთის, დვალეთის, ალანეთის გავლით ფხოვის საზღვართან მოდის სვიმონ კანანელი (იხ. ლეონტი მროველი).

მცხეთიდან რჯული ქრისტესი პირდაპირ და მაშინვე — კვართის მოსვლიდანვე — შედის ფხოვის ხეობაში: ფხოვის სოლარულ-საკრალურ რიტუალთა ცენტრში— „ბეთლემში“ (გერგეტი), აქედან გუდანისა და ხახმატის თემებს ეცხადება ბერი ბაადური, ეს უდიდესი საუდუმლოებით მოცული ქრისტიანი მოციქული, რომელ-მაც საღმრთო „გუდანის ჯვარი“ დააფუძნა და, „რომელმან უსაღრსლა მირონი“ ფხოვის საყმოს!



თუ ვინ არის ბერი ბაადური — ეს საკვლევია; ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ანდრია პირველწოდებულის და ქანაანელის თანამგზავრთაგანია... შემდგომ საუკუნეებში კი წმიდა ნინო (მინანი!) და სამძივარა ყელღილიანი ჩნდებიან ფხოვის ქალდეურ თემში, სადაც დღემდე შემორჩა ქალ-ქვების და ქალ-დევების ქვის უცნაური ქანდაკებანი და მისტიური ადგილები...ხადას, ახადის, ხდეს, ხადუს-(ქარდუს), წინხადუს უძველესი თემები, თუ მითოგენური ტოპონიმები...

* * *

აქ, ხევსურეთის თემში მეოცე საუკუნის ბოლომდე იჯდა ალდიად (ალდედ-ალდიდ) წოდებული ქადაგი, რომელიც გუდანისა და ზეისტეჩოს სალოცავებიდან აცხადებდა ხევსურეთისა და მთლიანი საყმოს (ერის) ბედისწერას...

* * *

თუ პირველსავე სიტყვას მოვალთ, რჯულს ჯერ ბეთლემში დებენ ქრისტეს პირველი მოციქულნი პირველსავე საუკუნეებში, ანუ გერგეტზე, მყინვარწვერთან, კლდის მღვიმეში „ქრისტეს ბაგის“ ბეთლემის ანალოგი იქმნება: იქ, სადაც სივრცე დაცულია ფარისეველთა და იუდას ტიპის მდევართაგან...

ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულის დასასრულს იყო კლიმატის ცვლა და აქ თოვლი არ იდო, ამას მითიც ადასტურებს (გვიცხადებს)...

ბეთლემი უთოვლობის გამოქვაბულია, ხოლო ნინოს დროს (IV ს.) აქ უკვე თოვლია(ამას მას ნინოც ხედავს) და მაშინ მყინვარზე საკულტო კერის შექ-

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

მნა შეუძლებელი\ და არც აუცილებელი\ იქნებოდა...ანუ ბეთლემი ნინოზე უწინარესია: მითის მიხედვით, ბეთლემში შედის ხვთის ნასახი ''ქაჯავეთის გამტეხი'' უხორცო გახუა!!.

ამ დროიდან საკულტო ნიშები, — სალოცავები, ხატჩენის კერები, ჯვრები დაბლა ჩამოდიან და სოფლებში იდებენ ბინას, ხოლო მწვერვალები თოვლით და ქარიშხლებით იფარება!..

ამ დროს თოვლიან მთაზე გულაღმა მწოლარე ჩიტი მწკალით ცას წვდება და „ჩიკრიკისა მთაზე ჩამოტირის"— ეს ფატალური მოვლენის დრამატული სურათია (განცდაა!).

ასეთი „კლიმატური დაცემა" მოხდა — „დედამიწის შუა სამანად" წოდებულ ხადუს მთაზე, კარატეს წვერზე, ფხიტუს მთაზე, ანატორზე, ბეთლემზე და სხვა ...სადაც ქრისტეს წინარე საუკუნეებში მზის და მთვარის ზიკურატები იდგა და პირქუში კოპალა-იახსარისთვის აბჯარს ჭედდა დევებთან საომრად...

ამგვარად: დროთა და მოვლენათა გრადაცია, კლიმატის აპოკალიფსური ცვლა ნათლად იკვეთება ფხოვის ანდრეზულ ცოდნაში: უთოვლობის ჟამი და ზამთრის დაბრუნება დიდწილად განსაზღვრავს თემის ბედისწერას და მოვლენათა ცვლის პროცესს...

* * *

სვანური ლეგენდის მიხედვით, ქრისტემ იმოგზაურა სვანეთში, იქ დაჰყო ჯვარცმის წინარრე პერიოდი... სვანეთში არის მისი წყარო და ქვა — ადგილი, სადაც წყალი დალია და დაისვენა...ამას წინა ესსეიშიც ავღნიშნავდი.

ხევსურული ანდრეზის (მითის) მიხედვით, სიკვდილის შემდგ ქრისტე შედის დედულეთში, ანუ საქართველოში! \ ქარდუეთში\ .

არ არის ქრისტეს კვართის მოტანა მცხეთაში შემთხვევითი...

ხევსურული ანდრეზით გარდაცვლილის სული პირველად დედულეთში შედის, სულეთში მას პირველად დედულნი ხვდებიან და ასწავებენ იქაურ წესრიგს...

ქრისტეს კვართის შემოსვლა იბერიაში ძალიან ნიშანდობლივია, თუ ხევსურულ ანდრეზს მივიჩნევთ სარწმუნოდ, ხოლო ანდრეზი არასოდეს ცდება, იგი არის მეტაფიზიკური სიმართლე, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტეს კვართი და სული დედულეთში შემოვიდა!.. რაც ცალკე „სალაბუშო" თემაა...

# ათენგენიდან ყვავთ ალვსებამდე

## ფხოვის საკრალური დრო





* * *

მე ვწერდი: დგება დროში უცნობი დრო, მოვლენაში ახალი მოვლენა, დიდში-მცირე, მცირეში-დიდი: ეს არის ასტრალური ბუნების იდუმალი თვისება, ძნელად ასახსნელი, მაგრამ მისტიურ-ინტუიტური ხედვით შესაცნობი...

დროთა და მოვლენათა ამგვარი „კატალოგი" ნაკარნახევია თემის (საყმოს) ფსიქოლოგიური განწყობით, მისი ეთნოკულტურული ფენომენის განცდით...თემის დანახული მოვლენა მისი შინაგანი მდგომარეობის თანხვედრია! და განპირო-ბებულია უცნობი ასტრალური ბუნების (სამყაროს) იმპულსებით.

„ურწყთა დგომის" დროს თემი შედის გაუცხოების უცნობ ფაზაში, ასეთივეა „სულთაკრეფის" დრო, „ათენგენა", „კუმეტი",": ცაზე „ორი მზის" დგომის ჟამი, მთებზე „გუბე-გუბედ" მდგარი კურდღლის სისხლის განცდა... ამ დროს თემის განწყობა გადადის ქადაგთა მედიტაციური მისტერიებით დაძლეული შიშის (და სიზმართა გაცხადების) სრულიად სხვა ფსიქოლოგიურ ვნებაში...

უცნობი ხიფათის (ეიფორიული) განცდა ადამიანთა საყოველთაო შერიგების სურვილს აჩენს და ადამიანთა სამყარო, ერთ მომენტში, საოცრად კეთილი და თანხმიერი ხდება: იქმნება ლოცვის და „შერიგების" ქარიზმატული აურა, როდესაც თემს' თუნდაც ერთი წამით შეუძლია გარეგანი უარყოფითი (შავი) ენერგიების დაძლევა...

ამიტომ რიტუალთა ენერგეტიკის ქსელი ფხოვის საყმოსთვის ზნეობრივი დაცვის უხილავი ჯავშანი იყო!

* * *

აამ დროს, გუდანის ჯვარის საყმოში სრულიად სხვა ტიპის უხორცო მეომართა კასტა ჩნდება — ისინი ფხოვის ერთიან სივრცეში ქმნიან დაცვისა და მოუგერიებელ იერიშს სისტემას: ამიტომაც აქ ვერ შედის ვერც თემურ ლენგი, და ვერც ხაზარმა და სკვითმა, ვერც რომაელმა და ინდოევროპელმა ბარბაროსებმა შეაღწიეს...

შეიძლება ითქვას, რომ მეომართა საკრალური— საკულტო ცენტრი გუდ-ანი და გუდ-ელაა...

თვით ეს მისტიური ტოპონიმები მიუთითებენ მათს მნიშვნელობაზე: გუდ-ანი, გუდ-ელა — ღვთის მეომრებს უნდა გულისხმობდეს.



გუდ — მეომარი, ხარი (ხეთურ-შუმერულად);

ანი — ცა;

ელ — უფალი, სალოცავი (ელიას მთა, „ელი, ელი, ლამა საბახთარი" — სახარება).

მართლაც გუდანის ჯვარი მეომართა შეკრების და საღვთო რიტუალები ფსიქოლოგიური განწმენდის „სოლარული" ცენტრი იყო!

მითის მიხედვით, გუდანის ჯვარმა შეძლო "ჟამად" წოდებული ყველაზე ფატალური — ნახევრად ხილული და უხილავი მტრის მოგერიება და საყმოს დაცვა...

ოღონდაც, მეომართა გამოცდის და წვრთნის „პოლიგონი" **სანე** იყო — გუდანის თავზე მდგარი მთა, მთვარის საკულტო კოშკით (სანე — სინ — სან — მთვარე), მემეტე სარანგთა სადგომი!.. (ქრისტეს დროში „სანების" სახეს იძენს).

* * *

სანეს მთაზე აღესრულებოდა მთვარის მისტერია ქადაგის მიერ. ადამიანის ბედ-იღბლის შეცნობის ამბავი მთვარესთან იყო დაკავშირებული.

ალდია მთვარიან ღამეში ამოიცნობდა სიზმართა მიხედვით კაცთა ბედისწე-რას.

ქადაგი მთვარის მედიუმია!

„ხევისბერი (ხუცესი) — მზის საღვთო რიტუალთა აღმსასრულებელი ნათელმხილველია ხადუს სანების, ლაშარის, ლომისის, გუდანის სალოცავებში...

მთვარის გავლენა მთლიანად გადადის ფხოვის სამეურნეო სივრცეზე, გარემო-ზე, მოვლენებზე. სამეურნეო კალენდარი გიორგობიდან — ათენგენამდე, ათენგენიდან — მზებუდობამდე — მთვარის ფაზებით აითვლება.

როდესაც ენკენიას „ვარსკვლავთა ჩაშლის" მისტიური დრო დგება, ბაგაზე მდგარი ცხენი და ცხვარი გაბერწებას იწყებს! ქალები ჩალას უშრიალებენ პირუტყვს, რომ „ვარსკვლავთა ჩაშლის" მუსიკა ჩალისშრიალით გადაფარონ.

ესეც ანდრეზული ცოდნის აუხსნელი საიდუმლოა და მთვარის ბერში აღესრულება!..

* * *

ქადაგთა მთვარეულ დროში და ფხოვის საკრალურ სივრცეში იკვეთება დევების ორი კასტა — წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი. დევიც „მთვარეული" ფენომენია და გამოდის მხოლოდ ღამით! მას (დევს) და ზოგიერთ „ქვეცრიელს" მზეზე გაჩერება არ შეუძლია...

როგორც მღვიმეთა წყლებში ჩარჩენილი თევზები (ალბინოსები) ვერ ხედავენ სინათლეს, ეგრეთვე „მიწრიელნი" და „ქვეცრიელნი", ანუ მიწის მღვიმეში ჩარჩენილი ცივილიზაციების გამოსულნი ... უფრო მეტიც, ისინი ილუპებიან დღის სინათლეზე! ეს. შესაძლოა, ქრისტეს ენერგეტიკის ჰიპერბოლური სურათიც იყოს — „მზე, მომსწვრალი ეშმაკის სინდრომი," ქრისტეს რწმენით დაძლეული ეეშმაკი (კერპი).

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან



**ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში**

## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42

მოგეხსენებათ, ებრაელთა დიდი მეფისა და მგოსნის, დავითის ფსალმუნთა კითხვა ერთერთი მთავარი კომპონენტია ქართული მართლმადიდებლური წირვა-ლოცვის რიტუალში. აქ, დავითის ფსალმუნთა ფონზე არაერთგზის ისმის: „ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ და „დიდება ისრაელსა ზედა!“ ღმერთი ისრაელისა, იაჰვე, და ღმერთი ქრისტიანობისა, წმინდა სამება, იგივეობრივი არ არის და აუხსნელიც კია მართლმადიდებლურ წირვა-ლოცვაში დაკანონებული ძველი აღთქმისეული „ ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ ევროპამ, მისმა პროტესტანტულმა სულისკვეთებამ, და ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის გამძაფრებამ, რახანია შეწვიტა ფსალმუნთა კითხვა და ისრაელის დიდების ძახილი ევროპულ პროტესტანტულ ღვთისმსახურებაში.

„მე კათოლიკე ვარ - ბრძანებს მე-20-ე საუკუნის ერთერთი გამორჩეული მოაზროვნე, ესპანელი ფილოსოფოსი, მიგელ დე უნამუნო - მაგრამ მე მინდა ვიყო ესპანელი კათოლიკე!“ - ასე ჟღერს ეროვნული ინდივიდუალობის, ეროვნული მეობის ჯანსაღი გრძნობის შინაგანი მოთხოვნილება ევროპელი ფილოსოფოსის, მეოცე საუკუნის ეგზისტენციალური ხედვის ერთერთი დიდი წარმომადგენლის განცდაში. სამაგიეროდ, დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის დიდმა ეკლესიურმა ავტორიტეტმა, საუკუნეთა წინ დანერგილმა დოგმატურ ეკლესიაში, და მიზანმიმართულად საკმაოდ ჭარბად აღზევებულმა ქართული ეკლესიის აღმავლობის დიდ ისტორიულ მონაკვეთში, მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის საწყისებში, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ქართული ეკლესია საერთოდ გადახარა ბაგრატიონთა შესახებ არსებული ქართული მეცნიერული აზრის უარყოფისა და ისტორიოგრაფიულ ცთომილებაზე დამყარებული „წმინდა გადმოცემის“ დაკანონებისაკენ: საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა და საერთოდ ბაგრატიონთა დინასტიის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად დაკანონებისაკენ. ცხადია, უსათუოდ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ეს მაინცა და მაინც დღეს, ჩვენს თანადროულ ეკლესიურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?! მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით ანთებულ საქართველოში?

რატომ აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია ინიციატორი ბაგრატიონთა ვითომ ებრაული წარმომავლობის გაჩირაღდნებისა? რატომ ჩაეჭიდა ეკლესია ამ არამეცნიერულ გადმოცემას და რატომ არ მოისურვა ანალიტიკური აზროვნებისა და მეცნიერებისა და რწმენის ერთიანობის მქადაგებელმა საქართველოს ეკლესიამ სამეცნიერო კომისიის შექმნა და რაიმე ტიპის გადამოწმება იმ ისტორიოგრაფიული მონაცემებისა, რომლითაც კატეგორიულ დაპირისპირებაში იყო მოსული ეროვნულ მრწამსთან?! რატომ არ ისურვა გარკვევა დაპირისპირებისა ქართველ ბაგრატიონთა შესახებ არსებულ ისტორიულ - მეცნიერულსა და ზეპირ გადაცემაზე დამყარებულ, გამარტივებულ, ერთგვარად გაპრიმიტიულებულ და დასახიჩრებულ ეკლესიურ პოზიციათა შორის?! ამისათვის ხომ ეკლესიას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა! რატომ მისცა საქართველოს ეკლესიამ მონარქისტული იდეის გარკვეულ რეალიზაციას დღევანდელ საქართველოში კონსპირაციული ხასიათი? შესაძლოა წინამდებარე სტრიქონების მკითხველს გაუჩნდეს აზრი, რომ ჩვენ ჩვენი მხრიდან გვევალებოდა, განგაში მაშინ აგვეტეხა, როცა გაიოზ მამალაძისა და მამა აკაკის თვალსაზრისები გამოქვეყნდა პრესაში, 2007 წელს. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ ეს ის პერიოდია, როდესაც გაგვაჩნია შესაძლებლობა მის უწმინდესობასთან სიტყვის თქმის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, განვუმარტო მკითხველს, რომ ჩემი მორიდებული შეთავაზება მის უწმინდესობასთან, რომ მასთან ბაგრატიონებზე მაქვს საუბრის სურვილი, რეაგირების გარეშე რჩება. ჩემი მცდელობა რომ პატრიარქის თანაშემწესთან გავარკვიო, რა პოზიცია უკავია ეკლესიას გაიოზ მამალაძის „თეორიებთან“, დუმილით აღმოჩნდება გასტუმრებული. როდესაც გაიოზ მამალაძე ოფიციალურად განაცხადებს, რომ ის არის საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტი მონარქიის საკითხებში და კერძოდ მეუფე იობის კონსულტანტი, რომელიც, მისივე უწყებით, საპატრიარქოში ხელმძღვანელობს მონარქიის საკითხებს, და ეს განცხადება მისივე წიგნის ყდაზე განთავსდება დიდი ასოებით, ირკვევა რომ მეუფე იობი მას საერთოდ არ იცნობს. ჩემი შეთავაზება მეუფე იობისადმი, რომ მან განცხადება გააკეთოს ამის შესახებ, მთავრდება უარით. როდესაც ვისარგებლე სრულიად შემთხვევითი შეხვედრით დეკანოზ ზურაბ ცხოვრებაძესთან, საკმაოდ სერიოზულ ფიგურასთან ეკლესიური პოზიციების მართვაში, და მისალმებისთანავე ვუთხარი, რომ ბაგრატიონების დავითიანობას არა აქვს გენეტიკური მნიშვნელობა-მეთქი, გაურკვეველი დუმილი მივიღე, თუმცა უფრო აშკარად უარმყოფელი ჩემი ნაგულისხმარი პოზიციის. როდესაც ცნობილ ისტორიკოსს ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს, ფეოდალური საქართველოს სპეციალისტს, შეშფოთებულმა შევჩივლე: - „ქ-ნო მარიამ, რატომ არ ეხმაურებით ბაგრატიონების ამისთანა გაებრაელებას ეკლესიის მხრიდან?!“ - ქ-ნი მარიამი პირდაპირ მომახლის: - „ეგ საქმე უკვე იმდენად შორს არის წასული, რომ აზრი არა აქვს. ჩვენ ყველანი ებრაელები ვართ“. ამ სიტყვებისათვის ქალბატონ მარიკას ძალიან მწარედ ვუპასუხე და პროტესტის ნიშნად მის საიუბილეო სხდომაზე არ მივედი, მაგრამ ამით, ცხადია, ვერაფერს ვუშველე. უბრალოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში უკვე ყველა კარი იყო გადარაზული ქართველი ერის ეროვნული მეობისა და ეროვნული ღირსების დასაცავად. ამიტომ ჩემი, როგორც საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის (1980-1992 წწ) მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებით, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბ-ნ თამაზ გამყრელიძის მიმართ, ასევე საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიმართ, დავადასტურე, რომ საჭიროდ მიმაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალი სტატუსი „სახელმწიფო მრჩევლისა“ ეკლესიასაც გამოეყენებინა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო სტრუქტურული ნაწილი, რომელიც მოამზადებდა მეცნიერულ პასუხებს ბაგრატიონების ფენომენთან დაკავშირებულ, მთელ რიგ აუხსნელ კითხვებზე. აქაც ჩემი განაცხადები უპასუხოდ იქნა დატოვებული და ეს იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა ამ მოძრაობის ლიდერთან ერთად იქნა გაძევებული საქართველოდან და ქართველი ხალხის ეროვნულმა სულისკვეთებამ ეკლესიის გუმბათქვეშ შეაფარა თავი!


თამაზ გამყრელიძე



ეროვნული მოძრაობის გაძევებას საქართველოდან, ამასთან ქართველი ხალხისავე ხელით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა, „სახელმწიფო გადატრიალების“ კვალიფიკაცია მისცა და ისიც განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება დაიგეგმაო ოკეანის გადაღმა (გაზ.: „ნაროდნაია პრავდა“ №42, 1992). თუ ლოგიკურად გავაერთიანებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დამშლელი ძალაცა და საქართველოში ამ “სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი“ ძალაც ოკეანის გადაღმიდან წამოსული ერთიდაიგივე ძალა იყო, რომელსაც დიდი გამორკვევა და მტკიცება არ სჭირდებოდა. იგივ საბჭოთა კავშირის დამშლელმა ძალამ გააძევა ეროვნული მოძრაობა საქართველოდან და ამაში არც არაფერი არ არის საკვირველი, რადგან ყოველგვარი ეროვნულის გაძევება ეს იყო ლოგიკური განგრძობა საბჭოთა კავშირის ე.წ. „განვითარებისა“, რაც ეროვნული მოძრა-

12 gv.

**წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.**

11 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

ობის წარმომადგენელ არც ხალხს და არც ლიდერებს გაცნობიერებული არა ჰქონდათ.

სადღეისოდ უკვე დიდი განმარტებები აღარ არის საჭირო და საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ საბჭოთა კავშირის მთავარი დამშლელი ძალა სიონისტურ-მასონური მოძრაობა იყო და ქართული ეროვნული მოძრაობაც საქართველოდან, პოლიტიკურად შენიღბულმა, ამ ძალამ გააძევა. ჯერ კიდევ შიგ, საბჭოთა სახელმწიფოში ამოქმედებულ სახელმწიფოს დამშლელ მოძრაობას, ე. წ. „პერესტროიკას“, რომელსაც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის განვითარებისა და პროგრესული გარდასახვის ინტერპრეტაცია ჰქონდა მინიჭებული, და რომელმაც მსოფლიო მასშტაბით, სრულიად ღიად, „სიონისტური პერესტროიკის“ სახელწოდება დაიკანონა, საქართველოში, ცხადია, თავისი საკუთარი, სრულიად უნიკალური ტენდენციებითა და ჩანაფიქრებით აღმოჩნდა შემოსული. ეს უნიკალურობა მსოფლიოსთვისაც და თვით ქართველი ხალხისათვისაც შეუმეცნებელი, ასევე ქართული ეკლესიისათვისაც შეუმეცნებელი და გაუცნობიერებელი გახლდათ, და ერთი მთავარი საფუძველი ამ შეუმეცნებლობისა იყო ინფორმაციული დამარხულობა ქართულ-ებრაული უძველესი ისტორიული ურთიერთმიმართებისა - ამ ურთიერთმიმართების ბიბლიურ გადმოცემათა გაგების. მხედველობაში მაქვს ქალდეველებისა და ქართველთა იგივეობის საკითხი და ქალდეველებისა და ებრაელების, როგორც ისტორიულად დაპირისპირებულ ხალხთა ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორია. აქვე შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყოველგვარი ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის გარეშე, წმინდა ისტორიული ხედვით, ყველაზე დიდი და ყველაზე კომპეტენტური მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ შუმერებიც და ქალდეველებიც ქართველთა წინაპარნი და წინამორბედნი, ქართველური მოდგმის ხალხები არიან. მართალია, საქართველოს პატრიარქი დღენიადაგ მოგვიწოდებს ანალიტიკური აზროვნების დამკვიდრებისაკენ, მაგრამ თავად ქართულმა ეკლესიამ ვერ მოასწრო ვერც ბიბლიური ისტორიის ანალიტიკური შემეცნება ქართული ცნობიერების გადასახედიდან და ვერც საკუთარი, ანუ ეკლესიური ისტორიის თეოლოგიური ანალიზი. და ამის ერთადერთი მიზეზი გახლდათ ეკლესიის მომწყვდევა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური იდეოლოგიის მორჩილებაში და გარკვეული ხერხებით სახელმწიფოს- მიერი აკრძალვა ქართული თეოლოგიური აზროვნების წინსვლისა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში... თუ როგორი სიღრმით შენიღბული მიიმართებოდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ ეკლესიისავე იარაღით, ვითომდაც ეკლესიის ინტერესების დაცვით სახელმწიფოს მხრიდან, როგორი სპეკულაციით მიიმართებოდა ქრისტიანული რწმენის წყურვილით ანთებული ქართველი ხალხის განწყობაზე, ერთი საოცარი ფაქტის გახსენებით მინდა მკითხველისთვის ცხადვყო:


მარიკა ლორთქიფანიძე

90-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილისავე სახელობის სხდომათა დარბაზში, მთავრობის დავალებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც უნივერსიტეტის მხრიდან პროფესორი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე უძღვებოდა. კონფერენციის თემა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების განსაზღვრა იყო. ამ კონფერენციის შესახებ ვიცოდი, რომ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ არანაირი შესაძლებლობა დასწრებისა არა მქონდა. სასამართლო პროცესი, რომელზეც მხარის ინტერესები მე უნდა დამეცვა, მაინცდამაინც კონფერენციის საათებს ემთხვეოდა. როგორც კი სასამართლო პროცესიდან გავთავი-


გაიოზ მამალაძე

სუფლდი, უნივერსიტეტში გავქანდი და კონფერენციის ფინალს მივუსწარი. რეზოლუცია, რომელიც კონფერენციას უნდა მიეღო, მარიამ ლორთქიფანიძეს უნდა წაეკითხა. როგორც ჩანს ამ კონფერენციის მიზანი სწორედ ეს რეზოლუცია იყო, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი გზავნიდა დადგენილების ფორმით საქართველოს პარლამენტში განხილვისა და მხარდაჭერისათვის. ორი ძირითადი პუნქტი ამ რეზოლუციისა დღემდე არ ამოდის ჩემი გონებიდან: **„საქართველოს სახელმწიფო უშიშროების იდეოლოგიად გამოცხადდეს მართლმადიდებლობა და ნებისმიერ დარღვევას მართლმადიდებლური დოგმატური აზროვნებისას მიეცეს სახელმწიფო დანაშაულის კვალიფიკაცია“**. რეზოლუციისათვის მთელ დარბაზს უნდა მოეწერა ხელი. დარბაზში ახლად შესულმა და ჯერ ისევ კარებში მდგომმა პრეზიდიუმისაკენ წავიწიე და საჯაროდ ვითხოვე სიტყვა რეზოლუციაზე აზრის გამოსათქმელად. პირდაპირ მივმართე ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს:“-ქ-ნო მარიამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მართლმადიდებლობა ჩვენი ეკლესიური აღმსარებლური იდეოლოგიაა, როგორ შეიძლება ის იყოს იმ სახელმწიფოს უშიშროების იდეოლოგია, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებით შენდება და რომლისაგანაც ეკლესია დამოუკიდებელია. ეს გაიგივება ეკლესიისა და უშიშროებისა ხომ ეკლესიისათვის შეურაცხმყოფელია?! „რეზოლუცია აშკარად ჩაშლისკენ წავიდა. საკონფერენციო დარბაზიდან გამოსულს, მახსოვს ორი ახალგაზრდა დამეწია და მადლობა მითხრა:“როგორ დროზე მოგვისწარით, ქალბატონო დენიზა, რა სისულელეზე ვაწერდით ხელს, დიდი მადლობა“-ო. ცხადია, მაშინ აზრად არ მომსვლია, რომ ის ძალა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების იდეოლოგიად მართლმადიდებლობის გამოცხადებას გვთავაზობდა, ქვეტექსტით ეკლესიასაც სთავაზობდა სახელმწიფო უშიშროების საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრებას ეკლესიის ინსტიტუციონალურ სისტემაში. როდესაც სახელმწიფოები და უნივერსიტეტები თავთავიანთ სიმაღლეზე დგანან, სახელმწიფო იდეოლოგიებზეც და სახელმწიფო უშიშროების კონცეფციებზეც, ცხადია, უნივერსიტეტებიც უნდა მუშაობდნენ და ინსტიტუტებიც, მაგრამ არა პოლიტიკური თუთიყუშები. მახსოვს, 2004 წლის გაზაფხულზე, ნიუ იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში, „იბერიაში“ გამოქვეყნბულ ერთერთ წერილში, ამერიკელი მაღალჩინოსნები, ჩემი შთაბეჭდილებით, საკმაოდ დამცინავი და უხეში საყვედურით მიმართავდნენ ქართველ პოლიტიკოსებს, რომელთაც თავი ვერ მოაბეს მათ მიერ წარგზავნილ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კონცეფციის დამტკიცებას...

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის ერთერთი შემოქმედი, ანუ ერთერთი ავტორი ქართველი ერის გარდასახვის თეორიისა ღია სამოქალაქო საზოგადოებად, იგივ „საქართველოელთა ერთობად“ (შევარდნაძის ტერმინოლოგიით!), ანუ „მოქალაქეთა კავშირად“, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ასევე ცნობილი სიონისტი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ბ-ნი ჯორჯ სოროსი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დასტუმრებია საქართველოს, 1989 წელს. სრულიად სანდო ინფორმაციით, მაშინ მას თავისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოუხატავს აბასთუმნის ტერიტორიული მონაცემებით...

ჩვენი ეროვნული მოძრაობის დროს, 90-იან წლებში, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით ბალღურად გულანთებულნი ვემიჯნებოდით ე. წ. რუსეთის იმპერიას, ჩვენი ინფორმაციული რესურსები მსოფლიოს პოლიტიკურ შიდადინებებზე იმდენად მწირი იყო, რომ საკმაოდ შორს ვიყავით აზრისგან, თუ მთელი ეს პოლიტიკური დინამიკა რუსეთის იმპერიასთან ჩვენი დაპირისპირებისა რეალურად უფრო დიდი, მსოფლიოს ახალი სიონისტური იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. ზედმეტია საუბარი, იმ დროისათვის, ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის ცოდნაზე, რომელიც თავად მსოფლიო ისტორიოგრაფიაში იყო ტა-



ბუდადებული წრე პრობლემათა კვლევისა. მითუმეტეს ათეისტური სახელმწიფო იდეოლოგიის საგანმანათლებლო სისტემით განათლებულ თაობათა ცოდნაზე, რომელთათვისაც ბიბლიაც და რელიგიაც აკრძალულ ცნებებად იყო მიჩნეული.

მაგრამ, ის, რაც მსოფლიოსთვისაც და ქართველთათვისაც ინფორმაციულად დამარხული იყო, ებრაული გონებისთვისაც როდი იყო დამარხული! ებრაული გონი საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგითა და „ანკესის“, ანუ მოწინააღმდეგის „მახეში გაბმის“ ტექნოლოგიით შემოვიდა... და დედა ეკლესია, აღმავალი და მოზეიმე დედა კალმახივით, მსოფლიო პოლიტიკის მქუხარე დინების საწინააღმდეგოდ ასხლეტილი, ნებიერად გააბა მსოფლიო წესრიგის დიდი მებადურის ოქროსფერი ძაფებით მოქსოვილ ბადეში... მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ მარტო მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „ნაციონალიზმი“ როდი იყო! მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ იყო რელიგიური ნაციონალიზმიც, ანუ ქართული სულის ის ეკლესიური აღმავლობა, რომელიც მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოსვლას უნებლიედ დაემთხვა, დაემთხვა საქართველოს საპატრიარქო ტახტზე, მისი უწმინდესობის ილია მეორის მობრძანებით. იმის გამო, რომ ამ ეტაპისათვის უკვე ვერც ზვიად გამსახურდიაზე და ვერც მერაბ კოსტავაზე ანკესის ტექნოლოგია ველარ გამოდგებოდა, ისინი დაუნდობლად იქნენ მოშორებულნი საქართველოსგან. ხოლო ეკლესია, სწორედ თავისი აღმავლობითა და ზეიმით აღმოჩნდა ამჯერად ნამდვილად საიმედო და საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის საქართველოში. ეროვნულ მოძრაობას უკვე გაკეთებული ჰქონდა თავისი საქმე მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის: საქართველო უკვე გამოგლეჯილი იყო საბჭოთა კავშირისეული დამცავი მექანიზმისაგან. ამჯერად საჭირო იყო სწორედ ეკლესიური ეროვნული მოძრაობა. ერთი სიტყვით, ეროვნული მოძრაობა უკვე გამოყენებული იყო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის, ანუ საქართველოს გამოსათავისუფლებლად რუსეთის მფარველობისაგან. ახლა უკვე შიგ საქართველოში იყო საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრება. საჭირო იყო მექანიზმი, რომელიც ეკლესიას, საკუთრივ ეკლესიის ახლად მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს ჩააყენებდა მსოფლიოს ახალი წესრიგის სამსახურში. საჭირო იყო ახალი „მარდოქაი - ესთერის“ მექანიზმი, ებრაული ხერხისა და ეშმაკური ჭკუის, რომლითაც საქართველოს ეკლესია თავისი დიდი სახალხო ავტორიტეტით მსოფლიოს ახალი წესრიგის საქართველოში დამკვიდრებას საქართველოს ისტორიის ლაბირინთებში შეუძღვებოდა... და სანამ ამ შეძლოლის დრამაზე გავაგრძელებდეთ სიტყვას, მეტი სინათლისათვის, მაინც გავუზიაროთ მკითხველს, ჩვენეული გაგება „მარდოქაი-ესთერის მექანიზმის“ რაობის... რათა უფრო მწარედ ვიგრძნოთ ტკივილი ჩვენი ეკლესიის თავს დატეხილი უბედურების...

### „ესთერიზმი“ ანუ როცა „ანკესი“ ბირთვულ იარაღზე ძლიერია

თანამედროვე მსოფლიოს გადარჩენილ ჯანსაღ ცნობიერებაში, უკვე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა და დადგინდა აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მიმდინარე

პატრიოტი



პროცესებში (რომელთაც უკვე საკმაოდ გავრცელებული ცოდნით, „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა“ მართავს, საჭირო პიროვნებებისა თუ მასების გამოსათაყვანებლად და შემდგომ გამოთაყვანებულის გასანადგურებლად), მთავარი იარაღია საპირისპირო მხარის ანკესზე წამოგების, ანუ ინფორმაციულ მახეში გაბმისა და მოტყუების სტრატეგია. დადგინდა აზრი, რომ თვით 21-ე საუკუნის ტექნიკური აღმოჩენების ეპოქაში, „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიაა“ უფრო ეფექტური, ვინემ ბირთვული იარაღის სამხედრო ძალა. პიროვნებისა თუ ხალხის „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიით“ შესაძლებელი ხდება, შენმა მოწინააღმდეგემ თავისი ხელით აღასრულოს თავისთავზე ის დარტყმა, რომელიც შენ უნდა მიგეყენებინა მისთვის უფრო დიდი ძალისხმევის მოხმობით. ცხადია, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანასაც სჭირდება დიდი მუშაობა და არც ეს არის იოლი, მაგრამ ამის უნარსა და ხელოვნებას, პიროვნებაც და ხალხიც, ღვთისაგან უნდა ფლობდეს. და მართლაც, თანამდროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად ანკესზე წამოგებულ ჭიაყელებად არ არიან (?) გამოყენებულნი მორალურ - პოლიტიკური იდეები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაც და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაც? გაერთიანებულნი დავშალოთ დამოუკიდებლებად, ხოლო დამოუკიდებლებს გაერთიანებისაკენ მოვუწოდოთ. დავშალოთ საბჭოთა კავშირი და შევქმნათ ევროპის კავშირი! ასე გამოიყურება დღეს მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

ცხოვრების გზის სწავლების ყველა სხვა ხერხთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია, უფრო ზუსტად პირველი ნაწილი ბიბლიისა, „ძველი აღთქმა“, კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული დიდი თხზულება ებრაელი ხალხისა, მოწინააღმდეგე მხარის „ანკესზე წამოგების“ ამ უნარის გამოწრთობისა და ამ „ტექნოლოგიის“, ანუ ამ ხელოვნების ფლობის სახელმძღვანელოც არის. ამ „ტექნოლოგიის“ ფლობისა და გამოვლენის ბრწყინვალე ნიმუშია ბიბლიის ერთერთი კანონიკური წიგნით: „ესთერის წიგნით“ გადმოცემული ისტორია, ებრაელი ხალხის ეროვნულ გმირად აღიარებული ქალისა - ესთერის. თავად ის ფაქტიც, რომ ებრაული დღესასწაული: „ესთერობა“, ანუ „პურიმი“, ისე შეახვიო თავის ტრანსფორმირებულ სახეში, ზოგადად ქალის ღირსების დაცვის სახეში, რომ ესთერი აქციო ქალობის იდეად, ხოლო „ესთერობა“ ქალთა ღირსების დაცვის მსოფლიო ხალხების დღესასწაულად, 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღედ, მეტყველებს იმაზედ, რომ ებრაული ჭკუა-გონების საკუთრივი მახასიათებელი სწორედ ის თვისობრიობაა, რომელსაც შეუძლია ადამიანური უნარი ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მიზანდასახული მიმართულებით წარმართვისა, აიყვანოს მსოფლიოს დაპყრობის „ტექნოლოგიური ხელოვნების“ ხარისხში, აიყვანოს და იმდენად ცხადყოს, რომ ამ გზით კაცობრიობის ყველაზე თავზარდამცემი ბირთვული იარაღის ძალაც გადაფაროს.

„წიგნი ესთერისა“ ანკესზე მოწინააღმდეგის წამოგების ერთი კონკრეტული ისტორიაა, რომელიც მძაფრად აჩვენებს ებრაელი ხალხის გარე სამყაროსთან და სხვა ქვეყნების ადამიანებთან მიმართების სპეციფიკას, ადამიანებ-



თან და ხალხებთან მიმართების მორალურ კრედოს. ცხადია, ამგვარი შეფასება ბიბლიური გმირისა აყენებს მისი ტიპიურობისა და იმ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიური პრინციპების საკითხსაც, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

როგორც ვიცით, ორი დიდი ტყვეობა გამოიარა ებრაელმა ხალხმა თავისი დიდი მოწამებრივი ცხოვრების გზაზე: ეგვიპტური და ბაბილონური. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, უფალმა დააბინავა ებრაელი ხალხი აღთქმულ მიწაზე. აღუთქვა უფალმა, ღმერთმა ისრაელისამ ებრაელებს: თუ ერთგულნი იქნებითო ჩემი, იქ, აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულ ხალხებს ავყრი და ხელში ჩაგაგდებინებთო მთელს მათ ქონებასა და სიმდიდრეს. ძალზედ საინტერესოა ძველი აღთქმით გადმოცემული ისრაელიანთა ღმერთის დიდაქტიკური პრინციპები, ის ღვთაებრივი სამართალი და მორალი, რომელიც გაცხადებულია ებრაელი ხალხის დიდი წინასწარმეტყველისა და წინამძღოლის, მოსეს პირით:

„როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია, და შენც შეჭამ და გაძღები, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც შენ გამოგიყვანა

ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან“ (2რჯ. 6,11-12).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ, და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს: ხეთელბს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხიველებს, და იებუსელებს - შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაარისხებ მათ, დაარისხე ისინი(= შეწირე უფალს, დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო!“ (2რჯ. 7,1-2). „შენ შთანთქავ ყველა ხალხს, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი!“(2რჯ.6,16).

ხმობილი ფრაგმენტები ნათლად აჩვენებს ეპოქალურსა და მორალურ -ფსიქოლოგიურ პრინციპებს ღვთაებრივი სამართლიანობის ეროვნული კლასიკური გაგებისას, ამასთან უფლის რჩეული ერის ეროვნული კლასიკური გაგებისას. სამართლიანობის ამგვარი გაგებით არიან გამოსულნი ისრაელიანები ოთხასწლოვანი ეგვიპტური ტყვეობიდან. და უფალს, რომელმაც ისინი გამოიყვანა ეგვიპტური მონობის სახლიდან და დაასახლა აღთქმულ მიწაზე, თავისი ცხოვრების ოქროს ხანით, ისრაელიანები უგებენ გრანდიოზულსა და არქიტექტურული მშვენიერებით განთქმულ ტაძარს, „ტაძარს სოლომონისას“, ისრაელის ორი დიდი მეფისა, დავით წინასწარმეტყველისა და მისი ვაჟის, სოლომონ ბრძენისა და თავად უფლის, იაჰვეს წყალობით შექმნილს. მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა და თავისი არსებობის ოქროს ხანის შექმნის, ღმერთი ისრაელისა ვერ იხსნის ებრაელ ხალხს მეორე დიდი ტყვეობისაგან. სწორედ ამ მეორე ტყვეობის ისტორიას უკავშირდება ესთერის პიროვნება, როგორც განსახიერება ებრაული ეროვნული გმირული სულისა.

როგორც ბიბლიის მკვლევარები აღნიშნავენ, ესთერის წიგნში, ძველი წელთაღრიცხვის მე-5-ე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სინამდვილეა ასახული და მიეკუთვნება იმ წიგნებს, რომლებიც გადმოსცემენ ებრაელი ხალხის ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ბაბილონელებმა დაარბიეს იერუსალიმი, დაანგრიეს სოლომონის ტაძარი, ტყვედ აიყვანეს მთელი ებრაელი ხალხი, და წაასხეს ბაბილონში. ესთერის წიგნში გადმოცემულია პერიოდი, როცა ბაბილონის ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ არის იერუსალიმში დაბრუნებული ეზრა - ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და განმანათლებელი, როდესაც ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში არიან ისრაელიანები გახიზნულნი და ერთერთი ხიზანი ისრაელიანებისა, ლამაზი ტყვე ქალი, ესთერი, სპარსეთის უდიდესი სამეფოს დედოფალი ხდება.

ესთერი ტიპიური სახეა ებრაელი ქალისა. მას ერთერთი შესანიშნავი წინამორბედი ჰყავს ებრაელი ხალხის ეროვნული გმირი ქალის, იაყელის სახით, რომელიც ესთერთან ერთად უსათუოდ აჩვენებს დაუნდობლობის ძალას ებრაელი ქალისას.

აღთქმულ მიწაზე დაბინავებული ებრაელები სისხლისმღვრელი ომით უპირისპირდებიან აღთქმული მიწის ადგილობრივ მკვიდრებს - ქანაანელებს. ბრძოლაში ქანაანელები მარცხდებიან. ქანაანელთა სარდალი, სისარა, რომელსაც მთელი ეტლიონი გაუნადგურეს, ბრძოლის ველიდან გარბის და გეზს ებრაელი ქალის, იაყელის, ხებერ კენიელის ცოლის კარვისაკენ იღებს, რადგან ქანაანის მეფესა და იაყელის სახლეულობას შორის მშვიდობა ეგულება. ასე იყო ომამდე. სისარამ იცის, რომ ებრაელთა სარდალი, რომელმაც ეტლიონი გაუნადგურა, უკან დადევნებული მოსდევს... მაგრამ ქანაანელი სისარა მიაღწევს მახლობელი ებრაელების კარავს:

„გამოეგება იაყელი სისარას და უთხრა: - მობრძანდი, ბატონო, შემობრძანდი ჩემთან, შიში ნურაფრის გექნება - შეიყვანა კარავში და ხალქვეშ დამალა. უთხრა სისარამ: ცოტა წყალი მომიტანე და დამალევინე, რადგან მწყურია. გაუხსნა ქალმა რძით სავსე ტიკი, დაალევინა და ისევ წააფარა ხალი. უთხრა სისარამ: - კარვის კართან დადექი, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არ არისო, მანდ, მიუგე, არა-თქო. იაყელმა, ხებერის ცოლმა აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიკავა, ფეხაკრეფით მიეპარა სისარას და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მიწას დააჭედა. მას კი(სისარას), დაღლილ-დაქანცულს ჩასძინებოდა და მოკვდა“(მსაჯ. 4,18-21).

იაყელის ხელით ქანაანელთა სარდლის- სისარას საშინელი



განგმირვის ეპიზოდი ეროვნული ჰიმნის, ტრიუმფალური საგალობლის სიუჟეტი ხდება. ისრაელიანთა სახელგანთქმული მსაჯულიქალი, წინასწარმეტყველი დებორა და ებრაელთა სარდალი ბარაკი, რომელსაც იაყელმა წაართვა სისარას განგმირვის ბედნიერება, ერთად აღავლენენ გალობას ებრაელთა ღმერთის, იაჰვესადმი:

„ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყარით, მთავარნო: ეს მე ვარ, მე ვუგალობ უფალს, მე ვუმღერი უფალს, ისრაელის ღმერთს....კურთხეულ იყოს იაყელი, დიაცთა შორის, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს!..

წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფე თასით მიართვა მოუხდელი რძე.

მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით უროს. მოუქნია სისარას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეულეწა...

სარკმლიდან იყურება, კანკლედიდან გაჰკივის სისარას დედა: რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, რამ შეაფერხა სისარას ეტლის თვლები?!...“ (მსაჯ.5,3-5, 24-26, 5,28).

ეს შემზარავი სიუჟეტი იაყელისა და სისარას „სტუმარ-მასპინძლობისა“, რომელსაც უმღერის ებრაელი ხალხი, ჩემს ხედვაში, პირდაპირ ალტერნატიულ ასოციაციას იწვევს ქართული ხალხური სიმღერის სახით შემონახულ ერთ ლეგენდარულ ამბავზე, რომელიც წმინდა ქართული და წმინდა ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და მორალის უჩვეულო გამოვლინებაა. და საერთოდ, ამ ლეგენდარული ამბით, ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ისიც ითქვას, რომ რაც წმინდა ქართულია, წმინდა ქრისტიანულიც არის. მხედველობაში გვაქვს მოხეურ ფოლკლორში სიმღერად შემონახული ლექსი, ხევში სახელგანთქმული და-ძმისა: შიოლა ღუდუშაურისა და მისი დის. შიოლა მოკლეს და მკვლელს შურისმაძიებლები დაედევნენ. მახლობელ სოფელში თავშესაფრის მაძიებელი მკვლელი უცნობის სახლში შევარდება და თავშესაფარს სთხოვს მასპინძელ ქალს, რომელიც, აღმოჩნდება, რომ მოკლულის დაა. ქალი ძმისმკვლელს ვეღარ გაწირავს, რადგან მან უკვე შეაფარა თავი მოკლულის დის ჭერქვეშ და ღვთისგან თუ ბედისწერის ქარტეხილისგან სტუმარ-მასპინძლის რეალობა შექმნა. შიოლას დაი ახლა უკვე მასპინძელია და ღვთისა და საკუთარი ჭერის ღირსება უნდა დაიცვას პირველ რიგში. იგი მანდილს დააგებს კარის ზღურბლზე, რითაც თავისიანებს შურისძიებას აუკრძალავს. და როცა შურისმაძიებლები, მის კართან შემდრკალნი, იძულებული გახდებიან, უკან დაიხიონ, შორიდან ნასროლი ისრით, ფანჯრიდან შეაღწევენ ჭერქვეშ და მოკლავენ მკვლელს. შეურაცხოფილი შიოლა ღუდუშაურის დაი ახლა უკვე ორმაგად არის ჭირისუფალი და მგლოვიარე . და როგორც შეურაცხოფილი თავისიანთაგან იგი უარს იტყვის ძმის დატირებაზე მათთან ერთად: არ წავა სატირალში, მარტოკა დაიტირებს და მარტო იგლოვს... მდინარის პირას...სტუმარსაც და ძმასაც. იაყელისა და შიოლას დის, ამ ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ქალის ფსიქოლოგიითა და მორალით, ორი სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიისა და მორალის ხალხები იხატებიან ჩვენს თვალწინ. საქმე გვაქვს ორ სრუ-

14 gv.

13 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

ლიად განსხვავებულ, ორ სრულიად ურთიერთალტერნატიულ ეროვნულ ფენომენთან, რომელთაც თავთავიანთი მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები გააჩნიათ: ფსიქოლოგია და მორალი დაუნდობლობისა და ფსიქოლოგია და მორალი დანდობისა და მტრის სიყვარულის.

ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის ფსიქოლოგიური და მორალური განგრძობაა ახალი ბიბლიური გმირი ქალი, ესთერი, რომელიც სპარსეთის მეფის ცთუნებით სპარსეთის დედოფალი ხდება. თუმცა ამ მაცთუნებელი სიცრუით ის მარტო არ არის. ის სასახლეში შეგზავნილი დედოფალია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაიცვას ებრაელთა ინტერესები სპარსეთში. შემგზავნი არის ესთერის ბიძაშვილი, სახელად მარდუქაი, რომელიც მუდმივი კონსულტანტია ესთერისა. საქმე გვაქვს მაცთუნებლობის მთელ მექანიზმთან, „ანკესის ტექნოლოგიასთან", რომელიც ორი პიროვნებისაგან შედგება: მარდოქაისა და ესთერისაგან...

სპარსეთის უზარმაზარი სამეფოს მმართველი იყო მეფე ახაშვეროში.ინდოეთიდან ქუშამდე იყო გადაჭიმული მისი სამფლობელო, 127 პროვინციისაგან შემდგარი. თავისი მეფობის მესამე წელს, მეფე ახაშვეროშმა დიდი ნადიმი გადიხადა, მოიწვია თავისი მთავრები, სპარსელთა და მიდიელთა სარდლები, მორჩილნი და მხარეთა განმგებელნი. შვიდ დღეს მიდიოდა ნადიმი სასახლის ბაღში. თავი მოიწონა მეფემ თავისი სამეფოს სიმდიდრითა და ბრწყინვალებით: „მრავალფერი ქსოვილები ეკიდა ბისონისა და ძოწის ძაფებით ვერცხლის რგოლებზე და მარმარილოს სვეტებზე. ოქროსა და ვერცხლის საწოლები იდგა ალებასტრით, მარმარილოთი, სადაფითა და შავი მარმარილოთი მოფენილ იატაკზე. სასმელს ოქროს სასმისებით სვამდნენ, მრავალფერი სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მეფეთა საკადრისი. ვაშთი დედოფალმაც გადაიხადა ლხინი ბანოვანთათვის მეფე ახაშვეროშის ერთერთ სასახლეში. მეშვიდე დღეს მეფემ თავისი ულამაზესი დედოფლის მშვენიერებით თავმოწონება მოიწადინა და შვიდი მომსახურე საჭურისი გაგზავნა ვაშთი დედოფლის მოსაყვანად... დედოფალმა ბრძანება იუკადრისა და უარი შეუთვალა მეფეს. ვაშთი დედოფალმა დედოფლობა დაკარგა. მეფის მხლებლები მეფის დავალებით ახალი დედოფლის კანდიდატურის ძებნას შეუდგნენ.

მარდოქაის მცდელობითა და დარიგებებით ესთერმა, დამალა რა თავისი ებრაელობა, ვაშთი დედოფლის ადგილი დაიკავა. მარდოქაის სამსახურად კი იქცა დღენიადაგ დგომა სპარსეთის მეფის სასახლის კარიბჭესთან, ინფორმაციის მოკრება და შეგზავნა მეფესთან შესატანად ესთერის გზით. იუდეველმა მარდოქაიმ, რომელიც წარმომავლობით ბენიამინის შტოდან იყო და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იუდას მეფესთან, იექონიასთან ერთად იყო ბაბილონში გადასახლებული, სპარსეთში გადმოხიზნებით, სასახლის კარიბჭესთან დღენიადაგ დგომით, სპარსეთის მეფის მთავარი ინფორმატო-



რის ადგილი მოიპოვა. სასახლეში არავინ არ იცის, რომ ესთერი იუდეველია. მარდოქაიმ კი, სასახლის კარიბჭესთან, აფიშირება მოახდინა თავისი იუდევლობის, რითაც უფრო მეტად შენიღბა ესთერის ვინაობა. და იმ დროს, როდესაც მეფე ახაშვეროშმა ყველა მთავარს შორის გამოარჩია და როგორც ყველაზე ერთგულსა და ღირსეულს, ჰამანს,"დაუდგა სავარძელი ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა", სასახლის კარიბჭესთან, მარდოქაი შეუდგა ჰამანისადმი უპატივცემულობის საგანგებო გამოცხადების დემონსტრაციას და ჰამანს იუდეველთადმი სიძულვილი ხელოვნურად მოახვია თავს. ნელნელა ესთერის გზით მარდოქაიმ შესძლო განხეთქილების ჩამოგდება სპარსეთის მეფესა და მის რჩეულ მთავარს შორის და ბოლოს და ბოლოს იქამდე გამოათაყვანა მეფე ახაშვეროში ესთერის გზით, რომ ეს ყველაზე რჩეული და ერთგული ჰამანი, სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა. სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა მერე ჰამანის ათი ვაჟი, ხოლო ისტორიული სტატისტიკით, გარდა ამ განწირული მთავრის ოჯახისა, მეფე ახაშვეროშს, ესთერის წინადადებით, სპარსთის მეფის ერთგული კიდევ 70 000 (სამოცდაათი ათასი) კაცისთვის მიუსჯია სიკვდილი... ეს კი უკვე ისეთი რიცხვია, რომელიც ესთერს, ებრაელთა ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის მორალურ მემკვიდრეს, ნებისმიერ დროს აპოვნინებდა კარვის პალოსაც და უროსაც, თუ კი ეს თავისი ხალხისათვის დასჭირდებოდა, თავად მეფე ახაშვეროშის საფეთქელზე დასამიზნებლად და მისი გამოთაყვანებული თავის მიწაზე დასაჭედად. ესთერის ბიბლიური წიგნით, ჰამანის ჩამოხრჩობის შემდეგ, ესთერის თხოვნით, სპარსეთის მეფე ახაშვეროშმა სპარსეთში შეხიზნული ყველა ებრაელის ხელშეუხებლობა ბრძანა, ხოლო სახრჩობელამისჯილი ჰამანის სავარძელზე, რომელიც მან, სპარსეთის მეფემ თავის ყველაზე ერთგულ კაცს, ჰამანს დაუდგა, „ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა", უკვე მარდოქაი დასვა.

მარდოქაი -ესთერის ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ სპარსეთის ამ უდიდესი სამეფოს მმართველს, მისი მთავარი საყრდენის, ჰამანის ჩამოცილებით, შეუქმნა ახალი საყრდენი მარდოქაის სახით, რომლითაც სპარსეთის მეფე მთლიანად დამოკიდებული გახადა სასახლის კარიბჭესთან მდგომ მარდოქაიზე და ბაბილონიდან შემოხიზნული ებრაული ეროვნული უმცირესობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაზე....კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენოთ:

ერთერთი ქართველი ებრაელი, ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ებრაელების ისტორიულ დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას გიორგი რუსზე, დამსახურებად იმ ქართველი ებრაელებისას, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულნი იყვნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ სამეფო კარის ცხოვრებაზე... ჩვენს მიერ ბიბლიური „ესთერის წიგნისა" და ესთერისა და მარდოქაის პიროვნული ფენომენების გადმოცემის შემდეგ, ნათლად წარმოსადგენი ხდება, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე თამარი, რომ უწესო გიორგი რუსიც აელაგმა და ყოველგვარი მცდელობანიც მისი ძალაუფლების შეზღუდვისა ებრაული წარმომავლობის მოხელეთაგან, აელაგმა ყოველგვარი სახრჩობელების გარეშე, უმაღლესი ადამიანური ზნეობითა და სათნოებით.

ებრაელმა ხალხმა ესთერის, როგორც ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად მისი ხსენების დღესასწაული დააწესა „პურიმის" („წილისყრის დღე") სახელწოდებით, რომელსაც ებრაელები დღემდე დღესასწაულობენ.

დღეისათვის მსოფლიო მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში ებრაელ მასონთა დიდი მონაწილეობით იქნა მომზადებული. - „კაპიტალიზმშიცა და სოციალიზმშიც წამყვან ძალას წარმოადგენენ ებრაელები" - წერს ჯორჯ სოროსი თავის ფუნდამენტალურ წერილში: „ეროვნული დიქტატურები ღია სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ". დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ გაცნობიერებულია, რომ ჩვენი დღევანდელი მსოფლიოს ცივილურ ისტორიაში რევოლუციებს ებრაელები მართავენ, მაგრამ ცხოვრება ამ რევოლუციებს თავის საკუთარ სახეს აძლევს და ებრაული გონი, მსოფლიო მმართველობაზე მეოცნებე, იძულებული ხდება ჩვენი ცივილიზაციის მთელ მანძილზე უწყვეტი მონიტორინგით იყოს მიმართული მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე და უწყვეტი სულისკვეთებით ეწეოდეს კაცობრიული ცნობიერების ინტეგრაციას, ან ღიად ან ფარულად, ებრაულ ღირებულებებზე. ცხოვრებამ და ისტორიამ იგი, ებრაული გონი გამოაწრთო შენიღბული არსებობისათვის. მან შეიმუშავა უნარი მშვიდობიანად შეფუთოს თავისი სხეულებრივი ყოფიერება სხვა ქვეყნის სხეულებრივ ყოფიერებაში, თავისი სულიერი ინდივიდუალობა - სხვა ხალხის სულიერ ინდივიდუალობაში, თავისი რელიგიური ინდივიდუალობა - სხვა რელიგიების სამოსში, და რაც მთავარია: შეფუთოს თავისი ურყევი ანტიქრისტიანული სულისკვეთება - ქრისტიანულ სამოსში, ანტიქრისტე - ქრისტეში! ამ მეთოდით მას ვირტუოზულად შეუძლია ამათუიმ ქვეყნის გარდაქმნისა და განვითარების იდეაში შეფუთოს იდეა ამ ქვეყნის დაშლისა და განადგურების. შემთხვევითი არ



იყო, რომ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ებრაელთა ქრისტიანული ნათლობა აკრძალა... როდესაც კოპენჰაგენში, ქალთა საერთაშორისო დღე ლენინის მეგობარი ქალის, კლარა ცეტკინის ინიციატივით დაწესდა, შემთხვევითი არ იყო რომ იგი, ქალთა საერთაშორისო დღე, პურიმის დღესასწაულის პირველი აღნიშვნის დღეზე თანხვედრილი აღმოჩნდა. ესთერისა და იაყელის გენეტიკური წარმომავლობის ქალბატონმა თავისი ქვეყნისა და თავისი წინაპრებისადმი სიყვარულით, ისიც შესძლო, რომ პურიმის იდეა, დროისა და ეპოქის შესაბამის ახალ იდეაში, ქალთა საერთაშორისო დღის იდეაში შეეფუთა და მსოფლიოს ქალები პურიმის დღესასწაულზე ეხმო. მილიონობით ქალს ამ დღეს მილიონობით მამაკაცი ულოცავს, მაგრამ გაცნობიერებული არა აქვს, რომ ამ დღესასწაულით იგი ებრაული პურიმის დღესასწაულსაც უერთდება. ასე მოახვია ჩვენმა თანამედროვე მსოფლიომ დღეს თამარ მეფის ქვეყანას თავისი საკუთარი გაგების პრიორიტეტები, მოახვია ისევე, როგორც იდეა ესთერისა, რომელიც თამარ მეფის ფრჩხილადაც არა ღირს.

## ებრაელთა მსოფლიო ბატონობის ბიბლიური საწყისებისა, მსოფლიო დევნისა და ებრაელთა მიერ მსოფლიოზე შურისძიების შესახებ

თავის დროზე, ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნეში, დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ებრაელთა დევნის მიზეზი პლანეტის ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში, აღმოჩნდა არა მათი ფანატიკური რწმენა და წარმოდგენა თავიანთ რჩეულობაზე, არა მათი რელიგიური ფანატიზმი, არამედ მათი უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდებისაკენ და ამ გზით პოლიტიკური გავლენის მოპოვებისაკენ ყველა ქვეყანაში. (იხ. ილია ჭავჭავაძის წერილი „ებრაელთა შესახებ").

ილია ჭავჭავაძისეულ ინფორმაციაში, რომელშიც ებრაელი ხალხის ცხოვრების გზისა და მიზანდასახულობის შეფასება ევროპული ფორმულირების შთაბეჭდილებას ტოვებს, არაფერი ახალი და დაუჯერებელი არ არის. პირიქით. ეს არის ყველაზე მარტივი გადმოცემა ებრაელი ხალხის წმინდა წიგნით ნაანდერძევი იდეალისა, რომლისაგან გადახვევის უფლება ებრაელ ხალხს არცა აქვს. ეს მისი სჯულიდან, მისი კანონიკური მიზანსწრაფვიდან გამომდინარე სულისკვეთებაა, რომელსაც თავისი საუკუნეებგავლილი შედეგი და სადღეისო სახეობა აქვს სიონისტური მოძრაობის სახით.

უფალი, ღმერთი ისრაელისა ასე ელაპარაკება თავის ხალხს მოსე წინასწარმეტყველის პირით ეგვიპტიდან გამოყვანისა და აღთქმულ მიწაზე შეყვანის წინ:

„...უფლის, შენი ღმერთის

წმინდა ერი ხარ, შენ აგირჩია უფალმა, რომ ჰყოლოდი საკუთარ ერად ყველა ხალხს შორის დედამიწის ზურგზე... (2რჯ.14,2) ...არა ჭამოთ არავითარი ლეში. შენს სახლში მცხოვრებ მდგმურს მიეცი იგი, მან შჭამოს, ან უცხოელს მიჰყიდე, რადგან უფლის, თქვენი ღმერთის წმინდა ერი ხართ თქვენ (2რჯ.14,21) - ასე მიმართავს და ასე გადასცემს უფლის სიტყვებს თავის მშობლიურ ებრაელ ხალხს მისი წინამძღოლი და ებრაელი ხალხის ყველაზე დიდი წინასწარმეტყველი, მოსე, აღთქმულ ქვეყანაში შესვლის წინ: ებრაელმა არ უნდა შეჭამოს გაუწმინდურებული ხორცი, იმიტომ რომ ის წმინდა ერია, სხვამ - შეიძლება. ასეა გამოხატული ევროპული “ცისფერსისხლიანობის“ ებრაულ-იუდეური პოზიცია ბიბლიაში.

„ -გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც ნათქვამი აქვს შენთვის: ბევრ ხალხს ექნება შენი ვალი, შენ კი არ ისესხებ; ბევრ ხალხზე იბატონებ, შენზე კი - არავინ იბატონებს“ (2რჯ.15,6)...

როგორც ვხედავთ, ფულის გასესხება სხვაზე გაბატონების ბიბლიური, ანუ ძველი აღთქმისეული, საკუთრივ ებრაული გზაა. და შემთხვევითი არ არის რომ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მამოძრავებელი ძალა სწორედ ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკაა და ამ თვალსაზრისით სიონისტური მოძრაობა კლასიკურ იუდაისტურ პრინციპებზე დგას, საკუთარ რელიგიურ ცნობიერებაზე და კანონებზე.

„-როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებითურთ, რომლებიც შენ არ აგიშენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებითურთ, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებითურთ, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიშენებია, და შენც შეჭამ და გაძღები, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.... რადგან შურისმაძიებელი ღმერთია თქვენში უფალი...“ (2რჯ.6,10-15)

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ და მოგაშორებს მრავალრიცხოვან ხალხებს - ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანაანელებს, ფერიზელებს, ხივიელებს, და იებუსელებს - შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი (შესაწირავ მსხვერპლად აქციე! დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო. არ დაუმოყვრდე... ...დაუნგრიეთ მათ სამსხვერპლოები, დაულეწეთ სვეტები, გაუჩეხეთ ხემხვივანები, და ცეცხლში დაწვით მათი კერპები (2რჯ.7,1-5)... იცოდე, რომ შენი სიმართლის გამო არ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი ამ მადლიან მიწას დასამკვიდრებლად... (2 რ ჯ.9, 6), სადაც ღვარად მოედინება რძე და თაფლი... (2რჯ.11,9)...

„როცა გაწყვეტს უფალი, შენი ღმერთი, ხალხებს, რომელთა ქვეყანას შენ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, განდევნი მათ და დასახლდები მათ ქალაქებსა და სახლებში... (2რჯ.19,1)... წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი, მას უსმინე (2რჯ.18,15)...

დაისვი მეფედ ის კაცი, ვისაც უფალი, შენი ღმერთი ამოირჩევს, შენი მოძმეების წრიდან დაისვი მეფე. უფლება არა გაქვს დაისვა უცხო კაცი, რომელიც არ არის შენი მოძმე...“ (2რჯ.17,15)... ....

„ყველა ხალხი, რომელიც დარჩა ამორეველთაგან, ხეთელთაგან, ფერიზეველთაგან, ხივიელთაგან და იებუსეველთაგან, რომელიც არ იყო ისრაელიანთა მოდგმისა, მათი შთამომავლები, მათს შემდეგ რომ დარჩნენ ქვეყანაში, და არ გაუწყვეტიათ ისრაელიანებს, ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე. ისრაელიანთაგან არავისთვის დაუკისრებია ბეგარა, რადგან მეომრებად ჰყავდა ისინი(-სოლომონს), თავის მორჩილებად, მეთაურებად და სარდლებად, თავისი ეტლებისა და მხედრობის მეთაურებად“ (4 მეფ.9,20-22).


ივანე ჯავახიშვილი


ნიკო ბერძენიშვილი


სიმონ ჯანაშია

არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენს მიერ ბიბლიიდან მოხმობილი ციტატების ქართულ თარგმანში რაიმე უზუსტობაა დაშვებული და ებრაელთა ღმერთის, იაჰვეს, იგივ იელოვას მეტყველების ჩვენეულ გადმოცემაში რაიმე მორალური ტონალობაა დარღვეული. ის, რაც წარმოუდგენელია ჩვენი მორალისათვის, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია „წმინდა წერილის“ ღმერთისათვის, იმ მამა ღმერთისათვის, ვისთვისაც ებრაელი ერი მისი საკუთარი რჩეული ერია. ებრაელთათვის, როგორც რჩეული ერისათვის იმ ხალხების გაჟლეტა, მარტო იმიტომ რომ ისინი ებრაელები არ არიან და სხვა რწმენა აქვთ, მათივე უფლისაგან არის დაშვებულიც და ნაკურთხიც. ეს უფლება არც დაფარულია და არც გასაიდუმლოებული. ეს ყველაფერი ჩვენს მიერ მოხმობილ ციტატებში პირდაპირ და მკაფიოდ არის გაცხადებული.

ჩვენ შეგნებულად და საგანგებოდ მოვიყვანეთ ეს ვრცელი ამონარიდი ებრაელი ხალხის წმინდა წერილიდან. ეს ღმერთი, რომელიც ამ ზემოთხმობილ ციტატებში ელაპარაკება თავის ხალხს, ეს არის ღმერთი აბრაამისაც, ისააკისაც, იაკობისაც, მოსესიც, დავით წინასწარმეტყველისაც და დღევანდელი სიონისტური მოძრაობისაც. აქ არის გამოხატული ებრაელი ხალხის ეროვნული, სიღრმისეული და არსობრივი ფსიქოლოგია, თანდაყოლილი და ბუნებრივი, ეს არის ეროვნული მორალური პრინციპები მომთაბარე თემთაგან შობილი ებრაელი ხალხისა. წარმოვიდგინოთ რა შორს არის ერთმანეთისაგან: ქრისტეს მოძღვრება მოყვასის სიყვარულისა და აქ ხმობილ ციტატებში ასახული ყველა ხალხზე გაბატონების ის მოწოდება, რომელიც ამ ტიპიური ფრაგმენტების იუდაისტურ სულისკვეთებაშია გამოხატული?! აქ ყოველგვარ სამართლიანობაზე წინა დგას ღმერთი ისრაელისა და ღვთისაგან მინიჭებული უფლებამოსილება ებრაელი ერისა ყველა დანარჩენ ხალხზე აღმატებისა და ბატონობის. უფრო მეტი: ჩვენს მიერ ხმობილ ფრაგმენტებში ასახულია ებრაელი ერის, როგორც რჩეული ერის საკუთარი და გამორჩეული უფლებამოსილება, ბოძებული თავად უფლისაგან, თავად უფლის შეწევნით, უპრობლემოდ ამოჟლიტოს ყველა დანარჩენი ხალხი, თუ ამას ებრაელი ერის ინტერესები ითხოვს. ცხადია, ისმის კითხვა: სად მიდის ამ დროს თავად უფლისაგან ნაკარნახევი ერთერთი მთავარი მცნება მოსესი: „არა კაც ჰკლა!“ რომელიც ზემოთ ხმობილი ეპიზოდის შემთხვევაში უპასუხოდ რჩება...

● პირველი, ზემოთ ჩამონათვალი შვიდი დიდი ხალხიდან, რომლებიც აღთქმული მიწის წინარე, ანუ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს, და რომლებიც ღვთის კურთხევით ებრაელებს უნდა ამოეჟლიტათ, თავიანთი ღმერთის უშუალო პროცესუალური თანხლებითა და თანადგომით, ე.წ.“ აღთქმული მიწის“ დასასაკუთრებლად, ხეთები, ყოველგვარი მეცნიერული დავის გარეშე, ისტორიოგრაფიული სიცხადით, ჩვენი, ქართველთა მოდგმის წინაპარ ხალხად აღიარებული მოსახლეობაა.

● „უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერული გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწაწყალი ეჭირათ წინა აზიაში... -ვკითხულობთ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში -ეფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში სუმერებმა ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა - ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ლურსმული...

● წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. ამ მეჯოგე ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო. მეორე ათასწლეულის დამდეგს, ძვ.წ.-ით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან... ხანგრძლივ ბრძოლას ეგვიპტე-ხეთას შორის მსოფლიო პირველობისათვის ბოლო მოუღო ხეთის მეფემ ხატუშილ მესამემ, რომელმაც 1278 (ძვ.წ.ა.) წელს ფარაონთან ხელშეკრულება დასდო სამუდამო მეგობრობის შესახებ. ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია - „საქართველოს ისტორია“, მესამე გამოცემა, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1948 წელი).

ეს ვრცელი ფრაგმენტი მოვიხმეთ „ საქართველოს ისტორიის“ იმ სახელმძღვანელო წიგნიდან, რომელიც საქართველოს ისტორიის უდიდეს მცოდნეთა მიერ არის შექმნილი: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელო, გამოცემული 1943 წელს, როგორც ამას ცნობილი ისტორიკოსი, ზურაბ რატიანი ამხელს, დარბევის საგანი გახდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ და მისი ფურცლებიდან სწორედ ის ნაწილი იქნა ამოჭრილი, რომელიც საქართველოს უძველეს ისტორიას გადმოგვცემდა, სულ მცირე, ქრისტესწინარე სამი ათასეული წლის ხანგრძლივობის ისტორიას. როგორც ვხედავთ, ამ სამი ათასწლეულის საზღვრებშია მოქცეული ებრაელთა მომთაბარე- მეჯოგე ტომების მიერ ხეთური მოსახლეობის ამოხოცვის ლოცვა-კურთხევაც ებრაელთა ღმერთის მიერ: ხეთების, ქართველთა უშუალო წინაპრების.

● მაგრამ, დავუშვათ და ხეთები საკუთრივ ჩვენი წინაპრები არ არიან! ვიღაცის წინაპრები ხომ არიან? ხოლო თუ ისე ამოწყვიტეს ეს შვიდი ხალხი ებრაელებმა, რომ იმათი წვეთი და მისხალიც აღარ დარჩა, საინტერესოა, ეს დიდი ღირსება და მადლია ებრაელი ერისა, სამუდამო ცოდვა, თუ რაღაც სხვა რამ, რომელსაც შეფასება ესაჭიროება, როგორც წმინდა წიგნის მონათხრობს. თუ ძალიან არ გამოვითაყვანებთ თავს და ნორმალური ადამიანური აზროვნებით აღვიქვამთ მოხმობილ ისტორიას აღთქმული ქვეყნის მიღებისას, ხომ უნდა დავსვათ კითხვა:“ ის მიწა, რომელმაც შვიდი უცოდველი ხალხის სისხლი შეიშრო, როგორღა არის წმინდა მიწა და ის ხალხი, რომელმაც თავისზე დიდი, საკუთარ მიწა-წყალზე თავისი შრომით მაცხოვრებელი მკვიდრი ხალხები ამოწყვიტა, მარტო იმიტომ რომ ისინი სხვა ეროვნებისანი და სხვა რწმენისანი იყვნენ, როგორღა არიან ღვთის რჩეული ხალხი? ვინ არის მაშინ მათი ღმერთი, ან როგორ, კაცობრიობის რომელი კრიტერიუმებით არის მიჩნეული მათი ეროვნული ბიოგრაფია წმინდა წერილად? და კაცობრიობის წმინდა წიგნად? და რამხელა კოსმიური გამოწვევაა ამ ფონზე იესო ქრისტე, როგორც განკაცება ჭეშმარიტი ღმერთის!..ამასთან ებრაელი ერის ცოდვათაგან განწმენდისა, გაკეთილშობილებისა და გადარჩენისათვის! როგორც პავლე მოციქული იტყოდა: ჯერ ებრაელი ერისა და შემდეგ მთელი კაცობრიობის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

# მოვიაროთ საქართველო!

## ხერთვისი

შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ჯავახეთში (ასპინძის მუნიციპალიტეტი), სოფელ ხერთვისში, მდინარე ფარავნისა და მტკვრის შესართავთან მოქმედი იყო მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე.

ციხის სახელწოდება, რომელიც „ხანმეტობის“ დროიდან მომდინარეობს, ორი მდონარის შესართავს აღნიშნავს — ხ-ერთვის.

ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც სავარაუდოდ, ზეპირ გადმოცემას ემყარება, ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთში ლაშქრობისას, ხერთვისის ციხე ალექსნდრე მაკედონელსაც უნახავს, თუმცა, ამ აზრს ისტორიული მეცნიერება არ იზიარებს.

ხერთვისის მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა და ექვემდებარებოდა ფარავნის და მტკვრის მიმდებარე რეგიონის დასახლებული პუნქტები. 1578 წელს არფაქსად იოთამის ძემ ჯავახეთის სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად ხერთვისიც ჩააბარა ოსმალებს და ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო.

ციხე შედგება ციტადელისა და გალავნისგან. ციტადელი მთის ვიწრო, კლდოვან ქიმზეა აღმართული და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია, ჩრდილო-დასავლეთით კი გაყვანილია გვირაბი, რომლის საშუალებითაც ციხე წყლით მარაგდებოდა.



ხერთვისი

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ხერთვისი ერეკლე II-მ აიღო, თუმცა საბოლოოდ 1828 წელს რუსეთის ჯარებმა გაანთავისუფლეს.

2007 წლიდან ხერთვისი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

## ორი ჰესის ამბავი

უფრო და უფრო სამხრეთისკენ ბუნება განსხვავებული სილამაზის, მაგრამ თითქოს ხაოიან-ფოროვანი გახდა, ქარვისფერდაკრული და დაჩხვლეტილი. გაქრა წიწვოვანი ხეები, თუმცა მტკვრის გაყოლებაზე მისით ნასულდგმულები ჭალა მწვანედ ღვიოდა. უცნაური, მაგრამ კონტრასტული სილამაზე იყო, მარცხნივ გაიხედავდი — გაშეშებულ სამყაროში იყავი, მარჯვნივ გაიხედავდი — მოძრავში, სიცოცხლის მშობელში... და უცბად, ჭალა თვალწინ აგვაცალა ვიღაცამ და დახვავებული ქვების გროვად გვიქცია — „მტკვარიჰესი“ — ეწერა ფერწასულ აბრაზე.

„მტკვარიჰესის“ მშენებლობა 2009 წელს დაიწყო და 2014 წელს უნდა დამთავრებულიყო, თუმცა ჰესიდან ინვესტორები გავიდნენ და 2012 წლის აპრილში სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მშენებლობა შეჩერდა. მანამდე რამდენი აშშ დოლარი დაიხარჯა, ან შემდეგში რამდენი დაიხარჯება, სრულებით არ აინტერესებს საქართველოს იმ მოქლაქეებს, რომელთაც კარგად იციან, რომ ვერანაირი ჰესები ვერ აანაზღაურებენ იმ დანაკარგს, რაც საქართველოს მიადგება. სწორედ სამცხე-ჯავახეთში მშენებარე ჰესების გამო იყო შარშან დავა ბუნების დაცვის მინისტრსა და ენერგეტიკის მინისტრს შორის. ბუნების დაცვის მინისტრი თვლიდა, რომ არ შეიძლება დროებითი სარგებლის მიღების გამო სამომავლო კატასტროფაზე მივიღოთ გადაწყვეტილება, ენერგეტიკის მინისტრი კი ჯიუტად იმეორებდა, ენერგია გვჭირდებაო.

„მტკვარჰესი“ აქეთ და „ფარავანჰესი“ — იქით!

„ფარავანჰესმა“ ქართული ენერგობაზარი ზამთარში უნდა მოამარაგოს სამი თვით, დანარჩენი 9 თვის განმავლობაში კი თურქეთი. „მწვანე ალტერნატივის“ კვლევაში აღნიშნულია, რომ პროექტით დაგეგმილია მდინარე ფარავნის საშუალო 90%-ის მტკვრის კალაპოტში გადაგდება და მხოლოდ 10%-ის დატოვება. ის არ ეთანხმებოდა ჰესის მშენებლობის ამ გადაწყვეტილებას და არც მტკიცებას, რომ ნალექიან თვეებში ფარავანწყალის მოცულობა 25%-მდე გაიზრდება. გარდა ამისა, გაზაფხულზე, როდესაც მტკვრის დინება მაქსიმალურ დონეს აღწევს, ისედაც ტბორავს სოფელ ხერთვისს და კიდევ 10 სმ-ით და მეტით რომ აიწიოს მტკვრის დონემ, უძველესი ისტორიული სოფელი უნდა აიყაროს, ხერთვისის ციხე კი ალბათ, წყალში უნდა ჩადგეს...

ფარავანზე წარმოებული სამუშაოების გამო ადგილობრივ მოსახლეობას ავტომატურად აეკრძალა პირუტყვის საკუთარ საძოვარზე გაყვანაც, რადგან საზოვრებისკენ მიმავალი გზა სპონსორმა გადაკეტა. ახალაშენებული გვირაბის მახლობლად 16 ჰექტარამდე ხეხილის ბაღებიც განადგურდა, რადგან პერიოდულად გვირაბი სხვადასხვა სამშენებლო მასალითა და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლით იტბორებოდა. ცალკე საკითხია თვით ტბა, რომელიც გადამფრენი ფრინველების აფრიკა-ევრაზიის გზაზე მდებარეობს და ამ „დერეფნით“ სარგებლობს ფრინველების 255 სახეობა.

განა რას იგებს საქართველო ასეთს?

როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, საქართველო — არაფერს. „ფარავანჰესის“ მშენებლობის მიზანია ელექტროენერგიის ტრანსპორტირება თურქეთში. „მწვანე ალტერნატივის“ გათვლებით, ჰესისგან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში წლიურად 2,5 მლნ დოლარს არ აღემატება, ხოლო ზამთარში საქართველოს ენერგოსისტემისთვის სამთვიანი ელექტროენერგიის მიყიდვა (ფეშქაშად მიცემა თუ რაც გინდათ ის დაარქვით) ზღაპარია, რადგან ზამთრის თვეებში, ჩვეულებისამებრ, ფარავანი იყინება.

სანამ მთელი საქართველო დაუტბორავს ვიღაცას, იქნებ ვინმე დაინტერესებულიყო რეალურად რა დგას „ჰესომანიის“ უკან და ურჩევნია თუ არა საქართველოს სამომავლოდ დღევანდელი ლაყე კვერცხი ხვალინდელ ჯანმრთელ ქათამს?



ვარძია

## ვარძია

ვარძიისკენ მიმავლებმა ახალციხის ბაზარში შევიარეთ და თონეში ჩაკრული ცხელი პურები ავიღეთ. ნეტავ, იმ პურის გემო არ გამესინჯა! პურ-პროდუქტების მწარმოებლებო, თქვენ რას გვაჭმევთ, ოდნავ მაინც არ გრცხვენიათ?! — იმ დღის შემდეგ პურს ველარ გეახლებით... ერთი პური თბილისში გამოვიყოლე, ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი და აღარც ჩემი ოჯახის დანარჩენი წევრები ჭამენ ე.წ ხორბლის პურს...

ვარძია — კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი XII-XIII საუკუნეების მხატვრული ძეგლი ისტორიულ ჯავახეთში. ვარძიაზე სხვა რა უნდა თქვა, ვარძია პირადად უნდა ნახო!

ვარძიის შესახებ მოგზაურისგან მხოლოდ იმგვარი მოკლე ინფომაციის მიღებაა მართებული, რაც პირადად მის შთაბეჭდილებას გამოხატავს, თორემ ადამიანის ხელით ნაკვეთი ვარძიის ანსამბლი იმდენად გასაოცარია, სულ მცირე, 365 დღე უნდა ისაუბრო, რამდენი ნაკვეთი ოთახიცაა.

გამყოლმა სასულიერო პირმა მოგვატარა მნიშვნელოვანი ე.წ ოთახები და აგვიხსნა, რომ უკვე ვარძიის ანსამბლის მე-8 სართულზე ვიმყოფებოდით, დანარჩენ სართულებზე კი (13 სართული) შეუძლებელი იყო ჩვენი აყვანა, რადგან ოთახებში გასასვლელები დაზიანებული და ზოგან ჩახერგილი იყო, რაც საშიშროებას წარმოადგენდა. არამქვეყნიური შეგრძნება იყო — სადღაც თუ წელში გავიშლებოდით, სადღაც მაქსიმალურად უნდა მოვკუნტულიყავით; სადღაც თუ ვიწრო ასასვლელში ავდიოდით, სადღაც ძლივს ჩავდიოდით და უკარფანჯრო კლდეში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე, არც ტემპერატურა გაგახსენდებოდა და არც ჰაერი, თითქოს ჩვეულებრივ ოთახებში დავდიოდით და არც წყალი — მთავარი ეკლესიის მახლობლად, სიღრმეში ბუნებრივი წყალია და საერთოდ, კლდეში გამოკვეთილ გვირაბში 3,5 სიგრძის წყალსადენი ტრასაა...

ვარძიის მთელ კომპლექსში უკეთაა დაცული აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი, მათ შორის „სადარბაზო“ საკრებულო მცირე ეკლესიით, თამარის ოთახი, სალხინო (მარნით), სამალავი ოთახები. მონასტერში 120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსოა და 25 მარანი 185 ქვევრით. ოთახის კედლებში გამოკვეთილია სხვადასხვა დანიშნულების ფართო და მცირე ნიშები: საწოლად, ლოგინის დასალაგებლად, წიგნების, ჭრაქის, ჭურჭლის დასალაგებლად, მერხები და ა.შ ყველაფერი, რისი საჭიროებაც არსებობდა და ეს ყველაფერი კლდეშია და კლდით.

სულ 12 სამლოცველოა, რომელთა „სიმდიდრე“ კედლის მხატვრობაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები, ასევე, ქართლის ერისთავი რატი სურამელი. (რატი სურამელის თაოსნობითა და სახსრებით მოიხატა)

ვარძიის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. მემატიანეს ცნობით, ვარძიის სახელსა და ვარძიის ღვთისმშობელს უკავშიდება ყველა ძლევამოსილი ომი რომელთაც იმ ეპოქაში აწარმოებდა საქართველო მაჰმადიანთა წინააღმდეგ. 1283 წელს მომხდარმა მიწისძვრამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ვარძიას. მონასტრის ნაწილობრივ აღდგენას უკავშირდება მშნებლობის მეოთხე ეტაპი ათაბაგ ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელის დროს. 1551 წელს მონასტერი სპარსეთის ჯარმა დაარბია და შეძლებისდაგვარად დაანგრია კიდეც, ხოლო მონასტრიდან გაიტაცა ცნობილი ღვთისმშობლის ხატი, ოქროსა და ფოლადის კარები და კულტურის სხვა უამრავი განძი, 1578 წელს კი, როდესაც ეს მხარე ისმალეთმა დაიპყრო, მონასტერი საბოლოოდ გაუკაცრიელდა. „საკვირველებას წარმოადგენს. მიუვალობით ის ალექსანდრეს კედელს და ხეიბერის კოშკს ედრება,“ — წერდა ვარძიის შესახებ სპარსეთის სეფევიების დინასტიის მემატიანე ჰასან-ბეგ რუმლუ „ახსან-ათ-თავარიხში“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“)...

მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა ვარძია საქართველოს, ისიც იმიტომ, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო... შემდეგ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და დაიწყო ვარძიის სამონასტრო კომპლექსის შესწავლა, რასაც 1938 წელს მისი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადება მოჰყვა.

როგორ არ უნდა თქვა! — სხვას რა უნდა მოსთხოვო, მაგრამ ქართველი ვინ უნდა იყო, რა მოდგმისა და რა უმეცრების, რომ ვარძიაში ფეხი შედგა და ჯღაპვნა დაიწყო... შოთა გერქვას, გიორგი გერქვას და თამარის ეპოქიდან დღემდე მოღწეულ საოცრებას შეძლებისდაგვარად უნდა ანადგურებდე? ჯაბა იმიტომ გქვია, მაინდამაინც ძეგლის განადგურებაში უნდა მიბაძო ვინმე შოთას და გიორგის? რა მავნებლური მოთხოვნილებაა მრავალსაუკუნოვან კულტურის ძეგლებზე საკუთარი სახელის ამოკაწვრა?

თქმულება — მეფე გიორგის დიდებულებთან ერთად სანადიროდ წასულა და პატარა თამარიც თან წაუყვანია. ნადირობაში გართულ მეფესა და მის ამალას ბავშვისთვის თვალი ვეღარ მიუდევნებიათ და ბავშვი გამოქვაბულში დაკარგულა. როდესაც მისი დაკარგვა შეუტყვიათ ნადირობა შეწყვეტილა და მის საძებრად გაფანტულან. „სად ხარ თამარ!“ დაუძახია მეფის ერთ-ერთ მხლებელს და ბავშვის ხმა გაუგონია „აქ ვარ ძია!“ და ასე დაერქვა ვარძია.

მეორე თქმულებით, მტკვრის ხეობის ერთი მაღალი კლდის კვეთა რომ დაიწყეს, კლდე გაჯიუტდა, იფშვნებოდა. საღამოს, სამუშაოს დასრულების შემდეგ მშენებლებმა სამუშაო იარაღები რომ დააწყვეს, მეორე დღეს ადგილზე აღარ დახვდათ, ახლანდელი ვარძიის კლდესთან იპოვეს. როდესაც იგივე კიდევ რამდენჯერმე გამეორდა, მიუხვდნენ განგებას კარნახს და იმ ადგილას გამოკვეთეს, ძველ ადგილს კი დღესაც ნავარძიევი ჰქვია...

მრავლისმნახველია ვარძია, ბევრ საიდუმლოსაც ინახავს, მაგრამ რაც ხილულად ჩანს და ვერავინ ხედავდა? ფოტოს, რომელიც საერთაშორისო კლასის ოსტატმა, ბატონმა დავით კვაჭაძემ გადაიღო, შეულამაზებლად შეგვიძლია ვუწოდოთ ვარძიის პორტრეტი, გაქვავებული სახე დამწუხრებული კაცისა, რომელსაც საქართველოს კვლავგაბრწყინების მოლოდინში თვალები ამოღამებია...

(გაგრძელება იქნება)



ვარძიაში

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ დაუკავშირდნენ ტელეფონზე 598 73 12 22



# რუსეთი და თურქეთი დაძმობილდნენ... გაუდგნენ გზასა...

თურქეთში ვიზიტად მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავისი განცხადებით მსოფლიო საზოგადოება შოკში ჩააგდო. როგორც გავიგეთ, სამხრეთ ნაკადად ცნობილი გაზსადენი, რომელსაც შავი ზღვისა და ბულგარეთის გავლით ევროპის ქვეყნები ბუნებრივი აირით უნდა მოემარაგებინა, მომართულებას იცვლის და თურქეთზე გაივლის. განცხადება იმდენად მოულოდნელი გამოდგა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა და პოლიტიკოსებმა რამდენიმე დღე დუმილი არჩიეს.

ახლა ძნელი სათქმელია, იცოდნენ თუ არა თურქებმა გაზის ტრანზიტის საკითხი თუ დადგებოდა დღის წესრიგში, მაგრამ პუტინის ხანმოკლე ვიზიტისთვის უმაღლესი კატეგორიის მინიჭებას რომ დაჟინებით ითხოვდნენ, ცნობილია. როგორც გამოჩნდა, თურმე, საფუძველიც ჰქონდათ, უმაღლეს დონეზე ემასპინძლათ რუსეთის დელეგაციისთვის. ამ ორ ქვეყანას ოდითგანვე, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ბევრისთვის შეიძლება წარმოუდგენელიც კი იყო, რომ რუსეთ-



თურქეთს შორის ვითარება ისე დათბებოდა, რუსეთის გაზი თურქეთის გავლით გაიყიდებოდა ევროპის ბაზარზე. თუმცა, ბუნებაში შემთხვევითობები იშვიათი გამონაკლისია.

ბულგარეთის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა, პროექტი უკვე დამტკიცებულიაო. მაგრამ რუსეთის მხარისთვის მათი არგუმენტები არასაკმარისი აღმოჩნდა. მათივე თქმით, ბულგარელები სხვადასხვა მიზეზებით აყოვნებდნენ პროექტის განხორციელებას, რომლის სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა რუსეთის ტერიტორიაზე. „ჩვენ ვერ დავუშვებთ, გაზსადენი მივიყვანოთ ბულგარეთის საზღვრამდე და შემდეგ ჩაიფუშოსო“, — განაცხადა რუსეთის მხარემ. ამით ხაზი გაუსვეს, რომ არ სურთ არასაიმედო პარტნიორებთან ჰქონდეთ საქმე. ამის გარდა, ევროკავშირის სანქციებით განაწყენებულმა რუსეთმა საპასუხო ნაბიჯი გადადგა. შედეგად, დაზარალდნენ ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით ბულგარეთი, რომელსაც იაფი გაზის გარდა ყოველწლიურად 400 მილიონი ევრო უნდა მიეღო ქვეყნის ბიუჯეტში.

გაზსადენი, რომელსაც აზალი შეთანხმებით თურქეთში ჩაიყვანენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქიდან განაწილდება ევროპის ქვეყნებში. საიმისოდ თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე აშენდება საცავი. ევროპის ქვეყნები გაზის საფასურს უკვე თურქეთთან შეათანხმებენ, რომელსაც მოლაპარაკებების შედეგად რუსეთისგან შეღავათიან ფასად მიიღებენ. უკვე საუბრობენ 6-პროცენტიან ფასდაკლებაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამხრეთელი მეზობელი ქვეყანა საკუთარ ეკონომიკას კიდევ უფრო განავითარებს და საერთაშორისო მასშტაბითაც ანგარიშგასაწევ ქვეყნად იქცევა. სავარაუდოდ, ალბათ, საბერძნეთთან, რომელთანაც დღემდე დაძაბული ურთირთობა აქვს ორად გახლეჩილი კვიპროსის გამო, სწორედ გაზსადენის მეშვეობით შეეცდება არსებული პრობლემების მოგვარებას. გაზსადენის გარდა, როგორც იუწყებიან, რუსეთი აპირებს, დაეხმაროს თურქეთს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში.

რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ნატოს წევრი ქვეყანა არაფრად აგდებს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს და ცდილობს, მჭიდრო, მათ შორის ეკონომიკური, ურთიერთობა დაამყაროს მტრად შერაცხულ ქვეყანასთან? ხომ არ გაჩნდა ბზარი ნატოს, ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის? თურქეთის მთავრობის პოზიცია გასაგებია, რომ ცდილობს ქვეყნის კიდევ უფრო გაძლიერებას და შანსებს არ უშვებს. ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთიც მომგებიან მდგომარეობაშია. იმის გარდა, რომ აფართოებს თავის პოლიტიკურ გავლენას, ეკონომიკურადაც იუმჯობესებს მდგომარეობას. ბულგარეთში გადაყვანი გაზსადენი 951 კმ გახლდათ, ხოლო თურქეთთან — 400 კმ. აქედან გამომდინარე, მოკრძალებული გათვლებით, 3 მლრდ დოლარს დაზოგავს, ეს ჯერ პროექტის ამოქმედებამდე.

ევროპის ქვეყნები და აშშ თავიანთ ურთიერთობას ავად თუ კარგად თავად მოაგვარებენ. ჩვენთვის, საქართველოსთვის, რისი მომტანია აღნიშნული პროექტი, ეს გახლავთ მთავარი საკითხი. რუსეთ-თურქეთის დაძმობილებით, ჩვენ, ფაქტობრივად, პირისპირ ვრჩებით (თუმცა, არც დღემდე იკლავდნენ თავს ჩვენზე ფიქრით უცხოელები) იმ პრობლემასთან, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება ჰქვია. გადავხედოთ ჩვენს უახლოეს მეზობლებს და დავრწმუნდებით. ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ, რომ მეზობელი აზერბაიჯანი რუსეთს არ დაუპირისპირდება. ეს 2007 წელსაც კარგად გამოჩნდა.

სამწუხაროდ, ვკარგავთ იმ ფუნქციას, რომლის გამოუყენებლობაც დიდი შეცდომაა. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს „აბრეშუმის გზის“ პროექტი, რომლის იდეითაც ჩამოვიდა საქართველოში ედუარდ შევარდნაძე. თუმცა იდეის ბოლომდე განხორციელება ვერ შევძელით. ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მონაკვეთის აშენების შემდეგ არათუ საქართველოს რკინიგზას, ფოთისა და ბათუმის პორტებსაც შეუმცირდებათ ტვირთბრუნვა. საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგია ტრანზიტულად გადიოდა. ატომური ელექტროსადგურის და გაზსადენის ამოქმედების შემთხვევაში, სამწუხაროდ, ამ ფუნქციასაც დავკარგავთ, რადგან, სავარაუდოდ, თურქეთი იაფი გაზის პირობებში არც თბოელექტროსადგურის აშენებაზე იტყვის უარს.

რა უნდა მოიმოქმედოს დღევანდელმა საქართველოს ხელისუფლებამ, მთავარ საკითხად რჩება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენგან არცთუ ისე შორს, ახლო აღმოსავლეთში გაგანია ომი მიმდინარეობს.

მართალია, თურქეთის მთავრობა ცდილობს, არ დაუშვას კონფლიქტის თავის ტერიტორიაზე გადატანა, მაგრამ საქართველოში ამ პრობლემას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ქვეყანაში, სადაც უცხოელთათვის შემოსვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ფრთხილად უნდა ვიყოთ. საქართველოში, სავარაუდოდ, არც ნატო-ს საწვრთნელი ბაზების განთავსება იქნება უსაფრთხო. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ალიანსის წევრი ქვეყანა უარს ამბობს, დამატებით განათავსოს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები. ერაყში საომარი მოქმედებებისას იგივე თურქეთმა არ დაუთმო ალიანსის ქვეყნებს არც სახმელეთო და არც საჰაერო დერეფანი. კვლავ გავიხსენოთ 2008 წელი, როდესაც თურქებმა არ გამოატარეს ამერიკული გემი, რომელსაც ჰუმანიტარული ტვირთი, პამპერსები და წყალი მოჰქონდა.



ზემოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება ვახსენეთ, სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი არა, არსებობს საშიშროება, კიდევ არ დავკარგოთ, პირდაპირ ვთქვათ, ყველა ჩვენი მეზობელი მზად არის და ცდილობს, წაგვგლიჯოს ტერიტორიები. ზოგიერთს სასაცილოდ მოეჩვენა კოკოითის განცხადება, ყაზბეგის და თრუსოს ხეობა „სამხრეთ ოსეთს“ ეკუთვნისო. იმ ადამიანისგან ყოველგვარი მზაკვრობა მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენ რას ვუპირისპირებთ მსგავს შემოტევებს?

ჩვენ ხშირად ზოგიერთ ქვეყანას მეგობარს ვუშოდებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, გვავიწყდება, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს. გავიხსენოთ თუნდაც უკრაინა, სადაც ინტერპოლის მიერ ძებნილ საქართველოს ორ მოქალაქეს თავიანთ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებს სთავაზობდნენ. არათუ თანამდებობაზე დანიშვნა, მათი ქვეყანაში ყოფნაც კი გახდებოდა საერთაშორისო სკანდალის მიზეზი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას არც გაუპროტესტებია, თუნდაც იგივე ნატოს ასამბლეაზე, რომელიც იმ დროს იმართებოდა.

„თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდის“ წოდება პოლონელებმა მიანიჭეს... მიხეილ სააკაშვილს! მათი გადმოსახედიდან თუ საკუთარი ტერიტორიების გასხვისებაა თავისუფლებისთვის ბრძოლა, თუ ქუჩაში ასობით ადამიანის მკვლელობაა რაინდობა, თუ საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტის საკუთარ ჯიბეში ჩაჩხრიალებაა გმირობა, მათი ნება იყოს. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, როგორც პოლონელების, აგრეთვე ჩვენი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან. ელჩის გამოწვევა, საპროტესტო ნოტის გაგზავნა თუ არა, ეგებ, შეშფოთებულ-აღშფოთებულიყვნენ მაინც. ჩვენ უკრაინას, პოლონეთს სტრატეგიულ პარტნიორებად ვთვლით, მაგრამ ზურგს უკან რა ფარსაგს გვიმზადებენ, ეშმაკმა უწყის.

**გია ბურდული**
551 712 707

**გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:**

# ქართულ დიპლომატიას ინტელექტის მწვავე დეფიციტი აქვს

**— ბატონო სოსო, ჩვენი საგარეო პოლიტიკა ჩიხში შევიდა. არ წყდება შეშფოთებები საგარეო კურსის შეცვლის საფრთხესთან დაკავშირებით. ხელისუფლების რიტორიკა არაფრით განსხვავდება „ნაციონალების“ რიტორიკისგან. რეალურად, საით არის მიმართული ჩვენი საგარეო ვექტორი, გვაქვს რამე მიმართულება, თუ ერთ ადგილს ვტკეპნით?**



— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საგარეო პოლიტიკაში, ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. უბრალოდ, საზოგადოებასთან კონსენსუსის გარეშე, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მხოლოდ იმპულსები იყო. „ნაცმოძრაობამ“ მთელი თავისი კაპიტალი გამოიყენა, რასაც საზღვარგარეთ ცხრა წლის მანძილზე აგროვებდა და უცებ, ახალი ხელისუფლების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, გენერალური შეტევა განახორციელა. ივანიშვილის იმდროინდელმა ფავორიტმა მრჩევლებმა, საგარეო პოლიტიკის დარგში, არაერთი მცდარი განცხადება გააკეთეს. მაგალითად, აბსოლუტურად უადგილო იყო პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივა რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, რასაც აზერბაიჯანი „ხიშტებზე შეხვდა“. მთელი უბედურება და პრობლემა ის იყო, რომ ივანიშვილმა სპონტანურად შეკრიბა არა გამოცდილ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, მკვლევართა არმია, არამედ პოლიტიკური მხარდამჭერები, რომელთა უმეტესობა მედროვე აღმოჩნდა. ანუ, არაპროფესიონალთა სახალხო ლაშქარი შეკრიბა, რომელთა განცხადებები ცეცხლზე ნავთს ასხამდა. სწორედ ამ პერიოდში გააკეთა ბჟეზინსკიმ უცნაური, სენსაციური განცხადება — საქართველომ თავისი საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეცვალაო. ამ დროს მსგავსი არაფერი ყოფილა. გახსოვთ, ალბათ, ქარიშხალი ჭიქაში ივანიშვილის საკმაოდ ნორმალური განცხადების გამო ევრაზიის კავშირთან დაკავშირებით. მას არ უთქვამს, ევრაზიის კავშირში მივდივართო, არამედ თუ ეს საქართველოსთვის სასარგებლო აღმოჩნდება, დავფიქრდეთო. აქ, თუ საკვანძო სიტყვა იყო, მაგრამ „ნაციონალებმა“ ერთი ამბავი ატეხეს ივანიშვილი რუსეთთან, ევრაზიის კავშირში მიდისო.

**— ბატონო სოსო, რაშია ქართული დიპლომატიის ძირითადი პრობლემა?**

— ახალმა ხელისუფლებამ იგივე ფოცხს დააბიჯა, რაზე სიარულითაც 9 წელიწადი ტერფები დაგვისისხლიანეს, ესაა შეუსრულებელი დაპირებები ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანებაზე და ა.შ. ამ მიმართულებით, ერთადერთი მნიშვნელოვანი პროგრესი, ასოცირების ხელშეკრულება იყო. ქართულ დიპლომატიას იმის გამბედაობაც არ ეყო ეღიარებინა, რომ ეს უკრაინის პროცესების შედეგი იყო. გარდა ამისა, აღმოსავლური პარტნიორობის პოლიტიკა რეალური კრახის წინაშე აღმოჩნდა. ექვსი წევრიდან, საბოლოოდ, დასავლეთს ხელში ორი ღატაკი ქვეყანა მოლდოვა და საქართველო შერჩა და ერთიც დაშლის პირას მდგომი, რუსეთის აგრესიის მსხვერპლი სახელმწიფო — უკრაინა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, საჭირო იყო კრეატიული გადაწყვეტილებები და არა საბჭოთა დროინდელი პროპაგანდა. გადახედეთ, ბიოგრაფიებს — რამდენ ექსპერტს და პოლიტოლოგს აქვს პროფესიული, საბაზისო განათლება?! ეკონომისტით დაწყებული სანტექნიკოსით დამთავრებული ყველა ექსპერტი, პოლიტოლოგი და საგარეო საქმის სპეციალისტი გახდა. ხელისუფლება ერიდება ქირურგიულ ჩარევებს იქ, სადაც უკვე ცხადია, რომ თერაპიამ არ გაამართლა, მხედველობაში მაქვს, საკადრო ცვლილებები.

**— როგორ ფიქრობთ, რომელ უწყებებში არ გაამართლა თერაპიამ ყველაზე მეტად?**

—რა დიდი შესწავლა და კვლევა უნდა იმას, რომ მეცნიერებისა და განათლების მინისტრი მოვალეობებს თავს ვერ ართმევს. ელემენტარულად, ზამთარია და თბილისის სკოლებში გათბობა არაა, რაიონის სკოლებში კი წყალიც არ არის. პროფესიონალიზმზე აღარავინ ლაპარაკობს. ბუღალტერი მეცნიერებასა და განათლებას ხელმძღვანელობს, იმპრესარიო — კულტურის სამინისტროს, ასევე, მთავრობაში გვყავს კომივოიაჟერი და ა.შ. ასეთი საკადრო კოქტეილი არსად მსმენია. აღარაფერს ვამბობ ოფიციალურად გაკეთებულ განცხადებებზე — თურმე, მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო უცხოეთში ვიზიტებისას „ნაციონალების“ საქმეს აკეთებდა. ამ დროს, მინისტრის მოადგილე მინისტრი ხდება. რა გამოდის — ბერუჩაშვილი ფანჯიკიძეს ოპოზიციაში ედგა? ალასანიას მაპროვოცირებელი ნაბიჯი რომ არა, ხომ არაფერი შეიცვლებოდა? ალასანიას მინისტრად დატოვება აღარ შეიძლებოდა, მან პრემიერს სხვა არჩევანი არ დაუტოვა. ეს მოფიქრებული გეგმის შედეგი კი არ იყო, არამედ საპასუხო სვლები, რეაქტიული პოლიტიკა. ამიტომ, გასაკვირი სულაც არაა ასეთი გამოწვევების წინაშე რომ აღმოვჩნდით.

**— ერთ-ერთი გამოწვევა ლარის კურსის კატასტროფული ვარდნაცაა.**

— მთავრობა აცხადებს, პანიკა არ იყოს, თორემ უარესი მოხდებაო. გავოცდი, როდესაც ეკონომიკის მინისტრმა ეს განაცხადა. პანიკას ცხოვრების დონე იწვევს, მისგან თავშეკავება განცხადებებით რომ შეიძლებოდეს, მაშინ პანიკა საერთოდ არ იარსებებდა. პანიკას განცხადება კი არ იწვევს, არამედ ცარიელი მაცივარი, ცარიელი ჯიბე და ოჯახში დამშეული ბავშვები. ამიტომ, საით მივდივართ, რთული სათქმელია. რასაკვირველია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ უნდა შეიცვალოს, ვექტორი მყარად პრო-დასავლური უნდა იყოს, მაგრამ ბალანსის დაცვა აუცილებელია. როგორ ფიქრობთ, ყაზახეთის კურსი პრო-დასავლურია თუ პრო-რუსული?

**— ალბათ, ბალანსირებული.**

— დიახ, ბალანსირებულია. ერთი მხრივ, ყაზახეთს ამერიკასთან გაცილებით მჭიდრო სამხედრო ურთიერთობები აქვს, ვიდრე საქართველოს. მეორეც, ყაზახეთი ევრაზიის, ოდეკებეს და სნგ-ს კავშირის წევრია. ნაზარბაევი ყაზახეთის ეროვნულ ინტერესებს არ თმობს. იგი მშვენივრად ახერხებს გარეგნულად პრო-რუსული კურსით ეროვნული ინტერესების დაცვას და ამავდროულად, დასავლეთთან, ამერიკასთანაც მშვენიერი ურთიერთობა აქვს. იგი რუსეთს ზედაც არ უყურებს ისე ხსნის ახალ-ახალ მარშრუტებს დასავლეთისკენაც და ჩინეთისკენაც. არადა, ნაზარბაევი სიტყვით პუტინს სულ ძმობას ეფიცება და ეუბნება: დედაქალაქიც იმიტომ გადმოვწიე, რომ მინდა რუსეთთან ახლოს ვიყოო. სინამდვილეში, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება აღმოსავლეთსაც, ჩინეთსაც, ევროპასაც, ამერიკასაც. რაც შეეხება ჩვენს საგარეო პოლიტიკას, პირველ რიგში, ინტელექტი აკლია. გამოდის, ბერუჩაშვილი ჩუმად, ალასანიასაც და ფანჯიკიძესაც ოპოზიციაში ედგა. ეს კითხვები პასუხებს ითხოვს. ამიტომ, თქვენს მთავარ შეკითხვაზე — საით და რატომ მივდივართ, ერთ რამეს ვიტყვი — დღეს, ჩვენ, არსაით არ მივდივართ. საითაც სულით და გულით გვინდა წავიდეთ, იქ არავინ გვიღებს, არ გვიხუტებენ; საითკენაც წასვლა აუცილებელია, იქით, რატომღაც, ნაბიჯის გადადგმას ვერ ვბედავთ. გუშინ ერთმა თქვენმა კოლეგამ გამაბრაზა, მკითხა — რა უნდა ქნას ჩვენმა მთავრობამ რომ ანალოგიური ხელშეკრულება ცხინვალთანაც არ გაფორმდესო. ეს ხომ სასაცილოა. იძახიან, ევროპასთან ურთიერთობა უნდა გააქტიურდესო. მეტი რაღა უნდა გავაქტიურდეთ, უკვე მთელი ქვეყანა ყურებზე დგას ნატოს და ევროკავშირის მოლოდინში. კი ბატონო, ჩვენი მინისტრი შეხვდა რასმუსენს, რა წამოიღო იქედან? — რაც წაიღო ის, ხომ?! ერთი რამ მიკვირს, ნუთუ ჩვენთან პროფესიონალიზმი საერთოდ გაქრა ან ყველა ისეა შეშინებული და დამფრთხალი, რომ ვერავინ ბედავს რეალობის სწორად შეფასებას? ნატოში უახლოეს მომავალში, ჩვენ, არავინ მიგვიღებს იმიტომ, რომ თავად ნატოს წესდება არ იძლევა ამის უფლებას. მეხუთე პუნქტში წერია: ნატოში ვერ გაწევრიანდება ქვეყანა, რომელსაც მეზობლებთან სადაო ტერიტორიული პრობლემები აქვს. 2008 წლის ომამდე სადაო ტერიტორიული პრობლემა არავისთან გვქონია. იმიტომ, რომ მაშინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთიც ოფიციალურად აღიარებდა. ახლა, რუსეთთან ტერიტორიული დავა გვაქვს. თანაც არა ისე, როგორც ეს უნგრეთის შემთხვევაში იყო, მას სადაო ორი-სამი სოფელი ჰქონდა და დათმო, რადგან სხვაგვარად ნატოში არ ღებულობდნენ. ჩვენ კი ტერიტორიის 20% გვაქვს ოკუპირებული და დეოკუპაციას ვითხოვთ. გარდა ამისა, რუსეთთან ომის შემდეგ საომარ მდგომარეობაში ვართ. ჩვენ გაფორმებული გვაქვს მხოლოდ ცეცხლის დროებით შეწყვეტის ხელშეკრულება, ზავი ჯერაც არ დაგვიდია. ვინ მიიღებს ასეთ ქვეყანას ნატოში, ვინ მისცემს ხმას? კარგით, ვთქვათ, ამერიკა დათანხმდა. მაგრამ ბალტიისპირეთის გარდა, განა სხვა რომელი ქვეყანა დაგვიჭერს მხარს — გერმანია, იტალია, თუ საფრანგეთი? სხვა არავინ დაგვიჭერს მხარს, ეს გამორიცხულია. შექმნილია თავის მოტყუების რეჟიმი. რასაკვირველია, ნორმალური ადამიანისთვის თვეში ერთხელ ევროპაში ვიზიტები სჯობს, ვიდრე რუსეთში. ქართველ ჩინოვნიკთა მინიმუმ 10-15% ყოველდღე მთელი წლის მანძილზე უცხოეთშია მივლინებით. თანაც, სადაც საჭიროა სამი კაცის წასვლა, იქ 10-15 კაცი მიდის. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მახსენდება, ხელის მოსაკიდი აღარ დარჩა რომ გავყოლოდითო. ვიმეორებ, ქართულ დიპლომატიას ინტელექტის მწვავე დეფიციტი აქვს. მანახეთ, ქართულ ან უცხოურ პრესაში, რომელიმე ქართველი დიპლომატის სერიოზული ანალიტიკური წერილი. ფანჯიკიძისგან ერთი გამართული წინადადება არ მომისმენია.





**— ბატონო სოსო, თქვენ ბრძანეთ, რომ ნატოში არავინ მიგვიღებს. ამის მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ინტერესები რუსეთის ინტერესებთან იკვეთება?**

— რასაკვირველია. საკითხი მარტივად არ დგას. იმიტომ, რომ მაქსიმუმ ორი წლის მერე, სანქციები ნებისმიერ შემთხვევაში გაუქმდება. სხვათა შორის, ერთ-ერთი კვლევის თანახმად რუსეთის მოსახლეობის 58% 2018 წელს პუტინის მეოთხე ვადით არჩევას უჭერს მხარს. იცით რატომ? — პუტინის შემცვლელი თეორიულადაც კი სხვა არავინაა. რუსული პოლიტიკა დღეს აბსოლუტურად უდაბნოა, სადაც პუტინი ერთი კაქტუსივით გაიზარდა. პუტინის რუსეთთან ურთიერთობა ყველა შემთხვევაში მოგვიწევს. როდემდე შეიძლება რუსეთს ჯიუტად ვაქცევდეთ ზურგს?„კი ბატონო, ვინ ამბობს უარს ნატოზე ან ევროკავშირზე, მაგრამ რომ არ გვღებულობენ? რამდენი თაობა უნდა შეეწიროს კიდევ ამ მოლოდინს? ჩემი სტუდენტობის წლებში მოსკოვში ლომონოსოვის უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, მახსოვს, ასმეტრიანი პლაკატი იყო გაკრული, ლოზუნგი — მომავალი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში. მაშინ, ჩვენც გავაკრათ სადმე პლაკატი ლოზუნგით — მომავალი თაობა იცხოვრებს ევროკავშირში, ხოლო ეს თაობა ჩამოვწეროთ. ჩემი ასაკის ხალხი უკვე ჩამოწერილია. მომავალი თაობის საკეთილდღეოდ რომელიც ჯერ არ დაბადებულა, დღევანდელი თაობა შევწიროთ? ეს უკვე სუფთა კომუნისტური პროპაგანდაა, რომ ჯერ არდაბადებულმა ადამიანმა კარგად უნდა იცხოვროს, ხოლო ვინც დღეს ცხოვრობს, ის შიმშილით მოკვდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა...

**„საერთო გაზეთს“ სასამართლოს მიერ „განკულაკებული“ დიანა მეტოქსოპულოს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მამუკა ტივიშვილი ესაუბრა.**



- დიანა მეტოქსოპულოსა და ნოდარ ჭკუასელს შორის 2012 წლის 22 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება, უძრავი ნივთის ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით, რომელიც დამოწმდა ნოტარიუს ელისო შიხიაშვილის მიერ. კერძოდ, გამოსყიდვის უფლებით 31.000 აშშ დოლარად გაიყიდა თბილისში, შიო მღვიმელის ქუჩაზე მდებარე, ნოდარ ჭკუასელის კუთვნილი ბინა, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა შეიძინა. ეს არის ნასყიდობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს. პირი ყიდის საკუთარ უძრავ ქონებას, რომელიც შეუძლია ექვსი თვის შემდეგ იმავე ფასში გამოისყიდოს, ქონება ფორმდება მყიდველზე, მაგრამ შეზღუდული უფლებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მას არ შეუძლია ეს ქონება გაყიდოს, იპოთეკით დატვირთოს ან დააგირავოს. თუ ვადის გასვლის შემდეგ ე.წ. გამყიდველმა ვერ შეძლო ხსენებული ქონების გამოსყიდვა, იგი საბოლოოდ გადადის მყიდველის მფლობელობაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ერთი სიტყვით, მეტოქსოპულოსა და ჭკუასელს შორის გაფორმდა ხსენებული ფორმის ხელშეკრულება და გამოსყიდვის ვადა სამი თვით განისაზღვრა. ნოდარ ჭკუასელის თხოვნით, 2012 წლის 22 ნოემბერს ეს ვადა კიდევ სამი თვით გაგრძელდა, რაზეც შედგა ნოტარიულად დამოწმებული შესაბამისი ხელწერილი და ქონების გამოსყიდვის ახალ ვადად 2013 წლის 20 თებერვალი განისაზღვრა. ჭკუასელის თხოვნით, ეს ვადა კიდევ ერთხელ გაგრძელდა. ჭკუასელმა ვადის გაგრძელების გარდა დიანა მეტოქსოპულოს 4.000 დოლარის დამატებაც სთხოვა, ბინა ძალზე სარემონტოა, სასურველ ფასად ვერ ვყიდი, რომ თანხა დაგიბრუნოთ, ეს თანხა შესარემონტებლად მჭირდებაო. დიანა მეტოქსოპულო წმინდა ადამიანური და მორალური ფაქტორებიდან გამომდინარე, ამ შეთავაზებაზე დათანხმდა. დამატებითი თანხის გადაცემის და ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელების ფაქტის ნამდვილობა, დადასტურებულია თავად ნოდარ ჭკუასელის მიერ მომზადებული და ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილით. საბოლოო გამოსყიდვის თანხად განისაზღვრა 35.000 აშშ დოლარი, ხოლო გამოსყიდვის საბოლოო ვადად ნოდარ ჭკუასელმა თავისივე ხელწერილში მიუთითა 2013 წლის 5 აგვისტო, თუმცა მან არათუ არ გადაუხადა ეს თანხა მეტოქსოპულოს, არამედ უარი განაცხადა ხსენებული ბინიდან გასვლაზე. ქალბატონი დიანა თავის მრავალსულიან ოჯახთან (12 ადამიანი) ერთად დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან და ჭკუასელის ცინიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იგი იძულებული გახდა განცხადებით მიემართა პოლიციისთვის, რათა კანონიერი ფორმით მომხდარიყო კუთვნილი ბინის გადაცემა. განცხადების პოლიციაში შეტანის შემდეგ ნოდარ ჭკუასელმა კვლავ სთხოვა დიანა მეტოქსოპულოს, რომ გარკვეული პერიოდი მიეცა, სხვა ბინაში გადასასვლელად. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ჭკუასელმა ეს დრო ისევ მეტოქსოპულოს წინააღმდეგ გამოიყენა, იმის მაგივრად, რომ სადავო ბინის მყიდველი მოეძებნა, რომელიც ქალბატონ დიანას შეთავაზებულ თანხაზე მეტს გადაუხდიდა, თვითონ მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს და ცინიკურად მოითხოვა ხსენებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ეს თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგება იყო. ეს ბინა კი არის პრესტიჟულ უბანში, მაგრამ, როგორც გითხარით ძალზე სარემონტოა, დაახლოებით 15.000 დოლარი მაინც ჭირდება, რომ ნორმალური სახე მიიღოს, აქედან გამომდინარე არავინ გადაიხდის იმ თანხას, რისი სურვილიც ჭკუასელს აქვს. მხარეთა შორის დადებული გარიგება სრულად მოიცავს მხოლოდ იმ ნებას, რაც უძრავი ნივთის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებაშია მითითებული და დამოწმებულია ნოტარიულად, ის ასევე რამდენჯერმეა გაგრძელებული მხარეების მიერ და ნოდარ ჭკუასელმა რატომღაც მხოლოდ გამოსყიდვის ყველა ვადის ამოწურვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ თურმე აიძულეს, თანაც ნოტარიუსის თანდასწრებით სესხის ხელშეკრულების ნაცვლად გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. თურმე ეს ყოფილა თვალთმაქცური გარიგება, სინამდვილეში სესხზე შევთანხმდით, სასეხო ურთიერთობა იყო, მაგრამ გაფორმდა, როგორც გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებაო. ნოტარიუსი, როცა რაიმე ხელშეკრულებას აფორმებს, ის ყოველთვის უხსნის მხარეებს მის არსსა და შედეგს. საკითხის იმგვარად დაყენება, რასაც ჭკუასელი აკეთებს, არის კატეგორიულად მიუღებელი, რადგან ეს აუფასურებს ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტს.

მიუხედავად ყველა მტკიცებულებისა და დოკუმენტისა, რომლითაც დასტურდება უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის პირობით, მოსამართლე ზაზა მარტიაშვილმა გაუგონარი დამოკიდებულება გამოავლინა, მან ჩემი დაცვის ქცეშ მყოფისგან მოითხოვა იმ მოტივის დასაბუთება, თუ რა სარგებელს ელოდებოდა დიანა მეტოქსოპულო ხსენებული გარიგებიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე მუხლებს უთმობს გამოსყიდვის პირობით დადებულ გარიგებას. ამ მუხლებში კანონმდებელი არსად ითხოვს გარიგების მოტივის დასაბუთებას, კანონმდებლობაში არსადაა მითითებული, რომ ნასყიდობის თანხის განსაზღვრისას მყიდველმა რაიმე კონკრეტული დათქმა უნდა გააკეთოს რატომ გასცემს ამ თანხას, რა სარგებელი აქვს, ეს მხოლოდ მხარეების გადასაწყვეტია. მოსამართლე ზაზა მარტიაშვილმა იმის მაგივრად, რომ ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებით, რომელიც ნიშნავს მხარეების გამოკვეთილ, დასაბუთებულ ნებას, სვამს ალოგიკურ კითხვებს. მოსამართლეს რა თქმა უნდა აქვს უფლება კითხვები დასვას და გაარკვიოს სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ კითხვის მიზანი კონკრეტული მხარის ასე ვთქვათ, გამოჭერა არ უნდა იყოს, რომ იქნებ რამენაირად აღიაროს სესხი გაცემა, ანუ მოსამართლეს ჩასაფრებულის პოზიცია არ უნდა ჰქონდეს. მოსამართლის ინტერესი არ უნდა იყოს მისთვის და მეორე მხარისთვის სასურველი პასუხის მიღება, ეს ობიექტური კი არა, მიკერძოებული მოსამართლის პოზიციაა.



**- იქნებ უფრო დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობთ მოსამართლის მიერ დასმული კითხვების ალოგიკურობაში.**

- რა ინტერესი ჰქონდა მეტოქსოპულოს 31.000 დოლარად რომ აფორმებდა ხსენებულ ხელშეკრულებასო, როგორც გითხარით, ეს მხარის გადასაწყვეტია და კანონმდებლობაში არსად წერია, რომ მაინც და მაინც ინტერესი უნდა ყოფილიყო ჩადებული, ამ ადამიანს შეიძლება ფულის შენახვა უნდოდა, რომ არ დახარჯვოდა, ქონებაში გაანივთებდა ამ თანხა და ა.შ. რატომ გაუკვირდა მოსამართლეს ამგვარი გარიგება და დაინტერესდა მხარის სარგებლით ვერაფერს მოგახსენებთ, უცნაურობაც ამაშია. ამგვარი გარიგებების დადება ძალზე ხშირია, არსებობს ამასთან დაკავშირებული უზენაესი თუ სააპელაციო განხილვის პრაქტიკაც, ანუ სასამართლოს არაერთხელ აქვს ნამსჯელი ამგვარ დავაზე, თუმცა მგავსი კითხვა, რა ინტერესი უნდა ჰქონოდა მყიდველს, არავის გასჩენია. კონკრეტული გარიგების შინაარსი, კონკრეტულ მიზეზს მოიცავს, მხარეთა უფლება-მოვალეობებშია გაწერილი და აღარ არის საკამათო, რატომ იდება ეს გარიგება. ეს მხარეების საქმეა და არა მოსამართლისა და ადვოკატის, რადგან ჩვენს გარეშე ხდება ამ გადაწყვეტილების მიღება, კონკრეტული გარიგება კანონიერი რომ არ ყოფილიყო, ნოტარიუსი არ დაამოწმებდა. ერთი სიტყვით, მოსამართლე ზაზა მარტიაშვილმა ბათილად სცნო ნოტარიულად დამოწმებული ნასყიდობა გამოსყიდვის პირობით, რითაც ცალსახად დაარღვია სამოქალაქო კოდექსის არამარტო კონკრეტული ნორმები, არამედ სამოქალაქო გარიგებებისთვის დადგენილი ნების თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპები, რაზეც დგას მთელი სამოქალაქო სამართალი. თუ ხსენებული მოსამართლის მსჯელობას გავყვებით, მივიღებთ აბსურდულ დასკვნას, გამოდის, რომ ყველა ნასყიდობის გარიგება, რომელიც დადებულია გამოსყიდვის პირობით, გაბათილებას ექვემდებარება. თუ ასეთი პრეცედენტი შეიქმნა, ხვალ და ზეგ ყველა მსგავსი გარიგება შეიძლება სერიოზული დავის საგანი გახდეს, რაც გამოიწვევს ქაოსს და შეიძლება სისხლისღვრაც მოყვეს. თუ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მსგავსი არაადექვატური გადაწყვეტილება შეიძლება ნებისმიერისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, ანუ პირს, რომელსაც დადებული ჰქონდა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, ძალიან მარტივად შეუძლია სასამართლოს მეშვეობით ეს გარიგება სასესხო ურთიერთობად გადააქციოს, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა აქვს, სულ სხვა ფუნქცია და თვისებები. იმ მესაკუთრის ინტერესები, რომელსაც ნასყიდობა-გამოსყიდვის გარიგების ჰქონდა შეძენილი ქონება, ფეხქვეშ გაითელება, მას სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენებენ, როგორც ეს დიანა მეტოქსოპულოს შემთხვევაში ხდება. მოსამართლე ზაზა მარტიაშვილის გადაწყვეტილებით, თურმე ხსენებული გარიგება ყოფილა თვალთმაქცური და ორივე მხარემ სასესხო ურთიერთობისთვის განკუთვნილი ნორმებით უნდა იხელმძღვანელონ, ანუ ქალბატონმა დიანამ, როგორც გაცემულ სესხზე, ისე უნდა იდავოს, რაც ფაქტობრივად ამ თანხის დაკარგვას ნიშნავს. მოსამართლემ ბათილად ცნო ხსენებული ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, თუ სადავო ბინა ისევ ჭკუასელზე გადაფორმდა, მას შეუძლია მეორე დღესვე გაყიდოს ან სხვა პირზე გადააფორმოს ეს ქონება და ჩათვალეთ, რომ ეს თანხა არც დაუბრუნდეს მის პატრონს, ანუ მოსამართლე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აკარგვინებს 35.000 დოლარს, რომელიც შეიძლება ითქვას, თავისი კეთილშობილური საქციელის მსხვერპლია. თუ ეს სესხი იყო, რომელი ჭკუათმყოფელი გასცემდა ამხელა თანხას დაბრუნების უზრუნველყოფის გარეშე, ანუ ბინა იპოთეკით დაიტვირთებოდა, ეს ბინა კი არ არის იპოთეკით დატვირთული, რადგან სესხი არ ყოფილა. ვიმეორებ, მოსამართლე გასცდა ჯანსაღი მსჯელობის ფარგლებს და მოითხოვა იმის დასაბუთება, რის დასაბუთებასაც კანონი არ ითხოვს, საქმის განხილვისას მოსამართლის მხრიდან გამოიკვეთა ცალსახა მიკერძოება ნოდარ ჭკუასელის სასარგებლოდ. მართალია, მოსამართლის ეს პოზიცია ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს, მაგრამ იურისტი ვარ და რასაც ვერ დავამტკიცებ, იმ საკითხზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

რაც შეეხება ნოდარ ჭკუასელს, მისი მხრიდან თაღლითური განზრახვის ნიშნები იკვეთება, მაგრამ ჯერ არ მინდა სისხლის სამართლებრივი წესით ვიდავოთ, მერჩია სამოქალაქო წესით მიგვეღწია ობიექტური შედეგისთვის. ნოდარ ჭკუასელმა კარგად იცის, რომ არ არსებობს არგუმენტი, რომლითაც შუძლია დაასაბუთოს თავისი უსაფუძვლო მოთხოვნა, თუმცა ეს დავა კარგ საშუალებას უქმნის, რომ ხსენებული ბინიდან გასვლის პროცესი დროში გაწელოს, თანაც იმ დროს, როდესავ დიანა მეტოქსოპულოსა და მის მრავალსულიან ოჯახს საკუთარი ჭერი არ გააჩნია და დღესაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ამ საკითხზე დავას აუცილებლად გავაგრძელებთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, როგორც კი ჩაგვბარდება, სააპელაციო სასამართლოში სრულად დასაბუთებულ საჩივარს შევიტანთ, დიდი იმედი მაქვს, რომ ობიექტური და კანონიერი შედეგის დადგომას მივაღწევთ, რადგან სააპელაციო სასამართლოში სამი მოსამართლე განიხილავს საკასაციო საჩივრებს, ერპიროვნული გადაწყვეტილების მიღება არ ხდება. ვფიქრობ, თავმოყვარე, ღირსეული მოსამართლეები მსგავსი მიდგომებს არ გამოავლენენ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მოხდა, დაუშვებელია ადამიანმა, რომელიც მართლმსაჯულებას წარმოადგენ, ასეთი გამოკვეთილი უკანონობა ჩაიდინო.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

***P.S. სამწუხაროდ, წერილზე მუშაობისას, რესპონდენტის მიერ დასახელებულ პირებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ჩვენ მზად ვართ მათი სურვილის შემთხვევაში ადგილი დავუთმოთ მათ კონტრარგუმენტებს.***

*მ.ს.*

# დოლარის გამყარება მსოფლიოში მიმდინარე პროცესიების ანარეკლია



ვესაუბრებით ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ყოფილ ფინანსთა მინისტრს, ბატონ **დავით იაკობიძეს**.

**— ბატონო დავით, საქართველოში ლარის კურსის რყევამ დოლართან მიმართებაში, სერიოზული პანიკა გამოიწვია. თქვენი განმარტება როგორი იქნება ამ მხრივ?**

— დოლარის გამყარება დაიწყო მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბაზარზე მოხდა ნავთობის ფასების დაწევა. საერთოდ, ნავთობზე ფასები განისაზღვრება ფიუჩერული კონტრაქტებით, ანუ იდება კონტრაქტი, ხოლო თანხის გადახდა შემდეგ ხდება. ასეთი მეთოდით, როდესაც ნავთობზე ფასები ეცემა, დოლარი მიმოქცევიდან ამოდის. მსოფლიოში, **თუ დოლარზე გადავითვლით, ტრიალებს სულ 90 ტრილიონზე მეტი თანხა. აქედან 12 პროცენტი მოდის ნავთობზე, ამჟამად, როდესაც ნავთობის ფასი 1/3-ით შემცირდა, აქედან გამომდინარე, დოლარზე მოთხოვნა ამ სეგმენტში მსოფლიოში შემცირდა 5 ტრილიონით**. ამ პროცესს არ შეიძლებოდა, რომ სხვა ფულად რესურზებზე ზემოქმედება არ მოეხდინა, ე. ი. დოლარი გახდა უფრო იშვიათი, მისი მსყიდველობითი უნარი გაიზარდა და შესაბამისად, მსოფლიოში სულ 200-მდე ფული არსებობს, ყველას მიმართება დოლართან შემცირდა, ხოლო ყველას მიმართ დოლარის ფასი გაიზარდა — ეს ერთი.

მეორე, ფულის ბაზარს აქვს თავისი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. იცით, დოლარი რატომ არის მტკიცე ვალუტა? იმიტომ, **რომ ბანკი, რომელიც მისი ემიტენტია, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა, არ უშვებს დოლარებს მიმოქცევაში მისი ღირებულების დასაბალანსებლად**. ხომ ნახეთ, საქართველოში რა მოხდა, როდესაც ბანკებმა დაინახეს, რომ ლარის ღირებულება ეცემოდა, გამოიტანეს დოლარი და დაიწყეს ლარის შესყიდვა, რომ ლარი მიმოქცევაში შეემცირებინათ. ასეთ რამეს ამერიკის ბანკი არ აკეთებს, არ სჭირდება და **იმიტომ, მათ აქვთ დოლარი — მსოფლიო ფული! ასეთი რამ რომ გააკეთოს, მსოფლიოში ფულადი სისტემა საერთოდ დაინგრევა**. ასევე, ასეთ რამეს არ აკეთებენ ევროპული ბანკები — ევროსთან მიმართებაში. მსოფლიოში ხომ დღეს ორი სრულყოფილი ფული მოქმდეეებს — დოლარი და ევრო. რა თანაფარდობა აქვთ ერთმანეთთან? ეს გახლავთ მთელი მსოფლიოს დანარჩენი 200-მდე ფულის განმსაზღვრელი პროპორცია.

რა მოხდა ამჟამად? რადგან დოლარი ნავთობის შესყიდვის ძირითადი ვალუტაა და ნავთობის ფასის დაწევამ გამოიწვია მისი განმტკიცება, ფიუჩერულმა ანუ წინმსწრებმა ვაჭრობის მიდგომამ შექმნა ის დამოკიდებულება, რომ ევროს მიმართ ის განმტკიცდა. თუ ადრე ერთი ევრო უდრიდა ერთ მთელსა და ოთხ-ნახევარ დოლარს, ახლა ერთი ევრო გახდა ერთი მთელი და თვრამეტი მეასედი. შესაბამისად, საქართველო, როგორც ქვეყანა, წლის ბოლოს ბიუჯეტიდან დარჩენილი თანხებით შესყიდვებს ახორციელებს, ასევე ბიზნესმენები საახალწლოდ იმარაგებენ როგორც სასურსათო, ასევე სხვა საახალწლო პროდუქციას, აქედან გამომდინარე, მოთხოვნა დოლარზე გაიზარდა და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო იმ პროცესებს, რაც მსოფლიო პროცესების გავლენით ჩვენშიც მოხდა. მოხდა ის, რომ დაიძრა ლარი იმ შუალედისკენ, რომელიც მყარდება და არის დოლარსა და ევროს შორის. თუ ნახავდით, რა ღირს ლარი დოლარში და რა ღირდა ლარი ევროში და დოლარს გაყოფდით ევროზე, ნახავდით, რიმ ლარის თანაფარდობა ისეთივე იყო, როგორი თანაფარდობაც იყო დოლარსა და ევროს შორის. გარდა ამისა, საქართველოში ფულის ბაზრის რეგულირების პროცესი ცალმხრივია, აქ არსებობს მხოლოდ მონეტარული რეგულირება, ფისკალური რეგულირება ჩვენთან ვერ ხორციელდება. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ თავის დროზე **მიღებულია ქარტია მეწარმეობის თავისუფლებისა, სადაც ჩაწერილია, რომ ნებისმიერი საგადასახადო ცვლილებები მოითხოვს რეფერენდუმებს** — ამიტომ ეს ყველაფერი დაუშვებელია! აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრომ რომ გააკეთოს საგადასახადო პრეფერენციები ზოგიერთი ხასიათის პროდუქციაზე და ამით დაარეგულიროს ფული — ამას ის ვერ აკეთებს, ეს არის კანონმდებლური უფლება. ამის შემდეგ უკვე რჩება ეროვნული ბანკი, ახლა რა უფლება აქვს ეროვნულ ბანკს? **მას ერთი ვალდებულება აქვს, რომ უზრუნველყოს კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა. ე. ი. მან ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გააკეთოს ფულის კონვერტაცია. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკი უარს ამბობს ლარის საცვლელი კურსის სტაბილურობაზე და თავისუფალ მცურავ კურსს აღიარებს. თუ ის ამას აკეთებს, მის განკარგულებაში რჩება მხოლოდ მონეტარული პოლიტიკა**. ეს მონეტარული პოლიტიკა გახლავთ ბანკის საპროცენტო განაკვეთით არეგულიროს ფულის რაოდენობა. მაგალითად, დოლარის დეპოზიტზე თუ დადებთ თანხას, მას ექნება მხოლოდ 5 პროცენტი დანამატი, მაგრამ თუ ლარზე დადებთ თანხას, იქნება 10 პროცენტი დანამატი. 5 დოლარი თანაფარდობაში უდრის 10 ლარს. ეს ფაქტორები ერთად იყრის თავს და გამოდის შემდეგი: მსოფლიოში ნავთობის ფასის დაკლების გამო დოლარის კურსი იწევა, რაც გამყარებული პოზიციებიდან გამომდინარე, შემდგომში ზრდის დოლარზე მოთხოვნას საქართველოში და ჩვენს ქვეყანაში არსებულ დეპოზიტებზე საბანკო პროცენტის განაკვეთების ასეთი ასიმეტრიულობა განაპირობებს ლარის დღევანდელ მდგომარეობას.






სამწუხარო ფაქტია ის, რომ არასწორი განმარტებების გამო, ხალხში ატყდა აჟიოტაჟი, გაურკვევლობა, რამაც განაპირობა ის, რომ ზოგიერთმა მათგანმა შესაძლებელია, არასწორად წარმართა თავისი ფინანსური ოპერაციები.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

## სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ უკრაინაში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გოჩა ცოფურაშვილმა მონაწილეობა მიიღო კიევში, უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „აგრარული ბიზნესის წარმოება უკრაინაში: 2015 წლის პერსპექტივები“.

სამინისტროს ცნობით, კონფერენცია გახსნა უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის მინისტრმა, ალექსი პავლენკომ, რომელმაც თავის მისასალმებელ გამოსვლაში უკრაინის ეკონომიკაში აგრარული სექტორის როლზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა აგრარული მიმართულების მხარდაჭერის მნიშვნელობას.

„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გასავლელი გვაქვს რთული პერიოდი, განსაკუთრებით პირველი 3-6 თვე. თუმცა, ამასთანავე, ნათელია, რომ აგრარული სფერო უკრაინაში ნომერ პირველი ლოკომოტივია, ამიტომ ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას და გვერდში დავუდგებით აგრარული სექტორის წარმომადგენლებს“, - განაცხადა შეხვედრაზე უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის მინისტრმა, ალექსი პავლენკომ.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გოჩა ცოფურაშვილმა, რომელმაც თვის უკრაინელ კოლეგებს საქართველოს მიერ კორუფციასთან ბრძოლის საკითხში დაგროვებული გამოცილება გაუზიარა.

კონფერენციის მუშაობაში 300- ზე მეტი მონაწილე იყო ჩართული. კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ექსპერტებმა აგროსფეროში კრედიტების მიზიდვის შესაძლებლობები, მემცენარეობის ბაზრის განვითარების პერსპექტივები, რძის პროდუქციის ექსპორტის დინამიკა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.



# რუსეთი, აფხაზეთი და ქართული პოლიტიკის ახალი დღის წესრიგი

რატომ სურს რუსეთს აფხაზეთთან შეთანხმების ასე ფორსირებულად ხელმოწერა? ამ კითხვაზე ნოემბრის დასაწყისში ექსპერტები ერთი სიტყვით პასუხობდნენ — „სურკოვი“. ვლადისლავ სურკოვის დანიშვნა პრეზიდენტის თანაშემწედ, რომელიც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობას კურირებს, ნიშნავს — მოსკოვს სურს, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს აფხაზეთის რეფორმირება. ამ ფაქტს სარკასტულად ასე აფასებენ: ოკეანის ზვიგენი პატარა წყალსატევში გაუშვეს. ბუნებრივია, რომ ის ყველაფრის სწრაფად და ეფექტიანად შესრულებას შეეცდება, რომ მშობლიურ გარემოს დაუბრუნდეს.

## საქართველოს საშინაო პოლიტიკის წანამძღვრები, აფხაზეთი და თბილისის ახალი დღის წესრიგი

მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ხელმოწერილმა შეთანხმებამ საქართველოში შიდაელიტური კონფლიქტის ესკალაცია გამოიწვია. ნოემბრის დასაწყისში პოლიტიკური კრიზისი დადგა: პრეზიდენტმა, მთავრობამ, პარლამენტმა და არაფორმალურმა აქტორებმა 2016 წლის არჩევნებისთვის მზადება დაიწყეს.

ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი ახლანდელი პრობლემები მათი ბრალი როდია. რაც არ უნდა მოინდომონ, რომ სააკაშვილი განტევების ვაცად არ იქცეს, მან და მისმა გუნდმა ხელისუფლების კრიზისის საფუძვლები ჯერ კიდევ 2010 წელს შექმნეს — მაშინდელი მმართველი ძალა და მისი ლიდერი 2013 წლის არჩევნებისთვის ემზადებოდნენ — გადაწერეს კონსტიტუცია და ძლიერი პრეზიდენტის უფლებამოსილებები პრემიერს გადასცეს. მიხეილ სააკაშვილს ქვეყნის მართვის გაგრძელება სურდა და ვენეციის კომისიის უარყოფითი დასკვნა არად ჩააგდო.

კონკურენტულ ქართულ პოლიტიკაში სიურპრიზი გაჩნდა. მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ჩამოყალიბებულმა ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

სააკაშვილი ერთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში კვლავ პრეზიდენტად რჩებოდა და მისი შეხვედრა პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან ფოტოგრაფებისთვის მოვლენა ხდებოდა, პროტოკოლის მიღმა კი ქართული პოლიტიკის ორი პირველი პირი ერთმანეთზე რას არ ამბობდა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა დაამარცხა სააკაშვილის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი, რომელიც პრეზიდენტის მარჯვენა ხელი იყო, ხოლო საზოგადოებაში ორმაგი სახელი ჰქონდა. ერთი მხრივ, მას უკავშირდებოდა ანტიკორუფციული და საპოლიციო რეფორმები; მეორე მხრივ კი, იგი 8 წელი ედგა სათავეში შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც მიტინგებს ძალისმიერი მეთოდებით არბევდა, მერაბიშვილს ბრალად ედება ამომრჩეველთა მოსყიდვა და იმ ადამიანის მკვლელობის ორგანიზებაც, რომელმაც მის ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა.

## არის თუ არა რუსეთი საფრთხობელა

დაპირისპირებული ელიტის შერიგებასთან დაკავშირებით არსებობს ცნობილი მაქსიმა — გარეშე მტერი აერთიანებს. რუსეთმა თავდაპირველად გააერთიანა ქართული ელიტა. საზოგადოებისთვის რუსეთთან ურთიერთობა, პრობლემების სიაში მესამე ადგილზეა, ფასების მატებისა (17 პროცენტი) და მცირე ხელფასის (17 პროცენტი) შემდეგ: რესპონდენტთა 13 პროცენტს ეს ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია. თუმცა, როცა ლაპარაკია ეროვნულ საფრთხეზე, რუსეთი პირველ ადგილზეა — რესპონდენტთა 50 პროცენტი რუსეთს საფრთხედ მიიჩნევს, 32 — გაზვიადებულად და მხოლოდ 13 პროცენტი ფიქრობს, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან არანაირი საფრთხე არ არსებობს.

სწორედ ციფრებში უნდა ვეძებოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების ტენდენცია: ქართველთა 74 პროცენტს არ აკმაყოფილებს ორ ქვეყანას შორის არსებული ახლანდელი ვითარება.

## შიდაპოლიტიკური ბატალიები

ამ ყველაფრის ფონზე პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომის გამართვა (ანალოგიური სტრუქტურა პრემიერ-მისტრსაც აქვს) და სხდომაზე მთავრობის ხელმძღვანელის მისვლა ღარიბაშვილ-მარგველაშვილის შერიგებად მონათლეს. პრეზიდენტის გვერდით მდგარმა პრემიერმა ამ სხდომის მთავარ შედეგად აღიარა „შეთანხმება მოქმედებათა შემდგომი კოორდინაციის შესახებ“...

თუმცა, სულ რამდენიმე დღეში პოლიტიკური კრიზისის საფრთხე გაჩნდა. ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში ყველაზე პოპულარული მინისტრი გაათავისუფლა. წლევანდელი აგვისტოს გამოკითხვებით, პატრიარქის მოღვაწეობას ქართველთა 95 პროცენტი იწონებდა, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას საქმიანობას კი დადებითად გამოკითხულთა 60 პროცენტი აფასებდა.

ახლანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში მასების მართვის თაფლაკვერი ევროკავშირი და ნატოა, ხოლო მათრახი — რუსეთთან ურთიერთობა. თაფლაკვერთან დაკავშირებით საზოგადოება უფრო კონსოლიდირებულია, ანტირუსული განწყობილებები კი, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, მეტისმეტად გაზვიადებულია.

სტანდარტული კონსტრუქცია ძალაუფლება-ოპოზიცია რუსეთ-აფხაზეთს შორის შეთანხმების ხელმოწერამდე დაიშალა. ისევე როგორც მმართველი კოალიცია, საიდანაც გავიდნენ „თავისუფალი დემოკრატები“ და ფაქტობრივად — „რესპუბლიკელებიც“. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საბოლოოდ გამოაჩინა თავისი პოლიტიკური „სუვერენიზაცია“, როცა განაცხადა: „ქვეყანა უნდა იმართებოდეს ძლიერი ინსტიტუტებით



და არა კულისებიდან“. გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ ობიექტი ყველამ ამოიცნო. მან პარლამენტიც გააკრიტიკა იმის გამო, რომ ევროინტეგრაციის ვადები დაარღვია...

ინსტიტუციური კრიზისი გამოიხატება იმით, რომ პარლამენტში კოალიციური უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე ძნელი იქნება გადაწყვეტილებების მიღება...

## აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უცვლელი და განსხვავებული ვექტორები

რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულმა ახალმა სტრატეგიულმა შეთანხმებამ საქართველოს საშინაო დღის წესრიგი გაამწვავა. საეჭვოა, საქართველოში რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს ჰქონდეს იმის ილუზია, თუ როგორია აფხაზეთის ორიენტაციის სამომავლო ვექტორი. რუსეთმა არ გაითვალისწინა აფხაზეთის შიგნით არსებული გარემოებები, როცა აქტიურად ლობირებდა პროექტს. ჯერ ერთი, არც ძალაუფლების მთლიანი ვერტიკალია ჩამოყალიბებული და არც სტარტეგია არ არის წარმოდგენილი. მეორეც, აფხაზეთის ოპოზიციური პარტია იყენებს აფხაზთა ტრადიციულ ფობიას — სუვერენიტეტის დაკარგვას. და მესამე — დიპლომატიურ არხში გაშვებული შეთანხმება არ აკმაყოფილებს აფხაზური ელიტის იმ ნაწილს, რომელიც პერსონალურ „პროცედურულ პატივისცემას“ ითხოვს. ამ პირობებში რუსეთისგან მოელიან შეთანხმებაში არა მარტო ფორმალურად აისახოს ეკონომიკური რეალობა და სწრაფვა გეოპოლიტიკური ინსტიტუციონალიზაციისკენ, არამედ გაითვალისწინონ აფხაზური საზოგადოების კონტექსტი და სპეციფიკა. შეთანხმება ხელმოწერილია. აფხაზეთის ოპოზიციამაც მოიწონა იგი. რუსეთი აგრძელებს რესპუბლიკის დახმარებას, ზრდის დაფინანსებას და შესაბამისად — ელიტის სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილებას. აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ გადაუჭრელია.

აფხაზური საზოგადოების რაციონალურად მოაზროვნე ნაწილს აშინებს ის, რომ რესპუბლიკა გახდება რუსეთის დოტაციური რეგიონი, ფორმალურად ჩრდილოელი მეზობლის შემადგენლობაში შევა, ფაქტობრივად კი მხოლოდ მისგან უზრუნველყოფილი იქნება. ელიტის უმრავლესობა, როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში, სწორედ დოტაციის მოლოდინშია. 30-40 წლის აფხაზები კი დამოუკიდებლად განვითარებას ემხრობიან — რუსეთის დახმარებით რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება სურთ. ხელისუფლების ანონიმი წარმომადგენელი ადასტურებს: „ჩვენს ელიტას აბსოლუტურად ხელს აძლევს ის მდგომარეობა, როცა საბიუჯეტო სახსრების ნაკადი რუსეთიდან მდინარეებად მოედინება, პატარა ჯგუფები კი მაინც შიდა რესურსების განვითარებას ემხრობიან“.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს. აქ მაგისტრალური განწყობილებაა ოსი ხალხის შეერთება რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში, ანუ რესპუბლიკის რუსეთთან მიერთება. ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს არაერთხელ დაადასტურა რეფერენდუმზე, აფხაზეთში კი მასობრივად ასეთივე ძლიერია სუვერენიტეტის მოთხოვნა. მოსახლეობას და მით უმეტეს ელიტას შესანიშნავად ესმის, რაოდენ დავალებული არიან რუსეთისგან, განსაკუთრებით 2008 წელს მათი დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

ხშირად რუსეთისა და ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკების ურთიერთობას მდიდარი კაცისა და სხვის კმაყოფაზე მყოფი ქალის ურთიერთობას ადარებენ. ანუ ვინც იხდის, ცეკვასაც ის უკვეთავს. ამ სისტემაში აფხაზეთი იმდენად ამაყი ქალია, რომ როგორც კი მუქთამჭამელობის სტატუსზე მიანიშნებენ, მაშინვე და აბსოლუტურად გულწრფელად გვარიან სილას უთავაზებს თავის მფარველს. აფხაზეთს უნდა მოეპყრო თავაზიანად, გაითვალისწინო მისი ხასიათი და არასოდეს უთხრა — „გაიხსენე, სად იქნებოდი, მე რომ არა“.

აფხაზეთში თანაარსებობს ორი საპირისპირო ტრენდი — პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხაზი და რესპუბლიკის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური დესუვერენიზაცია. რუსეთი აფხაზეთს „ტალღობრივად“ ეხმარება. ხარისხიანი და კარგად გამართული გზაა გაყვანილი ფსოუდან (რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი) სოხუმამდე, რომლის ქუჩებში ასეთი გზა არ გრძელდება. დედაქალაქის შემდეგ რუსეთისთვის ჩვეული გზა გრძელდება. ოჩამჩირის სამხრეთით, აფხაზეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს კი ორმოებს შორის ასფალტი აქა-იქ თუ მოჩანს და გზის პირას მოძრაობა უფრო სწრაფი და უხიფათოა.

2005-2013 წლებში რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ და რეგიონების სამინისტრომ, ერთობლივად, აფხაზეთს 25 მილიარდი რუბლი გადაურიცხეს. 2004 წლიდან მოყოლებული, რესპუბლიკაში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის გადარიცხულმა საპენსიო თანხამ კი 9 მილიარდი რუბლი შეადგინა.

რუსეთის დოტაციებზე სულ უფრო მზარდი დამოკიდებულების მიუხედავად, აფხაზური საზოგადოების ფასეულობებზე ეს არ აისახება. მათ საერთო განწყობილებას ერთ-ერთი არასამთავრობო ფონდის კოორდინატორი ასე გამოხატავს: „აფხაზური სუვერენიტეტი ცოცხალი იქნება, ვიდრე რესპუბლიკაში მოიძებნება ასი, ათასი, ათიათასობით ადამიანი, რომლებიც მზად არიან, თუნდაც ახლა, ხელში იარაღი აიღონ და სამშობლო დაიცვან“.

**vlast.kommersant.ru**

# მამა ბასილი: „ედუარდ შევარდნაძეც კი დაუპირისპირდა სოროსს, თქვენ რას უყურებთ...“

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.**



**— მამა ბასილ, ამ კითხვაზე თქვენ არა ერთხელ გიპასუხიათ, მაგრამ კიდევ ერთხელ გკითხავთ მავანთათვის განსამარტავად.**

**რამდენიმე ხნის წინ საუბარს შევესწარი. „ნაციონალების“ მხარდამჭერი ეკითხებოდა ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელიც ბრალს სდებდა მათ თქვენი და მრევლის მიერ აშენებული ეკლესიის დარბევაში. ნაცების მხარდამჭერი ეუბნებოდა, შენ არ იცი, რომ ბასილ მკალავიშვილის ტაძარი ეკლესია კი არ არის, სექტააო?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

დაგეთანხმებით, ბევრჯერ გამიცია პასუხი მსგავსი კითხვებისთვის და ბევრჯერაც გავცემ.

ვინც ჩვენ ეკლესიას უარყოფს და სექტას გვიწოდებს, თვით არიან სექტის წარმომადგენლები, რამეთუ უარყოფენ ქრისტიანულ სწავლებას და წილი ბელიართან აქვთ ნაყარი. თვით ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები არიან სატანური დაჯგუფების წევრები. აბა, რა შეიძლება დავარქვათ იმ ხალხს, რომელნიც არად დაგიდევენ ერის ინტერესებს, ტრადიციას, კულტურას და, რაც მთავარია, სარწმუნოებას. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ის ქმედებები, რომელიც ხალხის მოსასვრელად, დასამონებლად არის განხორციელებული, ყველა სატანა სოროსისა და ძმათა მისთა მიერ არის დაგეგმილი და დაფინანსებული. მისი გააქტიურება შევარდნაძიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ პირწავარდნილ სოროსთან ერთად ტკბებოდა ჯალათი სააკაშვილი ჩვენი ეკლესიის დარბევის კადრებით. ადამიანს შუბლის ძარღვი რომ გაუწყდება, ვერავითარ სირცხვილს ვერ გრძნობს, სწორედ ასეთი დასაყრდენი ნახა ამერიკამ საქართველოში. შეიძლება ვინმე შემომედაოს, მაგრამ მათ ნებისმიერ დროს დავუმტკიცებ, რომ ისინი სატანის მსახურნი არიან, რომლებიც ქუჩაში ხვრეტდნენ ხალხს, სასიკვდილოდ იმეტებდნენ ციხის კედლებში გამომწყვდეულ პატიმრებს, მათ ხელკეტებით თუ ცოცხებით აუპატიურებდნენ. აბა, მეტი რა შეიძლება დაარქვა ამ ხალხს.

ბევრმა დატოვა ეს ამაზრზენი პარტია. მოდიან ჩემთან და ისეთ რამეებს მიყვებიან, მოსმენაც შეუძლებელია. თუ რას სჩადიოდა გიჟი სააკაშვილი თავისი ხროვით. ისინი მხოლოდ ნიურნბერგის პროცესს იმსახურებენ. სატანისტებიც კი ვერ მოიფიქრებდნენ, რასაც სჩადიოდნენ 9 წლის განმავლობაში.

**— მამაო, იქნებ დაგვისახელოთ, რას გიყვებიან ან ვინ არიან?**

— სააკაშვილს თუ რაიმე მზაკვრული გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული, ღამის საათებში შეკრებდა თავის ზონდერ ჯგუფების ხელმძღვანელებს შავნაბადას რეზიდენციაში და ისეთ დავალებას აძლევდა, თვით ისინიც კი გაკვირვებულნიც რჩებოდნენ „შეფის“ გადაწყვეტილებით.

**— თქვენ იცით, რას გეგმავდა?**

— გეტყვით: აკადემიკოს გურამ შარძის დახვრეტა, ჟვანიას მკვლელობა, ვალერი გელაშვილის უმოწყალოდ ცემა, საკითხი, ვისთვის რამდენი თანხა შეეწერათ. კრებაზე თითქმის ყოველთვის ერთი და იგივენი იყვნენ თურმე: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ძმები ახალაიები და გიგა ბოკერია.

ბავშვობიდანვე მორწმუნე ვიყავი, ღმერთის ძალიან მეშინოდა. როცა მღვდლად მაკურთხეს, პირობა დავდე, რომ ერთგულად ვემსახურებოდი უფალს და ვამხელდი სამშობლოს, სარწმუნოების მოღალატეებს. ამიტომაც 1995 წელს ვამხილე საპატრიარქო იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესია გაერთიანებული იყო მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში. ამას ემატებოდა ისიც, რომ სოროსის მიერ შემოყრილი აგენტურული სექტის — „იეღოველთა“ წარმომადგენლები, რომლებიც ეწეოდნენ პროზელიტიზმს, აქედან მოყოლებული ვიბრძოდი, რათა შემეჩერებინა მათი მცდელობა ხალხის გადაბირებისა; ეს კი მოვახერხე, მაგრამ საპატრიარქოსთან არაფერი გამომივიდა.

რაც შეეხება საქართველოში გადატრიალების ავტორთა ქმედებებს, აგიხსნით და ვადასტურებ, რომ „მხედრიონი“ იყო საპატრიარქოს ჯარი და მათი იარაღი ინახებოდა ეკლესიებში. მაგალითად, უშუალოდ ქაშუეთის ეკლესიის ეზოდან უშენდნენ ჭურვებს მთავრობის სახლს. სწორედ სოროსმა, შევარდნაძის დახმარებით, მოახდინა გადატრიალება მხედრიონელების მიერ, განდევნა საქართველოდან ღვთივკურთხეული პრეზიდენტი. მისი განდევნის შემდეგ საპატრიარქოში დიდი ნადიმი გადაიხადეს და იზეიმეს



ეს სამწუხარო ფაქტი. ამის შემდეგ დასანანია, მაგრამ უნდა ითქვას, დაიწყო ზვიადის მიმდევრების დევნა. ყველა ეკლესიის კარი მათთვის ჩარაზული აღმოჩნდა. აი, მაშინდელი პუტჩისტების და საპატრიარქოს სახე: პრეზიდენტი დევნილობაში, დევნილი მლოცველები, დანგრეული, გადამწვარი, ბრძოლის ველად ქცეული რუსთაველი. ასე მიითვალა ისტორიამ ეს პერიოდი.

გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიამ, სადაც მე ვწირავდი, შეიფარა გზააბნეული ქრისტიანი. ერთადერთმა მღვდელმა მე შევიფარე ისინი და სულიერი ნავთსაყუდელი მივუჩინე. ერთადერთი მღვდელი მე ვიყავი, რომელიც დავდიოდი დაპყრობილეში სიკვდილმისჯილებთანაც კი და აღსარებას ვიბარებდი მათგან. ვაზიარებდი. თუმცა ეს ძვირად მიჯდებოდა. ამასაც ვიტანდი. დაგიდასტურებთ, ის მღვდელმთავრები, რომლებიც პუტჩისტების მხარეზე იდგნენ, უმრავლესობა დღესაც არიან საპატრიარქოს წიაღში, სინოდის წევრებიც კი არიან და ეპარქიებსაც მართავენ.

80-იან წლებში მე დარწმუნებული ვიყავი, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. გამოცხადება მქონდა. ასევე ყოვლადწმიდა დედამ დამავალა, ჩემ მშობლიურ სოფელში აღმედგინა მთლიანად დანგრეული ღმრთისმშობლის ეკლესია. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა მთავრობის წარმომადგენელთაგან, მე შევძელი ტაძრის აღდგენა. მართალია, მაშინ ჩემი არავის ესმოდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა. მე შევასრულე ღმერთის მოწოდება და ტაძარი აღვადგინე. ამის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვით საქართველოს პატრიოტებმა დაიწყეს უსჯულოების წინააღმდეგ ბრძოლა. ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით ეროვნული მოძრაობა თანდათან აღზევების ფაზაში შედიოდა და სწორედ მსოფლიოს სიონისტურმა ბნელმა ძალებმა ყოველივე იღონეს, რათა ჩაეკლათ საქართველოში ეროვნული სულისკვეთება. ყველამ უწყის, რაც წერია სიონისტების შავბნელ ძალთა ოქმებში. სამწუხაროდ, საპატრიარქომ ლომის წილი დადო ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. ყოველივე გაანადგურეს და საქართველო მასონური გზით წაიყვანეს.

მტერი, შინაური თუ გარეული, შეძვრა ეკლესიის გულში და ღრღნის მას. ამ პროცესს დასაბამი იქედან დაედო, როცა იეღოველები შემოგვესივნენ. მაშინ ჩემი შეგონება ეკლესიამ ყურად არ იღო, ვერ თუ არ გათვალა მომავალი საშიშროება. მივეცით თავი განცხრომას და იმდენ ხანს ვიძინეთ, სანამ მათ ბოლო ბასტიონის — მართლმადიდებლობის დასამხობად არ მოგვიკაკუნეს. სწორედ იმიტომ განვუდექი მე საპატრიარქოს, რამეთუ ისინი სექტების უფლების დაცვაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ძირძველი სარწმუნოების დაცვაზე. ყველა მწვალებელს გულში იხუტებდნენ.

სამართალი ჰქვია იმ ფაქტს, როცა პატრიოტს, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს, 12 წლით პატიმრობას უსჯიან?!

**— ემზარ კვიციანზე ლაპარაკობთ?**

— დიახ, სანამ ემზარი იყო იქ, კოდორის ხეობაში, მაშინ ხეობა ჩვენი იყო, ხოლო ქართველთმოძულე სააკაშვილმა, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, სანაცვლოდ, შეგნებულად დათმო.

ბატონი ემზარი იყო პირველი, რომელიც ჩვენი ეკლესიის დარბევის შემდეგ ჩვენთან მოვიდა და ჩვენი ტკივილი გაიზიარა. მე ვუერთდები ყველა იმ ქართველთ, ვინც კატეგორიულად მოითხოვს მის გათავისუფლებას, ხოლო სააკაშვილის ნარჩენი პროკურორი მთელი სიმკაცრით დაისაჯოს.

იმასაც აღვნიშნავ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მეტად რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. ის ორ წყალს შორის

ალმოჩნდა. უნდა შეასრულოს ამერიკიდან და დასავლეთიდან მიცემული დავალებები ერის გასანადგურებლად ან პირიქით, დაიცვას ერის ღირებულებები, სარწმუნოება მათგან. ორი ბატონის მსახურება შეუძლებელია და მიუღებელი ქრისტიანისთვის, ამჟამად სააკაშვილი უშუალოდ ვერ ერევა ეკლესიის საქმეებში, სამაგიეროდ, ჰყავს დასაყრდენი ძალა პარლამენტში რესპუბლიკელების სახით, რომლებიც მყარად სხედან, არსად არ აპირებენ წასვლას, რათა მზაკვრული გეგმები ბოლომდე მიიყვანონ და ვალმოხდილი წარსდგნენ მბრძანებლებთან. ვერ აცნობიერებენ, ღმერთი მაღლიდან დაგცქერის, მისი სასჯელი არ ასცდება ერის მოღალატეს, რამეთუ ღმერთის მოთმინება დიდია, მაგრამ არა უსაზღვრო.

**— მამა ბასილ, რას იტყვით მონარქის თემაზე? ჩვენს გაზეთში სტატიების ციკლი იბეჭდება ამ თემაზე.**

— ჩემო კარგო, მე არც მკვლევარი ვარ და არც მეცნიერი, მაგრამ შევეცდები, სულიერი ხედვით გიპასუხოთ.

მას შემდეგ, რაც ჩვენ 1991-92 წლების მოვლენებიდან გამომდინარე, ღირსეულად დავისაჯეთ, სახელმწიფო მართვის სისტემა ვერ აუწყვიათ. ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა საპრეზიდენტო ინსტიტუტი, საპარლამენტო წყობა. ყველა ხელისუფალი ერთპიროვნულად, ხალხის ნების წინააღმდეგ მართავს ქვეყანას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ოც წელზე მეტია ქაოსია და განუკითხაობა. შეიძლება კი საუბარი სამეფო ტახტის აღდგენაზე? ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდეთ. ჩემი მოსაზრებით ეს მიუღწევადია. მე ვერ ვხედავ საქართველოში პიროვნებას, რომელმაც თავი მოაბას ამ ურთულეს საქმეს. ბაგრატიონთა შთამომავლად შეიძლება გაითვალოს ის პიროვნება, რომელიც ჩამოაბრძანეს, პომპეზურად ჯვარი დასწერეს, ამზადებდნენ ტახტისთვის, მან კი რომანი გააბა უზნეო ქალთან და რაც მოხდა, ყველამ ვიცით. ყოველივე ეს თავის მოტყუებაა.

**— მამა ბასილ, რას გვეტყვით იმ პიროვნების შესახებ, რომელმაც ჯერ „ნიჭიერში“, შემდეგ კი „რუსთავი-2“-ს ტელევიზიით ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში საზოგადოების წინაშე მოინანია, რომ იყო იელოვას სექტის წევრი?**

— სწორედ მაგ კითხვას ველოდებოდი. საბედნიეროდ, მინდა გამცნოთ, რომ ბევრი ტოვებს ამ სექტას და გადმოდის მართლმადიდებლობაზე, ინანიებენ კიდეც. ახლა კი სხვა რამ მინდა გაუწყოთ. მაშინ, როცა იმ ახალგაზრდამ მოინანია, იმავე საღამოს ბოკერიამ და მისმა მეუღლემ ამერიკაში სოროსს შეატყობინეს ამ ფაქტის შესახებ. იქედან კიდევ „მამა-მარჩენალმა“ გასცა განკარგულება, სასწრაფოდ შეეკრიბათ მათი მომხრეები და ერთობლივად დაეგმოთ ეს ფაქტი. სოროსის ერთგულმა „შვილებმა“ უმალ შეასრულეს მისი ბრძანება; სასწრაფოდ გამონახეს თვითმარქვია ეპისკოპოსი ახალგაზრდა ევანგელისტი ქალი და გამოიყვანეს ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერით. ეს ტელევიზია სოროსის კუთვნილებაა, მისი ხელმძღვანელი კი ბოკერიას ცოლი თამარ ჩერგოლეიშვილია. პირწავარდნილი სოროსი ნაწილობრივ სხვა ტელევიზიებსაც აფინანსებს, სადაც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოდიან.

28 ნოემბერს, როცა ეს გადაცემა გადიოდა ეთერში, ჩემ ტელეფონზე ზარები არ წყდებოდა იმის გამო, რომ გადაცემის მონაწილენი, მოწვეული პირნი თუ ვაი-ეპისკოპოსი ჩვენი კრიტიკით იყვნენ დაკავებულნი. ეს არ მადარდებს, გააჩნია, ვინ განგიკითხავს. ჩემთვის გასახარია ის ამბავი, რომ იმ პიროვნებამ, რომელმაც მოინანია და მართლმადიდებლობაზე მოექცა, გმირობის ტოლფასი საქმე ჩაიდინა, რამეთუ სულიერად ამაღლდა.

მე მოვუწოდებ საპატრიარქოს წარმომადგენლებს მაშინ, როცა ამ სექტის შესახებ ვაფრთხილებდი, მათ ყურად არ იღეს, ახლა იქნებ მიხვდნენ, რომ სატანის მოციქული სოროსი უკვე ღიად ებრძვის მართლმადიდებლობას, ეს ვაჟბატონი თითქმის ყველა ქვეყნიდან გამოაგდეს და მყარი და თბილი ბინა აქ დაიდო. ედუარდ შევარდნაძეც კი, რომელსაც მთელი ერი გულისწყრომით და უნდობლობით უყურებდა, ისიც დაუპირისპირდა ბოლოს და მკაცრად გააფრთხილა, ჩემ საქმეში ნუ ერევიო.

მოვუწოდებ საპატრიარქოს, ხმა აღიმაღლონ ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის სოროსის წინააღმდეგ, ასევე მისგან მართული სულიწმიდის მგმობელი ტელეკომპანია „ტაბულას“ წინააღმდეგ. თორემ ღმერთის რისხვა არ აგვცდება. ღირსნიც ვიქნებით, რამეთუ მცონარობით, გადამეტებული ტოლერანტობით ჩვენმა ბულვარულმა ერმა თითქმის ყოველივე დაკარგა.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# რატომ განიცდიან დაკრძალვის რიტუალში მონაწილეები თვითკმაყოფილებას?

***ზოგჯერ ადამიანმა ქვეცნობიერად იცის, თუ რა მოელის მას წინ ცხოვრებაში. მოკლედ, შემთხვევა მართლაც უნიკალურია და საინტერესო. ამ და სხვა თემებზე კომენტარი ვთხოვეთ ფსიქოლოგს, ჰომეოპათს ირაკლი გარსევანიშვილს.***

— უძრაობის 70-მა წელმა ჩვენს ყოფას დიდი დაღი დაასვა. როცა ადამიანი ამბობს, რომ ღმერთი არ სწამს და მის გარეშე შეუძლია არსებობა, უნებლიეთ, ის ეთიშება სულიერ ეგრეგორს. რას ნიშნავს ეგრეგორი? როცა ბევრი ადამიანი ერთად ლოცულობს, მათ ზევით იქმნება დამცავი ქოლგა, ანუ ეგრეგორი. ეგრეგორი არსებობს რელიგიური, ოჯახური, სამსახურებრივი, მეგობრული და ა.შ. ანუ ნებისმიერი გაერთიანების ადამიანები ქმნიან ეგრეგორს, სადაც თავის სულს, განწყობას დებენ და თუ არა დადებითი ემოციები და სიყვარული, მაშინ მათი საქმიანობა არ გამოვა. უძრაობის პერიოდში ჩვენ ვიყავით გამოთიშულები მფარველი ეგრეგორისგან, რომელმაც თოთოეულის სხეულში მთელი რიგი პლასტების რღვევა გამოიწვია და იმდენად ძლიერად, რომ ადამიანი გამოეთიშა კოსმოსს, თუმცა, მცირე რაოდენობით მაინც იღებდა იმპულსებს. ყოველივე ამან კი გამოიწვია მასიური ნევროზი, სტრესი და სხვა მსგავსი ავადმყოფობები. ცნობილია, რომ ადმიანი შედგება ასტრალური სხეულისგან, ეთერულისგან და ფიზიკურისგან. ასტრალური ანუ სამშვინველი, ეთერული, ე. ი. სული და ფიზიკური ყველასთვის ცნობილი. თითოეულ ჩვენგანს კიდევ აქვს აზროვნების ეკოლოგია ე.წ. აურა. ამ უკანასკნელის დაზიანება ხდება ურთიერთშუღლით, სიძულვილით, ქიშპობით. ამ უარყოფითი მუხტებით ქვეცნობიერი ავადდება, ყოველგვარი უარყოფითი განცდა იქ ილექება. ყოველივე ამას თუ დაემატა ეთერული სხეულის ანუ იგივე სულის ფორიაქიც, შეიძლება კატასტროფამდე მივიდეთ და ადამიანი ფსიქიკურად დაავადდეს.

**— ბატონო ირაკლი, ხშირად უთქვამთ, ცხოვრების ეს მომენტი სადღაც უკვე ნანახი მაქვს, თითქოს ოდესღაც იყოო. როგორ აიხსნება ეს პარადოქსი?**

— გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მხოლოდ ამ განზომილებაში არ ვართ, ერთდროულად ვცხოვრობთ წარსულში, აწმყოსა და მომავალში. აქედან გამომდინარე, შეიძლება გვახსოვდეს წარსული ან მომავალი, ის, რაც იყო, იქნება მომავალშიც. ზოგ შემთხვევაში ეს ქვეცნობიერში ჩადებული ინფორმაციაა, რადგან არსებობს აზრი, რომ დაბადებისას ადამიანი უზენაესისგან იღებს ინსტრუქციას. ვთქვათ, გახსები სამი წლის, გააკეთებ ამას, ცხრის – ამას, 25 წლისა შეასრულებ ამ დავალებას და ა.შ. მაგრამ როცა უკვე ქვეცნობიერი დავალებებისგან გათავისუფლდება, დაუბრუნდები პირველ საწყისს, ანუ მიიცვლები. ეს ის ვერსიაა, რომელსაც ვერავინ ბოლომდე ვერ ამოხსნის, მაგრამ სინამდვილესთან ახლოა, რადგან არაერთი ქვეცნობიერის გაქექვისას მსგავს შემთხვევებს შევხვედრივარ. მეტიც, თქვენ იცით, რომ დაკრძალვის დროს რიტუალში მონაწილე ხალხის დიდი პროცენტი განიცდის ქვეცნობიერ კმაყოფილებას მასზე, რომ ასაფლავებენ სხვას, და არა მას.

თუმცა „დეჟავუს“ შემთხვევები შეიძლება სიზმარში ნანახზეც იყოს დამოკიდებული. ძილის დროს ცნობიერი ითიშება, ქვეცნობიერი მუშაობს. ის კოსმოსიდან იღებს ინფორმაციას. ადამიანი იმახსოვრებს მხოლოდ გაღვიძების წინ, ანუ სწრაფი ძილის ფაზაში ყოფნის დროს ნანახ სიზმარს, მაგრამ ვერ იმახსოვრებს ღრმა ძილში ნანახს, რაც შეიძლება ქვეცნობიერში დაილექოს და ამოტივტივდეს ცხადში, როცა ესა თუ ის მომენტი ხდება.

**თამაზ ხაბეიშვილი**

# ცნობილი კოლექციონერები



* * *

კარდინალი რიშელიე თუთუნის მოსაწევ ჩიბუხებს აგროვებდა.

* * *

კანცლერი ბისმარკი თერმომეტრებს აგროვებდა.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტი ედუარდ ერიო რესტორნების მენიუების კოლექციონერი იყო.

* * *

ნაპოლეონი აგროვებდა საათებს და კალის ჯარისკაცებს.

* * *

სათამაშო ჯარისკაცების შეგროვებისადმი გულგრილი არც უინსტონ ჩერჩილი ყოფილა.

* * *

რონალდ რეიგანი მსოფლიოს ხალხთა ანდაზებს და გამონათქვამებს აგროვებდა, ხოლო მისი მეუღლე ნენსი — აღდგომის კვერცხებს.

* * *

პირველი ცნობილი რუსი კოლექციონერი პეტრე დიდი იყო. ის ყმაწვილობაში იარაღებს აგროვებდა, აგრეთვე იშვიათ მონეტებს და მინარალებსაც.

* * *

ტურგენევს ჰქონდა ჭადრაკის ფიგურების 14 კომპლექტი.

* * *

მიხაილ ბულგაკოვი სათუთად ინახავდა მარკებს, რომლებზეც პეპლის გამოსახულება იყო.

* * *

იური გაგარინი ცნობილია, როგორც კაქტუსების კოლექციონერი.

* * *

ვალდის პელში სამხედრო ჩაფხუტებს აგროვებდა. კოლექციაში ჰქონდა XIX ს-ის გერმანული ტყავის ჩაფხუტიც და ნაპოლეონის არმიის საპარადო ჩაფხუტიც.

* * *

იარაღის კოლექციონერად ვალერი მელაძეც ითვლება. მის კაბინეტში



ათობით ხანჯალი ინახება. ერთ-ერთი მათგანი ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტმა აჩუქა, როდესაც მელაძე გასტროლებზე იმყოფებოდა ნალჩიკში.

* * *

დემი მური ფაიფურის თოჯინებს აგროვებს, მათი რიცხვი მურის კოლექციაში ათასობითაა. ამ კოლექციის შეფასება ძნელია, რადგან ზრუს უილისის მიერ ნაჩუქარი ერთ-ერთი პატარა ფაიფურის ქანდაკება 55 000 დოლარი ღირს.

* * *

სელინ დიონი ძვირფასი ტანსაცმელების კოლექციონერია.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ


ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, ალმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — კარგი სიახლე და საუკეთესო პერსპექტივები გელოდებათ. მოთმინება იქონიეთ ოჯახსა და სამსახურში. სირთულეებს ადვილად გაართმევთ თავს.

**კურო** — გაგიჩნდებათ პრობლემები და, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მაინც ვერ დასძლევთ. გულს ნუ გაიტეხთ, თუ გადახედავთ განვლილ დღეებს, კმაყოფილი დარჩებით.

**ტყუპები** — თქვენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გაჩნდება. აგიხდებათ ულამაზესი სიზმარი. სასიამოვნო ცვლილებები გელით.

**კირჩხიბი** — გამოიჩინეთ სიფრთხილე. ერთ-ერთი ნაცნობი ეცდება, საკმაოდ უსიამოვნო საქმეში ჩაგითრიოთ. ხუთშაბათს პერსპექტიულ წინადადებებს შემოგთავაზებენ.

**ლომი** — სასურველია, ფული დახარჯოთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ეს კვირა უფრო მეტად დაგარწმუნებთ საკუთარ შესაძლებლობებში. სამშაბათს გელოდებათ სოლიდური ჯილდო. ტელეფონით მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

**ქალწული** — შემოთავაზებული საქმე კარგად აწონ-დაწონეთ. ეს კვირა კარგ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო თვალსაზრისით. დასაშვებია კბილების ყველანაირი მკურნალობა.

**სასწორი** — გირჩევთ, აქტიური ქმედებისაგან თავი შეიკავოთ. პარტნიორებისგან კარგი სიახლეა მოსალოდნელი. კვირის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, აგისრულდებათ სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ.

**მორიელი** — ეს დღე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გპირდებათ. ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში წარიმართება.

**მშვილდოსანი** — შეიძლება, უხერხულ და გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, თუმცა ადვილად დაძლევთ პრობლემას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის.

**თხის რქა** — შანსი გაქვთ, გამონახოთ კარგი, შემოსავლიანი სამსახური. გელით საჩუქარი და მხიარული სუფრა თქვენთვის სასურველ საზოგადოებაში.

**მერწყული** — საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა ურიგო არ იქნებოდა. მოულოდნელად შეიძლება უცხო გარემოში მოხვდეთ. გაგიჩნდებათ ახალი საქმიანი ურთიერთობა, აუცილებლად პერსპექტიული.

**თევზები** — სასიყვარულო შეხვედრა და შთამბეჭდავი მოვლენები გელოდებათ. იყავით კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ.

ISSN 2233-3983